# არსენალი

№ 19 (62). 19 სექტემბერი - 2 ოქტომბერი. 2008. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალი… …სი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ექსკლუზივი: რით და რამდენი თვითმფრინავი ჩამოვუგდეთ რუსებს

1425
2008

## რისთვის ემტერებიან რუსები ქართველ არტილერისტებს

## ვინ და როგორ დაგვიგო „ცხინვალის ხაფანგი"

## სატყუარა რუსი პილოტებისთვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საარტილერიო დუელი...

4



## რას წარმოადგენს რუსეთის 58-ე არმია

15



## ქართველი არტილერისტების ახალი საბრძოლო ტაქტიკა

4

## ქართველმა მეზენიტეებმა ებრაული „ობობით" ყველაზე მეტი რუსი საჰაერო აგრესორი ჩამოაგდეს

10





## „იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე გვეგონა, შევძლებდით"

42



## რუსეთის აგრესია და კავკასიელთა ბატალიონები

19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**ომის ღმერთი**

4 მოხვდა, მოხვდა... ახალი ზალპი!

**მებრძოლის მონათხრობი**

4 ქართველი არტილერისტების ახალი საბრძოლო ტაქტიკა

6 კონტრსაარტილერიო ბრძოლა

8 „პიონები" - რუსული მოიერიშეებისთვის დაგებული ხაფანგი

**ექსკლუზივი**

10 ქართველმა მეზენიტეებმა ებრაული „ობობით" ყველაზე მეტი რუსი საჰაერო აგრესორი ჩამოაგდეს

**თემის გარშემო**

12 საქართველოს დასაბომბად რუსეთმა მოდერნიზებული Су-25СМ-ები გამოცადა - სამი ჩამოვუგდეთ, სამი დავუზიანეთ!

**მტერს სახეზე უნდა სცნობდე**

15 რას წარმოადგენს რუსული აგრესიის მთავარი შემსრულებელი - 58-ე არმია

**აგრესორი**

18 რუსეთი სამხედრო ხარჯებს ზრდის

**ვინ გვებრძვის**

19 რუსეთის აგრესია და კავკასიელთა ბატალიონები

**მტრის გვერდი**

22 დასკვნებს გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი ნოგოვიცინი აკეთებს...

**დაპირისპირება**

24 **F-86 Sabre** МиГ-15-ის წინააღმდეგ

**სპეცსამსახურები**

35 ვინ და როგორ დაგვიგო „ცხინვალის ხაფანგი"

**ფლოტი**

38 ამერიკული ხომალდების ვიზიტები საქართველოში

**ჰოსპიტალი**

42 „იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე გვეგონა, შევძლებდით"

**ომების მსოფლიო ისტორია**

44 კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

**სპეციალური ოპერაციები**

48 პეტერჰედის ციხის შტურმი

**ფლოტის ისტორია**

50 როგორ იქმნებოდა საფრანგეთის ფლოტი

**კროსვორდი**

53 არსენალკვორდი

**იარაღი**

54 უნივერსალური საიერიშო შაშხანა **SCAR**


## რედაქტორის სვეტი

ვინ ვის დაასწრებდა — საქართველო NATO-ში გაწევრდებოდა თუ რუსეთი დაგვასწრებდა ომში ჩათრევას — ამ მნიშვნელოვან კითხვას აგვისტოს დასაწყისში ჩვენთვის სამწუხარო პასუხი გაეცა...

თუმცა ცხოვრება გრძელდება, NATO თბილისში აწყობს გამსვლელ სხდომას ფორმატით 26+1 და ხელი მოეწერა ჩარჩო-ხელშეკრულებას NATO-საქართველოს კომისიის შექმნის შესახებ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რასაც, ადრე თუ გვიან, უნდა მოჰყვეს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება.

როგორც უახლესმა მწარე გამოცდილებამ გვიჩვენა, ჩრდილოელი მეზობელი — რუსეთი კვლავინდებურად დაპყრობის ჟინით არის ატანილი, რის გამოც ჩვენნაირმა პატარა ქვეყანამ თავშესაფარი NATO-ს „თავდაცვითი ქოლგის" ქვეშ უნდა ეძებოს.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი" და მიიღეთ შინ, თვეში ორჯერ!
ტელ: 42-43-40; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად 15.09.2008

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
**email: arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოხვდა, მოხვდა... ახალი ზალპი!



მოდერნიზებული RM-70-ები რეაქტიულ ჭურვებს კარალეთიდან ქარის შემოვლით გზას ესვრიან

## 100-მდე ტანკი და ჯავშანმანქანა, 70-მდე სატვირთო ავტომობილი, ასობით დაჭრილი და დახოცილი - რუსი აგრესორების ზარალის 80% ქართველი არტილერისტების ზუსტი სროლების შედეგია

რუსი აგრესორების საქართველოს გულიდან, ქართლიდან გასვლის შემდეგ უკვე შეიძლება ერთ საიდუმლოებას ავხადოთ ფარდა — ქართლის ოკუპაციის დღეებში რუსი სამხედრო ბარბაროსები, გგონიათ, ტყუილად წვავდნენ ჩვენს ტყეებს ან მათი შვეულმფრენები და ჯავშანჯგუფები უაზროდ დაეხეტებოდნენ? სულაც არა — რუსი დამპყრობლები ქართლის ტყეებსა და ხეობებში გაშმაგებით ეძებდნენ ქართულ არტილერიას, რომელიც ჩვენმა არტილერისტებმა უკან დახევის შემდეგ გადამალეს!

ხელში ჩაიგდეთ ქართველი არტილერისტები, გაანადგურეთ მათი ტექნიკა! — ასეთი ბრძანებები ისმოდა რუსი დამპყრობლების რადიოეთერში და იცით, რატომ? — საქართველოში შემოჭრილმა რუსმა აგრესორებმა უზარმაზარი და უზუსტესი საარტილერიო დარტყმები მიიღეს და დიდი მსხვერპლიც ნახეს.

„როგორც 1992-93 წლებში — აფხაზეთში, ისე 2008 წლის აგვისტოში ცხინვალთან, ქართულმა არტილერიამ თავისი სიტყვა თქვა და მტერს ძლიერი დარტყმა მიაყენა. რამდენიმე რუსული კოლონა ცხინვალის გზაზე დავადუღეთ, რუსებს დიდი მსხვერპლი აქვთ, რასაც მალავენ“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საარტილერიო ბრიგადის მეთაურმა გენერალ-მაიორ-



# ქართველი არტილერისტების ახალი საბრძოლო ტაქტიკა

რუსულმა საბრძოლო ავიაციამ და არტილერიამ ვერც ერთი ქართული საარტილერიო დანადგარი რომ ვერ ააფეთქა საცეცხლე პოზიციაზე, ბევრ რამეზე მეტყველებს.

წესით, რუს აგრესორებს უნდა ჰქონოდათ საარტილერიო დაზვერვის საშუალებები (მაგალითად, თანამედროვე „ზოოპარკი“), რომლებსაც რამდენიმე წამში შეეძლოთ დაედგინათ, საიდან ისროდნენ ქართველი არტილერისტები ჭურვებს.

მით უმეტეს, ჰაერში უკვე მთლიანად რუსული ავიაცია ბატონობდა და ისინი ინსტენსიურად ნადირობდნენ ქართული არტილერიის პოზიციებზე.

მიუხედავად ამისა, მტერს განუწყვეტლივ ბომბავდნენ ჩვენი არტილერისტები ჭურვებითა და რაკეტებით ფრონტის ხაზის (თუკი ის არსებობდა) სიღრმეშიც.

მაინც ისეთი რა სამხედრო ეშმაკობა გამოიყენეს ქართველმა არტილერისტებმა, რომ საბრძოლო დანაკარგი არ განუცდიათ?

„არსენალს“ ეს საიდუმლო გაუმხილა ახლა უკვე გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა დევი ჭანკოტაძემ, რომელიც ომის დროს საარტილერიო ბრიგადას მეთაურობდა (ეტყობა, მისი დაწინაურება ჩვენი არტილერისტების წარმატებულმა ბრძოლამაც განაპირობა).

— ეს ჩემი, ჯერ კიდევ ადრე მოფიქრე-



გენერალ-მაიორი დევი ჭანკოტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთმა „პიონმა“ გორის ანძის მიმდებარე ტერიტორიიდან ჯავისკენ 600-მდე 110-კგ-იანი ჭურვი ისროლა



მა დევი ჭანკოტაძემ, რომელსაც აფხაზეთის ომის დიდი გამოცდილება აქვს.

„100-მდე ტანკი და ჯავშანმანქანა, 70-მდე სატვირთო ავტომობილი, ასობით დაჭრილი და დახოცილი — აი, ასეთი ზიანი მივაყენეთ ჩვენი არტილერიით რუსულ სამხედრო კოლონებს, — ამბობს საარტილერიო ბრიგადის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი, — ეს თითიდან გამოწოვილი ციფრები არ გეგონოთ, ჩვენ ოთხი სათვალთვალო პუნქტი გვქონდა განთავსებული ცხინვალისა და ჯავის რაიონების სიახლოვეს, სტრატეგიულ წერტილებში, სადაც საარტილერიო ცეცხლის მაკორექტირებლები ისხდნენ. ისინი ძლიერი ოპტიკური ხელსაწყოებითა და ლაზერული მანძილმზომებით აკვირდებოდნენ ჩვენ მიერ ნასროლი ჭურვებისა და რაკეტების დაცემის ადგილებს და საცეცხლე პოზიციაზე გადმოგვცემდნენ მიზნების ზუსტ კოორდინატებს. სწორედ მათ დაითვალეს მტრის კოლონების ზიანი და ამიტომაც ეს ციფრები სინამდვილესთან ყველაზე ახლოსაა“, — ამატებს პოლკოვნიკი ცუხიშვილი.

ქართულმა არტილერიამ პირველი ცეცხლი 7 აგვისტოს საღამოს გახსნა, მას შემდეგ, რაც ცხინვალიდან ახლომდებარე ქართულ სოფლებს სროლა კვლავ აუტეხეს და იერიშზე გადასვლაც სცადეს.

მტერს ერთდროულად ქართული არტილერიის 300 ლულა მაინც ესროდა! მათ შორის საარტილერიო ბრიგადის შეიარაღებაში არსებული 203 მმ-იანი „პიონები“, 160 მმ-იანი ებრაული LAR-160-ები, 152 მმ-იანი „აკაციები“, „გიაცინტები“ და „დანები“, 122 მმ-იანი „გრადები“ და RM-70-ები, აგრეთვე ქვეითი ბრიგადების Д-30-ები და „მსტები“...



ბული ტაქტიკა იყო, რომელიც საარტილერიო ბატარეების მუდმივ მოძრაობაზეა დაფუძნებული. ზალპის შემდეგ თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების ბატარეები სწრაფად ტოვებდნენ საცეცხლე პოზიციას და გადაადგილებას იწყებდნენ სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურის (წრის, კვადრატის, სამკუთხედის) ფორმის მარშრუტზე.

ამ მარშრუტზე წინასწარ მომზადებულ ადგილას, მაგალითად, თუ „გრადების“ და „აკაციების“ ბატარეები შეჩერდებოდნენ, მორიგ ზალპს გაუშვებდნენ და შემდეგ კვლავ აგრძელებდნენ მოძრაობას. მოწინააღმდეგემ, რა თქმა უნდა, არ იცოდა ჩვენი თითოეული ბატარეა რა მარშრუტით მოძრაობდა. რამდენიმე ათეული წუთის შემდეგ კი გვიბომბავდნენ საცეცხლე პოზიციას, მაგრამ იქ ჩვენი არტილერისტები აღარ ხვდებოდათ. ასე რომ, მობილური საცეცხლე პოზიციების ტაქტიკამ გაამართლა.

ქართული „დანები“ საცეცხლე პოზიციის შეცვლის დროს




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



„აკაციების“ დივიზიონმა მტერს დიდი ზარალი მიაყენა...

ლეიტენანტი გიორგი დალაქიშვილი, თვითმავალი საარტილერიო დანადგარების – „პიონების“ ბატარეის 1-ელი ოცეულის მეთაური იხსენებს: – გორთან, სატელევიზიო ანძასთან საუკეთესო პოზიცია გვეკავა. ეს მაშინ ვირწმუნეთ, როდესაც რუსული მოიერიშეები ერთმანეთის მიყოლებით გვბომბავდნენ, მაგრამ ერთი ბომბიც ვერ მოგვარტყეს! სამაგიეროდ, მტერს 600 ცალი 203 მმ-იანი ჭურვი მაინც ვესროლეთ. წარმოიდგინეთ, რას უზამდა რუსულ ჯავშანკოლონას 110 კგ-იანი ფუგასური ჭურვები. სერჟანტმა თემურ კეკოშვილმა როგორც კი გაიგო, რომ ოსებმა და რუსებმა დიდი ლიახვის ხეობაში მისი მშობლიური სოფელი გადაწვეს, მტერს თავისი „პიონიდან“ 200-მდე ჭურვი ესროლა! მიზანს ერთიც არ ასცდენია, რადგან მის „პიონში“ ჩვენი ყველაზე სწრაფი და საუკეთესო მემიზნე, კაპრალი არჩილ ტულუჩი იჯდა...

– ძალზე ეფექტიანად იმუშავეს „ლარის“ დანადგარებმა, 300-მდე რაკეტა მაინც გაუშვეს. საარტილერიო ბრიგადის მეთაურთან ერთად ოპერატიული მართვის ცენტრში ვიმყოფებოდი, სადაც მოდიოდა ყველა ინფორმაცია მტრის კოლონების გადაადგილების შესახებ. ძარის შემოვლით გზაზე, დიდ გუფთასთან და ცენტრალურ გზაზე მოწინაალმდეგის

მებრძოლთა მონათხრობი

# კონტრსაარტილერიო ბრძოლა

რუსმა აგრესორებმა როკის გვირაბიდან შემოიყვანეს 152მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარები 2C3 „აკაციები“ და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები „გრადები“ და „ურაგანები“.

მიუხედავად ამისა, ქართველი არტილერისტები აცხადებენ, რომ რუსეთის არტილერიის საპასუხო ცეცხლი არც ისე მძლავრი იყო, სამაგიეროდ, თავად რამდენიმე დანადგარი შორი მანძილიდან გაუნადგურეს მტერს.

საარტილერიო ბრიგადის G-3-ის (ოპერატიული) უფროსი პოლკოვნიკი ოთარ ვაჩეიშვილი იხსენებს: „11 აგვისტოს გორის ანძასთან მოწყობილი სათვალთალო პუნქტიდან მძლავრი ოპტიკური მოწყობილობით ვზვერავდი ცხინვალის მარცხნივ მდებარე სოფელ ტბეთის მიდამოებს და აღმოვაჩინე ოთხი სატვირთო ავტომობილი, რომლებსაც ბუქსირებადი საარტილერიო დანადგარები, სავარაუდოდ, Д-30 ტიპის ჰაუბიცები ჰქონდათ ჩაბმული. ისინი ტბეთის ახლოს, ხევში შეჩერდნენ და ხეებს ამოეფარნენ. ეჭვს არ იწვევდა, რომ საარტილერიო პოზიციებს აწყობდნენ და რამდენიმე წუთში ქართულ სოფლებს



152 მმ-იანი ბუქსირებადი Мста-Б-ებით მეხუთე ქვეითი ბრიგადის არტილერისტები იბრძოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონები ერთმანეთის მიყოლებით მოდიოდნენ. ჩვენმა მეთვალთვალემ ოპერატიული მართვის ცენტრში ერთ-ერთი ასეთი კოლონის კოორდინატები მოგვცა და ჩვენი „ლარებიც“ ამუშავდნენ. საარტილერიო ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ჩვენმა მეთვალთვალემ გადმოგვცა, რომ რუსული ჯავშანკოლონიდან უვნებლად მხოლოდ ორი მანქანალა გადარჩა, — იხსენებს არტილერიის ბრიგადის პოლკოვნიკი ოთარ ვაჩეიშვილი.

ჩვენ საარტილერიო ორთაბრძოლა პირწმინდად მოვუგეთ რუსულ არტილერიას. მათი კონტრსაარტილერიო ბრძოლა არც კი გვიგრძნია, ერთადერთი — რუსული ავიაცია გვიტევდა, რომელიც გამუდმებით გვბომბავდა, მაგრამ ჩვენ მიერ კარგად შერჩეული პოზიციების გამო (და იმიტომაც, რომ საცეცხლე პოზიციებს ხშირად ვიცვლიდით) საარტილერიო ბრიგადის საცეცხლე პოზიციებზე არც ერთი საარტილერიო დანადგარი არ დაზიანებულა (შეიძლება რუს პილოტებსაც ეშინოდათ საზენიტო არტილერიისა და ბომბებს დაუმიზნებლად ყრიდნენ), მხოლოდ ორი ჯარისკაცი დაგვეჭრა, — ერთხმად ამბობენ საარტილერიო ბრიგადის არტილერისტები.

სამწუხაროდ, დანაკლისი ჰქონდათ მე-4 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დი-




ალლუმზე LAR-160-ები შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ. ბევრად მეტი ეფექტი ჰქონდა მათ საბრძოლო გამოყენებას. რის გამოც რუსული დაზვერვა და ავიაცია გაშმაგებული დაეძებდა მათ პოზიციებს. საბედნიეროდ ისინი პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ...

## მებრძოლთა მონათხრობი



ცეცხლს გაუხსნიდნენ. ამიტომაც მათი ზუსტი კოორდინატები ჩვენი მართვის ცენტრს გადავეცი.

ოპტიკური სამიზნისთვის თვალი არ მომიშორებია და ორიოდ წუთში დავინახე, როგორ ზუსტად დაფარა ჩვენი „გიაცინტებიდან“ ნასროლმა 152მმ-იანმა ჭურვებმა მტრის საარტილერიო პოზიცია, თანაც ისე, რომ მათ ერთი გასროლაც ვერ მოასწრეს.

მინდა ერთი ფაქტიც გავიხსენო. 7 აგვისტოს ღამეს ფრისის მთის თავიდან ოსმა სეპარატისტებმა 82მმ-იანი ნაღმსატყორცნით დაიწყეს სროლა თამარაშენი-ხეთის მიმართულებით. იმ დროს საარტილერიო ცეცხლი არ გვქონდა გახსნილი, სროლა პროვოკაციული მიზნით სწორედ სეპარატისტებმა დაიწყეს. ამასთან, ოსების იმავე პოზიციიდან მეტყვიამფრქვევე მთელი ღამე პერიოდულად ესროდა სოფელ თამარაშენში ანთებულ ნათურებს. იძულებული გავხდით, დილით ოსების პოზიცია საარტილერიო ცეცხლით ჩაგვეხშო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზიონის არტილერისტებს, რომლებიც უშუალოდ ცხინვალთან გმირულად იბრძოდნენ და მათი საცეცხლე პოზიცია რუსული მოიერიშე თვითმფრინავების პირდაპირ დაბომბვაში მოყვა...

ქართულმა არტილერიამ ამ სამდღიან, მაგრამ ჩვენთვის ძალზე რთულ ბრძოლებში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის მართლაც „ომის ღმერთია“, რომ არც მტრის ავიაციის სრული საჰაერო გაბატონება, ქართველი არტილერისტები საცეცხლე პოზიციებს ცხინვალთან ახლოს გადაიტანდნენ, საიდანაც მარჯვედ მისწვდებოდნენ როკის გვირაბს და გზას...



მე-4 ქვეითი ბრიგადის არტილერისტებმა Д-30 ჰაუბიცებით გმირულად იბრძოლეს

საარტილერიო ბრიგადა დღეს გორში დაბრუნდა, სადაც სამხედრო ბაზა რუსმა აგრესორებმა გაანადგურეს. ბრიგადას აქვს რამდენიმე ერთეული „პიონისა“ და „დანას“ დანაკლისი, რომლებიც მტერმა საცეცხლე პოზიციაზე ვერ გაანადგურა, მაგრამ ტყეში გადამალული იპოვა და ააფეთქა.

მიუხედავად ამისა, ქართველმა არტილერისტებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ბრძოლა და თანაც მარჯვედ! ბევრმა საბრძოლო ნათლობა მიიღო, შესაბამისად, მათი პროფესიონალიზმი და გამოცდილება ამაღლდა.

ყველაფრის მიუხედავად, ქართველ არტილერისტებს შეუძლიათ ამაყად თავაწეულებმა თქვან, რომ ბრძოლა მტრის ურდოებთან არ წაუგიათ!

ირაკლი ალადაშვილი



# „პიონები“ — რუსული მოიერიშეებისთვის დაგებული ხაფანგი

ამ ხუთდღიან ომში რუსეთის ავიაციამ ყველაზე მეტი თვითმფრინავი და შვეულმფრენი ერთი პატარა ადგილის თავზე დაკარგა.

რუსული მოიერიშე Су-25-ები და Ми-24 შვეულმფრენები ამ ადგილს აბეზარი ბუზებივით დასტრიალებდნენ და ქართველი მეზენიტეების ლუკმაც ხდებოდნენ.

გორის ანძის ახლოს ხუთი ქართული „პიონის“ საცეცხლე პოზიცია იყო განთავსებელი. პოზიცია დიდი სიზუსტითა და პროფესიონალიზმით იყო არჩეული. ორი მხრიდან მთები ეფარებოდა. წინ ანძა იყო, ხოლო უკან კი მაღალი ძაბვის ელექტროანძები. მტრის მოიერიშე თვითმფრინავს არაფრით არ შეეძლო გამძვრალიყო ამ ბუნებრივ დაბრკოლებებში და ზუსტად დაებომბა ჩვენი „პიონები“. ყველა ჩამოგდებული ბომბი „პიონების“ პოზიციებიდან შორს ხვდებოდა.

ამიტომაც საარტილერიო ბრიგადის მეთაურობამ გადაწყვიტა, „პიონებს“ საცეცხლე მანევრირება არ შეესრულებინათ და ადგილზე დარჩენილიყვნენ, რადგან ასეთ მომგებიან მეორე საცეცხლე პოზიციას ძნელად თუ იპოვიდნენ.

სამი დღე „პიონები“ არ გაჩერებულან. ხუთმა „პიონმა“ ექვსასამდე 110კგ-იანი ჭურვი ისროლა და თავბედი აწყევლინა მტრის ჯავშანკოლონებს.

რუსი პილოტები გაშმაგებით ნადირობდნენ „პიონების“ პოზიციაზე, ბოლოს და ბოლოს, მათ აღმოაჩინეს ეს ადგილი, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო რუსული ავიაციის პრობლემები.

„პოინები“ იყო სატყუარა, რომელსაც რუსული მოიერეშეები მუდმივად თავს დასტრიალებდნენ. „პიონების“ პოზიციის ახლოს განთავსდა ქართული საზენიტო-სარაკეტო დანადგარები და აგრეთვე საზენიტო არტილერია.

მიუხედავად მუდმივი საჰაერო დაბომბვებისა, „პიონებს“ სროლა არ შეუწყვეტიათ, სამაგიეროდ, ქართველმა მეზენიტეებმა ამ პოზიციის თავზე 8-9 აგვისტოს არანაკლებ 5 ერთეული მოიერიშე Су-25 და საფრონტო ბომბდამშენი Су-24М ჩამოაგდეს. როდესაც რუსებს თვითმფრინავებით არაფერი გამოუვიდათ, „პიონების“ დასაბომბად Ми-24 ტიპის დამრტყმელი შვეულმფრენი გაუშვეს, რომელიც „პიონებთან“ მიპარვას უკნიდან, დაბალი სიმაღლიდან ცდილობდა, მაგრამ ის, სავარაუდოდ, ჩვენი საზენიტო არტილერიის ლუკმა გახდა.

ერთ-ერთი კატაპულტირებული რუსი პილოტი, პოლკოვნიკი ზინოვი სწორედ არტილერისტებმა დააკავეს. საარტილერიო ბრიგადის დაცვის ასეულის ოცმეთაურმა, ლეიტენანტმა კობა ძიძიგურმა და ამავე ბრიგადის ლოგისტიკის ბატალიონის მეთაურმა, პოლკოვნიკმა გაბრიელ ჩერქეზიშვილმა რუსი პილოტი მდინარე ლიახვის პირას დაიჭირეს. ქართველმა არტილერისტებმა რუსი პოლკოვნიკი განაიარაღეს (წაართვეს АКСУ ტიპის მოკლელულიანი ავტომატი და „მაკაროვის“ პისტოლეტი) და მართვის ცენტრში წაიყვანეს.



„პიონების“ პოზიცია საუკეთესოდ იყო შერჩეული






შპს "ემ-პი-სი" *Bombardier Recreational Products* ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
ტელ: + 995 32 22 40 40
მობ: + 995 99 29 09 92

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველმა მეზენიტეებმა ებრაული „ობობით“ ყველაზე მეტი რუსი საჰაერო აგრესორი ჩამოაგდეს



## Spyder-მა 6, Бук-მა - 5, Оса-АК- 1, ხოლო დანარჩენი 7-8 რუსული თვითმფრინავი და შვეულმფრენი კვადროციკლებზე ამხედრებულმა მეზენიტეებმა „გრომებით", „სტრელებითა" და „იგლებით" ჩამოაგდეს და დააზიანეს

საქართველო-რუსეთის ხუთდღიან ომში საბრძოლო მოქმედების რეალური სურათი კონფლიქტის ზონაში (ისევე როგორც საქართველოს სხვა ტერიტორიაზე) მცხოვრებთ ნაკლებად ჰქონდათ და მათთვის ერთგვარად შვება იყო, როდესაც 8, 9, 10, 11 აგვისტოს დღეებში ხედავდნენ, როგორ აგდებდნენ ერთმანეთის მიყოლებით ხმელეთიდან გაშვებული რაკეტები რუსულ საბრძოლო თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს.

დღემდე კამათობენ, რამდენი რუსული თვითმფრინავი და შვეულმფრენი ჩამოყარეს ქართველმა მეზენიტეებმა. ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე 11 აგვისტოს აცხადებდნენ, რომ სულ 21-მდე რუსული საფრენი აპარატი ჩამოაგდეს.

ოფიციოზის განცხადებებს ყოველთვის სჭირდება გადამოწმება, მაგრამ, ეტყობა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დასახელებული რიცხვი ძალზე ახლოსაა სინამდვილესთან.

რამდენი რუსული თვითმფრინავი და შვეულმფრენი დაკარგეს, ჯერჯერობით, მხოლოდ კრემლში თუ იციან, რადგან რაკეტამორტყმული თვითმფრინავი სულაც არ ნიშნავს ჩამოგდებულს. თუ დავუჯერებთ „სუხოის" საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორ ვლადიმირ ბაბაკს,



ეს სწორედ იმ რუსული Су-25-ის კაბინაა, რომელზეც ადრეც ვწერდით. ის რუსებმა შეცდომით ჩამოაგდეს და კატაპულტირებული მფრინავი ოსებმა ჰაერშივე დახვრიტეს.



ჩამოგდებული Су-24M-ის პილოტი ქართველმა არტილერისტებმა დაატყვევეს

ქართული საზენიტო რაკეტების მსხვერპლი 20-მდე რუსული საბრძოლო საფრენი აპარატი გახდა.



სამი მოდერნიზებული Су-25CM ტიპის მოიერიშე, მძიმე დაზიანების მიუხედავად, აეროდრომზე დაჯდა. შესაძლოა, სამი რაკეტამორტყმული თვითმფრინავი ჩვენმა მეზენიტეებმა უკვე ჩამოგდებულად ჩათვალეს. ასეთი რამ ავღანეთის ომში ხშირად ხდებოდა, როდესაც აეროდრომებზე სტინგერმორტყმული Су-25-ები სხდებოდნენ (ხედავთ, რა გამძლე მოიერიშე თვითმფრინავების გაკეთება გვცოდნია თბილისის საავიაციო ქარხანაში!).

თუმცა ბაბაკი იმასაც აღიარებს, რომ სამი Су-25CM ნამდვილად ჩამოაგდეს, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ რუსეთი მოდერნიზებული და ახალი იარაღის პოლიგონად იყენებდა საქართველოსთან ომს (გაიხსენეთ „ისკანდერის“ ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების სროლა ვაზიანსა და გორში. ზოგიერთი ცნობით, რუსეთმა ცხინვალთან შეიძლება Ми-28 ტიპის ორი დამრტყმელი შვეულმფრენიც გამოცადა, რომელთაგან ერთ-ერთს ორი საზენიტო რაკეტა მოარტყეს და აბოლებული უკან გააქციეს).

ცნობილი რუსი სამხედრო ექსპერტი საიდ ამინოვი, რომელიც სწორედ ჰაერსაწ-

„შილკები“ „პიონების“ პოზიციების თავზე რუს სვავებს აფრთხობდნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინაალმდეგო თავდაცვის სპეციალისტია, აცხადებს, რომ რუსეთმა ამ ომში დაკარგა 11-12 თვითმფრინავი (მათ შორის 2-3 Су-24М, 7-8 Су-25 და ერთი Ту-22М3) და 7-8 შვეულმფრენი. მისი ინფორმაციით, ქართველმა მეზენიტეებმა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს 8 აგვისტოს 3 მოიერიშე Су-25, ერთი საფრონტო ბომბდამშენი Су-24М და ერთიც შორი მოქმედების ბომბდამშენი Ту-22М3 ჩამოუგდეს. 9 აგვისტოს რუსეთმა დაკარგა ერთი Су-25 და ერთიც Ми-24 ტიპის შვეულმფრენი, ხოლო 10 აგვისტოს კი ერთი Су-24М, ერთი დაზიანებული Су-25-ც იმ დღეს აეროდრომზე დაჯდა. საიდ ამინოვის ინფორმაცია ძალზე ახლოსაა რეალობასთან.

„არსენალი“ მკითხველს მიაწვდის ექსკლუზიურ ინფორმაციას ქართველი მეზენიტეების მიერ რუსი საჰაერო აგრესორების ქართულ ცაში განადგურების ზუსტ ქრონოლოგიას. ოღონდ თავიდანვე განვ-




**მიუხედავად იმისა, რომ ეს „ოსა“ რუსებმა ხელში ჩაიგდეს, მან მაინც მოასწრო ერთი თვითმფრინავის ჩამოგდება...**



საზენიტო ქვემეხი ЗУ-23-2 გორის საარტილერიო ბრიგადის შტაბის დაცვისას

თემის გარშემო

# საქართველოს დასაბომბად რუსეთმა მოდერნიზებული Су-25СМ-ები გამოცადა — სამი ჩამოვუგდეთ, სამი დავუზიანეთ!

## კრემლმა რუსეთ-საქართველოს ომი ახალი მოდერნიზებული საბრძოლო ტექნიკის გამოსაცდელ პოლიგონად აქცია

„თბილიავიამშენის“ მესამოცე წლისთავზე საქმიანი კამათი მომივიდა ამ დღეს მოსკოვიდან სტუმრად ჩამოსულ „სუხოის საკონსტრუქტორო ბიუროს“ მთავარ კონსტრუქტორთან, სამეცნიერო-საწარმო კონცერნის „Штурмовики Сухого“-ს პრეზიდენტთან, ვლადიმირ ბაბაკთან.

მე ვუმტკიცებდი, რომ ებრაული ფირმა „ელბიტისა“ და „თბილავიამშენის“ ერთობლივად მოდერნიზებული Су-25KM Scoprion საბრძოლო შესაძლებლობებით სჯობია რუსეთში მოდერნიზებულ Су-25 СМ-ს, რომელსაც იმ დროისთვის საცდელი ფრენაც კი არ ჰქონდა შესრულებული. ჩვენმა „სკორპიონმა“ კი უკვე მოასწრო ლე-ბურჟეს საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენაზე თავის გამოჩენა.

Су-25СМ მოდერნიზაციის მთავარი ავტორი ბაბაკი კი, ბუნებრივია, საპირისპიროს მიმტკიცებდა. ბოლოს, ორივე ჩვენს პოზიციაზე დავრჩით.

ჩვენი კამათი 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალის თავზე, ქართულ ცაში გაგრძელდა, სადაც საბრძოლო გაფრენები შეასრულეს როგორც ქართულ-ებრაულმა მოდერნიზებულმა Су-KM „მიმინოებმა“ („მიმინო“ პირველი „სკორპიონის“ ქართული ვარიანტია, სწორედ ამ სახელით ჩაირიცხნენ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში) და რუსულმა Су-25СМ-ებმა.

ამ ომში ქართული „მიმინოები“ მაინც ეპიზოდურ როლს თამაშობდნენ, 8 აგვისტოს დილას რამდენიმე „მიმინომ“ მხოლოდ ერთი საბრძოლო გაფრენა შეასრულა, რის შემდეგაც აეროდრომზე დაეშვნენ და აღარ აფრენილან, რადგან ჰაერში რუსული ავიაგამანადგურებლები იყვნენ გაბატონებული.

სამაგიეროდ, რუსულმა Су-25СМ-ებმა საბრძოლო ნათლობა ქართული მიწის დაბომბვით მიიღეს.

როგორც ახლა აცხადებს ვლადიმირ ბაბაკი, 2006 წელს 4 მოდერნიზებული Су-25СМ გადაეცა ბუდიონოვსკში მდგარ მოიერიშეთა პოლკს, საიდანაც ისინი საჰაერო თავდასხმებს აწყობდნენ საქართველოზე.

ბაბაკის განმარტებით, მოდერნიზებული Су-25СМ-ები წამყვანები იყვნენ, ჩვეულებრივი Су-25-ები კი მიმყოლები. რუს პილოტებს მოსწონთ მოდერნიზებული მოიერიშე, განსაკუთრებით დაბომბვის სიზუსტე, რადგან 5კმ-იდან ჩამოგდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული „ბუკები“ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე

მარტავთ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი რუსული საფრენი აპარატები ან ჩამოვაგდეთ ან დაზიანებულები ჰორიზონტს მიეფარნენ და შეიძლება რამდენიმე მათგანმა მართლაც მოახერხა აეროდრომზე დაშვება.

ომის პირველივე დღე რუსეთის ავიაციისთვის ტრაგედიად იქცა, რადგან 8 აგვისტოს, სულ რაღაც 8 საათში, ქართველმა მეზენიტეებმა 8 რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს ან დააზიანეს.

ჩვენი ინფორმაციით, ანგარიში 8 აგვისტოს, დილის 10.27 სთ-ზე უახლესმა მობილურმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა Spayder-მა, ანუ ჩვენებურად „ობობამ“ გახსნა. ეს დღე „სპაიდერის“ ნამდვილ ბენეფისად იქცა, რადგან მან 5 სამიზნე ჩამოაგდო. 8 აგვისტოს ერთი ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავიც Оса-Ак-ის ანგარიშზე უნდა იყოს.

საბრძოლო მოქმედების რაიონში საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების საჰაერო თავდაცვის გარდა სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საზენიტო საშუალებებიც მოქმედებდნენ. ისინი კვადროციკლებით გადაადგილდებოდნენ (რაც თანამედროვე ომებში ერთგვარი ნოუ-ჰაუა) და შეიარაღებული იყვნენ გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით – Стрела-2М-ებით, Игла-ებითა და პოლონური „გრომებით“. მათ 8 აგვისტოს, სავარაუდოდ, ორი რუსული მოიერიშე ჩამოაგდეს.

თემის გარშემო



სოხუმის აეროპორტში ავარიულად დაშვებულ Су-25СМ-ს რაკეტა, სავარაუდოდ, კოდორის ხეობის დაბომბვის დროს მოარტყეს

ბული ბომბი მიზანს 25 მეტრზე მეტად არ ასცდენიაო. ამასთან, მოდერნიზებული მოიერიშის 30მმ-იანი ავტომატური ქვემეხის სროლის ტემპის ცვლილებამ (376 გასროლა წუთში) მათ საშუალება მისცა უკეთესად დაეზიანებინათ ქართული სამხედრო კოლონები. მოდერნიზებული Су-25СМ-ის კაბინაში დაყენებულია მრავალფუნქციური ფერადი ინდიკატორი, რომელზეც აისახება ადგილმდებარეობის ციფრული რუკა და ფრენის მარშრუტი (თუ არ ვცდებით, ეს ახალი რუსული რადიოელექტრონული აპარატები შემუშავებულია რამენსკოეში, იმ ინსტიტუტში, რომელსაც გივი ჯანჯღავა დიდი ხანია ხელმძღვანელობს – ავტორი).

მიუხედავად მოდერნიზაციისა, რუსულმა მოიერიშეებმა დიდი დანაკარგი განიცადეს ქართველი მეზენიტეებისგან. თავად ვლადიმირ ბაბაკი აღიარებს, რომ ქართველებმა სამი რუსული მოიერიშე ჩამოაგდეს, დაილუპა რგოლის მეთაური ვლადიმირ ედამენკო, კიდევ სამ მოდერნიზებულ Су-25СМ-ს მოხვდა ქართველების ნასროლი საზენიტო რაკეტები, მაგრამ მათ მიაღწიეს აეროდრომებამდე. ერთი ასეთი რუსული მოიერიშე გამოგლეჯილი მარჯვენა ძრავას საქშენით სოხუმის აეროპორტში დაეშვა. სავარაუდოდ, მას სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტა მოხვდა. ჩანს, ეს მოიერიშე კოდორის ხეობის ქართულ სოფლებს ბომბავდა.

ბაბაკი იმასაც ამბობს, რომ მის მოდერნიზებულ Су-25СМ-ებს სითბურის გარდა რადიოლოკაციური და რადიობრძანებებით მართვადი საზენიტო რაკეტებიც მოხვდა, რომლებიც ქართულმა საჰაერო თავდაცვამ ისროლა.

ძალზე სამწუხაროა, რომ ერთ დროს თბილისში აწყობილი Су-25-ები დღეს ისევ ქართულ მიწას ბომბავენ, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით, მთავარია, კარგად ვისწავლოთ საჰაერო აგრესორის საკადრისი დასჯა.

ირაკლი ალადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 აგვისტოს ბრძოლებში Бук-М1-ის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებიც ჩაერთვნენ და ამ დღეს 4 რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, მათ შორის შორი მოქმედების ბომბდამშენი Ту-22М3, რაც ამ მრისხანე ბომბდამშენის ჩამოგდების პირველი შემთხვევაა.

10 აგვისტოს გამარჯვება თანაბრად გაინაწილეს Бук-М1-მა და Spyder-მა – თითოთითო რუსული საფრენი აპარატი ჩამოაგდეს. საერთო ჯამში გამოდის, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების საჰაერო თავდაცვამ სამ დღეში ჩამოაგდო და დააზიანა 12 რუსული თვითმფრინავი, ხოლო სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ ჩამოაგდო და დააზიანა 7-8 რუსული თვითმფრინავი და შვეულმფრენი.



ბრძოლიდან გამოსული საზენიტო ქვემეხი С-60

რუსული საბრძოლო ავიაციის დანაკარგი მართლაც აღწევს 19-20-ს, როგორც ეს თავიდან ცხადდებოდა.

*ირაკლი ალადაშვილი*




Spyder-ი გამოფენაზე

**ჩვენი დოსიე:** ებრაული ფირმა Rafael-ის მიერ წარმოებული ახლო მოქმედების მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსისთვის — Spyder-ისთვის საქართველო-რუსეთის ხუთდღიანი ომი საბრძოლო ნათლობად იქცა, რომელშიც მას თავი ნამდვილად არ შეურცხვენია.

Spyder-ი სატვირთო ავტომობილზე დამონტაჟებული ოთხ სარაკეტოგამშვებიან საზენიტო-სარაკეტო დანადგარს წარმოადგენს. მის გარდა კომპლექსში შედის მართვის პუნქტი და რადიოლოკაციური სადგური.

Spyder-ის სარაკეტო კონტეინერებში ორი სახის საზენიტო რაკეტა შეიძლება განთავსდეს. პირველი მათგანი ინფრაწითელი დამიზნების Python-5-ია. რაკეტის სიგრძე 3მ-ია, დიამეტრი — 0,16მ, მასა — 105კგ, ფრენის სიშორე 15კმ-მდე.

მეორე ტიპის რაკეტას რადიოლოკაციური დამიზნების Derby წარმოადგენს. მისი სიგრძე 3,6მ-ია, დიამეტრი — 0,16მ, მასა — 121კგ.

რაკეტების მიხედვით, შეიძლება არსებობდეს ებრაული „ობობის“ ორი ვარიანტიც. Spyder-SR-ის მოქმედების მინიმალური სიშორე 1კმ-ია, მაქსიმალური 15კმ, ხოლო სიმაღლე 20 მეტრიდან 9 კმ-მდე.

Spyder-MR-ი უფრო სოლიდურად გამოიყურება — მისი მოქმედების რადიუსი 1კმ-იდან 35კმ-მდეა, ხოლო მოქმედების სიმაღლე — 20 მეტრიდან 16კმ-მდე.

Spyder-ის მართვის ცენტრი, ისევე როგორც საჰაერო სამიზნეების აღმოჩენისა და დამიზნების რადიოლოკაციური სადგური, ულტრათანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურითაა აღჭურვილი.

არ ვიცით, გაითვალისწინა თუ არა ინდოეთმა ებრაული „ობობას“ წარმატება ცხინვალის თავზე, მაგრამ ფაქტია, — სექტემბრის დასაწყისში დელიმ



სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტის Python-5-ის სტარტი

ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც ფირმა „რაფაელისგან“ 18 Spyder-ის შეძენას ითვალისწინებს 260 მლნ აშშ დოლარად. ებრაულმა „ობობამ“ ინდოეთის საჰაერო თავდაცვის ძალებში საბჭოთა სტაციონარული С-125-ები, მობილური Оса-АКМ-ები და Стрела-10М-ები უნდა ჩაანაცვლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას წარმოადგენს რუსული აგრესიის მთავარი შემსრულებელი — 58-ე არმია

**რუსეთის არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიანი 58-ე საერთო-საჯარისო არმიის შენაერთების საქართველოში შემოჭრამ რუსეთის სამხედრო მანქანის ბევრი ნაკლი გამოამზეურა**



ჩრდილო კავკასიაში მდგარმა რუსულმა 58-ე არმიამ 2008 წლის აგვისტოში დაახლოებით იგივე გააკეთა დამოუკიდებელ საქართველოში, რაც 1921 წლის თებერვალში რუსულმა მე-11 არმიამ.

დღეს ბევრი კამათობს და მარჩიელობს, რა ძალებს ფლობდა რუსული 58-ე არმია საქართველოში შემოჭრისას.

ჩვენ წმინდა სტატისტიკურ მონაცემებს მოგაწვდით რუსული 58-ე არმიისა და სხვა იმ შენაერთების შესახებ, ვინც მონაწილეობდნენ საქართველოს ოკუპაციაში.

უპირველესად ეს ეხება რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის – СКВО-ს განკარგულებაში არსებულ 58-ე საერთო-საჯარისო არმიას.

თავად СКВО-ში 86 ათასზე ცოტა მეტი კაცი მსახურობს. ეს სამხედრო ოლქი უშუალოდ ემორჩილება რუსეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობას.

58-ე არმია ჯერ СКВО-ს, ხოლო შემდეგ სახმელეთო ჯარების დაქვემდებარებაშია. არმიის პირადი შემადგენლობა 26500 კაცს ითვლის, შეიარაღებაში ჰყავთ 254 ტანკი, 702 ჯავშანმანქანა და აქვთ 318 ერთეული 100მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო სისტემა (СКВО-ში 58-ე არმიის გარდა გაერთიანებული არიან ცალკეული დაქვემდებარების სამხედრო ნაწილებიც).

უშუალოდ 58-ე არმიას ექვემდებარება 48-ე ცალკეული რადიოტექნიკური ბატალიონი, 67-ე საზენიტო-სარაკეტო ბრიგადა (დისლოცირებულია ბეკეტოვსკაიაში), 943-ე რეაქტიული საარტილერიო პოლკი (განთავსებულია კრასნოოკტიაბრსკში, მსახურობს 804 კაცი და შეიარაღებაში აქვთ 39 ერთეული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, მათ შორის 36 ცალი 9П140 Ураган-ი და 3 ერთეული БМ-21 Град-ი. ეტყობა, სწორედ ამ პოლკის „ურაგანები“ შემოიყვანეს ჯავაში, საიდანაც ქართულ დასახლებულ პუნქტებს რაკეტებს ესროდნენ. არსებობს ფოტოსურათი, სადაც 7 რუსული „ურაგანი“ საცეცხლე პოზიციაზე დგას (სადღაც ჯავის რაიონში), 136-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა (დისლოკაციის ადგილი ბუინაკსკი, პირადი შემადგენლობა 3900 კაცი, შეიარაღებაშია 34 ტანკი, 160 ჯავშანმანქანა და 24 საარტილერიო სისტემა 2С1 Гвоздика), 291-ე საარტილერიო ბრიგადა (მაიკოპი, 310 სამხედრო მოსამსახურე, 77 ჯავშანმანქანის მსგავსი და 72 ცალი 152მმ-იანი სადივიზიო ბუქსირებადი ჰაუბიცა 2А65 Мста-Б), 205-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა (ბუდიონოვსკი, 3900 კაცი, 34 ტანკი, 34 საბრძოლო ჯავშანმანქანა და 24 საარტილერიო დანადგარი, მათ შორის 12 „გრადი“ და ამდენივე თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С3 Акация).

ეროვნული ბიბლიოთეკა




გარდა ამისა, 58-ე პოლკის უშუალო დაქვემდებარებაშია კიდევ რამდენიმე ცალკეული სამხედრო ნაწილი.

58-ე არმიის დამრტყმელი ძალაა მე-19 მოტომსროლელი დივიზია, რომლის შტაბი ვლადიკავკაზშია. დივიზიაში 13161 კაცი ირიცხებოდა და მის შეიარაღებაში იყო 155 ტანკი (მათ შორის 8 ცალი T-64 და 147 T-72), 485 საბრძოლო ჯავშანმანქანა (БМП-1, БМП-2, БТР-70 და БТР-80) და 158 საარტილერიო სისტემა (მათ შორის 12 ერთ. 2С19 МСТА-С, 39 ერთ. 2С3 Акация და 13 „გრადი“).

მე-19 მოტომსროლელ დივიზიაში შემავალი ნაწილები დისლოცირებული არიან ტროიცკაიაში (503-ე მოტომსროლელი პოლკი), ვლადიკავკაზში (693-ე მოტომსროლელი პოლკი), მოზდოკში (429-ე მოტომსროლელი პოლკი), 141-ე ცალკეული სატანკო ბატალიონის (ვლადიკავკაზი) შეიარაღებაშია 35 ტანკი, ხოლო 292-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკის (ვლადიკავკაზი) განკარგულებაშია 49 საარტილერიო სისტემა. 135-ე მოტომსროლელი პოლკი განთავსებულია პროხლადნიში (2063 კაცი, 31 ტანკი და 36 საარტილერიო სისტემა).

СКВО-ში 58-ე არმიის გარდა შედის მე-20 მოტომსროლელი დივიზია (შტაბი ვოლგოგრადში, პირადი შემადგენლობა 10259 კაცი) და 42-ე მოტომსროლელი დივიზია.

ჩვენთვის უფრო საინტერესო სწორედ ეს უკანასკნელია, რადგან სწორედ 42-ე მოტომსროლელი დივიზიის (შტაბი ჩეჩნეთში, ხანკალას სამხედრო აეროდრომზე) შემადგენლობაში ირიცხებიან ჩეჩნური ბატალიონები „ზაპადი“ და „ვოსტოკი“, თუმცა ისინი ოპერატიულად რუსეთის განშტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოს – ГРУ-ს ექვემდებარებიან.

სწორედ ეს ჩეჩნური ბატალიონები მონაწილეობდნენ ცხინვალთან ბრძოლებში.

42-ე მოტომსროლელი დივიზიის შემადგენლობაში შედის 70-ე, 71-ე, 72-ე, 291-ე მოტომსროლელი პოლკები, 50-ე თვითმავალი არტილერიის პოლკი, 417 ცალკეული სადაზვერვო ბატალიონი, 539-ე ცალკეული საინჟინრო ბატალიონი და სხვა სამხედრო ნაწილები.

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის – СКВО-ს პირდაპირ დაქვემდებარებაშია 1-ელი სარაკეტო ბრიგადა. ეტყობა, სწორედ ამ სარაკეტო ბრიგადის კუთვნილი ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები Точка-У-ები შემოიყვანეს როგორც ცხინვალთან, ისე ოჩამჩირეში, საიდანაც რაკეტები გაუშვეს ონის (ორი „ტოჩკა-უ“), გორისა (არანაკ-




58-ე არმიის სადაზვერვო დანაყოფები იგოეთის ტერიტორიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებ ორი) და ფოთის (ორი რაკეტა) მიმართულებით.

ამავე სარაკეტო ბრიგადის შეიარაღება-ში გასულ წელს მიიღეს თანამედროვე ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსების Искандер-М-ების დივიზიონი.

თბილისთან ახლოს, ვაზიანთან, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ახლოს აფეთქე-ბული „ისკანდერის“ რაკეტა, სავარაუ-დოდ, სწორედ ამ ბრიგადამ გვესროლა უშუალოდ რუსეთის ტერიტორიიდან. საქართველოზე შეტევაში ასევე მონაწი-ლეობდნენ რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების 76-ე სადესანტო-მოიერიშე დი-ვიზიის დანაყოფები. ამ დივიზიის შტაბი ფსკოვშია. მასში 6588 კაცი მსახურობს და შეიარაღებაში ჰყავს 338 საბრძოლო ჯავშანმანქანა (მათ შორის БМД-1, БМД-2 და ჯავშანტრანსპორტიორები БТР-Д) და აქვს 86 საარტილერიო სისტემა (თვითმავალი საარტილერიო დან-ადგარები 2С9 Нона და ჰაუბიცები Д-30).

გარდა ზემოჩამოთვლილი შენაერთებ-ისა, ბრძოლებში მონაწილეობდნენ რუსე-თის ГРУ-ს დაქვემდებარებული პატარ-პატარა ჯგუფებიც, რომლებსაც კონკრე-ტული ამოცანები ჰქონდათ დასახული. ჩვენ შეიძლება ჯერ კიდევ არ ვიცით, რა შენელებული მოქმედების ნაღმები დაგვი-ტოვეს ამ რუსულმა სპეცდანიშნულების რაზმებმა როგორც პირდაპირი, ისე გადა-ტანითი მნიშვნელობით (გადატანით მნიშ-ვნელობაში იგულისხმება ოკუპირებულ ქართულ სოფლებში უკმაყოფილო მო-სახლეობის გადაბირების მცდელობა).

საქართველოს ხელისუფლებას (რო-გორც პოლიტიკურ, ისე სამხედროს), ბუ-ნებრივია, აქვს ყველა ის ინფორმაცია, რაც ჩვენ ამ სტატიაში მოვიყვანეთ. თუ რამდე-ნად იქნა გაანალიზებული რუსეთის შეი-არაღებული ძალების ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის – СКВО-ს, 58-ე არმი-ის, მე-19 და 42-ე მოტომსროლელი დივი-ზიების, ისევე როგორც ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიისა და მე-4 საჰაერო არმიის (ამ არმიის ავიაციაზე წინა ნომრებში ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდეთ და ამიტომაც ამ სტატიაში აღარ შევეხეთ) შესაძლებლობები და რესურსები, ძნელი სათქმელია.

იქიდან გამომდინარე, თუ რა შედეგი მივიღეთ, ეტყობა, დეტალური ანალიზი მართლაც არასრულად გაკეთდა ან საერ-თოდ არ გაკეთებულა.

*ირაკლი ალადაშვილი*

26028

დაჭრილი და დაღუპული რუსი აგრესორები ქართველი არტილერისტების ზუსტი სროლის შედეგია



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსეთი სამხედრო ხარჯებს ზრდის

ცხინვალის მოვლენების დროს რუსეთის ნახევრად მშიერ-ჩაუცმელი არმიის კიდევ ერთი პრობლემა გაცხადდა — მოძველებული, 25-30 წლის წინ გამოშვებული სამხედრო ტექნიკა ექსპლუატაციას ვეღარ უძლებდა და სამხედროები გზადაგზა ტოვებდნენ.

სამხედრო მოქმედებათა წარმოების თანამედროვე მოთხოვნებისაგან ჯერ კიდევ შორს მდგომმა რუსეთის არმიამ საქართველოსთან კონფლიქტში წარმატებას არა ხარისხობრივი მაჩვენებლებით, არამედ რაოდენობის ხარჯზე მიაღწია.

საჯაროდ გამომზეურებული ეს და სხვა პრობლემები 10 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვის „სამთავრობო საათზე" მიწვევის მიზეზი გახდა.

სერდიუკოვმა გამოყო ახალი სამხედრო საფრთხეების პირობებში შეიარაღებული ძალების მშენებლობის ძირითადი ამოცანები და პრობლემები იმ ოპერაციის გათვალისწინებით, რომელიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტისას საქართველოს მშვიდობისათვის იძულების დროს ჩატარდა.

თავდაცვის მინისტრმა დუმის დეპუტატები დაამედა და აღუთქვა, რომ არმია უფრო მობილური და ბრძოლისუნარიანი იქნება და ნებისმიერი სახის ამოცანის შესრულებას შეძლებს.

დუმის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ ოზეროვის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ბიუჯეტის მუხლი „ეროვნული თავდაცვა" დამატებით 28,9 მილიარდ რუბლს, ანუ დაახლოებით 1 მილიარდ 142 მილიონ დოლარს მიიღებს.

თანხის ნაწილი ნოემბერში სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაჯგუფების უზრუნველყოფას მოხმარდება ვენესუელის ფლოტთან ატლანტის ოკეანეში ერთობლივი სწავლების ჩატარების დროს.



რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი

დამატებითი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად, არმიისა და ფლოტის ზურგის უზრუნველყოფაზე, თავდაცვის სფეროში საკვლევ სამუშაოებზე, კოლექტიურ უსაფრთხოებასა და სამშვიდობო ოპერაციებზე დაიხარჯება.

ჯარების სანივთე და კვებით უზრუნველყოფაზე, საწვავისა და საზეთ-საპოხი მასალების შესაძენად დაახლოებით 16 მილიარდი რუბლი, ანუ 632 მილიონი დოლარია გამოყოფილი.

ახალი შეიარაღებისთვის და სამხედრო ტექნიკისთვის დამატებით 1 მილიარდ 768 მილიონ 500 ათასი რუბლი, ანუ 700 მილიონი დოლარი დაიხარჯება.

ჩადის რესპუბლიკასა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიით რუს მშვიდობისმყოფელთა მომზადებისა და გაგზავნისათვის 800 მილიონი რუბლი, ანუ 31 მილიონ 600 ათასი დოლარია დაგეგმილი.

დამატებითი დაფინანსების შემდეგ რუსეთის თავდაცვის ხარჯები 2008 წელს 1 ტრილიონ 16 მილიარდ 664 მილიონ 600 ათას რუბლს, ანუ დაახლოებით 40 მილიარდ 184 მილიონ დოლარს მიაღწევს.

დამატებითი დაფინანსების შემდეგ რუსეთი თავდაცვის ხარჯებით იტალიას დაეწევა. წინ კი აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, იაპონია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არიან.

არსებობს სხვა მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც დამატებითი დაფინანსებით რუსეთის თავდაცვის ხარჯები 50 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.

*თემურ ჩაჩანიძე*



მოსკოვი კავკასიურ ერებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს მარჯვედ იყენებს და დაპირისპირებისა თუ ურთიერთსიძულვილის გასაღრმავებლად კონფლიქტებში ეთნიკური ნიშნებით შექმნილი რუსეთის არმიის ქვედანაყოფების გამოყენებაზე გადავიდა.



ოსი მოლაშქრეები

# რუსეთის აგრესია და კავკასიელთა ბატალიონები

1992 წლის შემოდგომაზე რუსეთის ჩრდილოკავკასიური რეგიონის ჩრდილო ოსეთისა და ინგუშეთის ავტონომიებს შორის არსებული დაპირისპირება კონფლიქტში გადაიზარდა. იმდროისათვის ჩრდილო ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე ჰყავდა საკუთარი „ომონის“ რაზმები, მაგრამ ეს ძალა არასაკმარისად ჩაითვალა და მოსკოვის ხელშეწყობით ვლადიკავკაზში ეროვნული გვარდიისა და სახალხო ლაშქრის ფორმირება დაიწყო.

ჩრდილო ოსეთისა და ინგუშეთის საგანგებო მდგომარეობის რაიონში დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის ხელისუფლებისგან გამოგზავნილმა გიორგი ხიჟამ ვლადიკავკაზში ჩამოსვლისთანავე განაცხადა, რომ რუსეთი ოს ხალხს ინგუშების აგრესიის წინაშე მარტო არ დატოვებდა.

გაიცა ბრძანება და ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის შეიარაღებიდან ოსურ ფორმირებებს გადაეცა 57 ტანკი Т-72, 18 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2, 53 ჯავშანტრანსპორტიორი, 23მმ-იანი 11 საზენიტო დანადგარი ЗУ-23-2, 642 ერთეული ავტომატური საბრძოლო იარაღი საბრძოლო მასალებით და ა.შ..



პირადი შემადგენლობის ოსი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეებითა და მოხალისეებით შევსება სირთულეს არ წარმოადგენდა. ვლადიკავკაზსა და მის შემოგარენში რუსეთის არმიის მთელი მოტომსროლელი დივიზია, ორი სამხედრო სასწავლებელი და შინაგანი ჯარის რამდენიმე ქვედანაყოფი იდგა. ახალ ფორმირებებში მრავლად იყვნენ ცხინვალის რეგიონიდან გადმოსული ოსებიც.

1992 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის არმიის „სამშვიდობო ოპერაცია“ ინგუშების სოფლებზე ტანკების შეტევით დაიწყო, რომელსაც ჯავშანტრანსპორტიორებით ოსური კანონიერი თუ უკანონო ფორმირებები მიჰყვებოდნენ.

ინგუშთა დასახლებები მიწიდან აღიგავა, ასეულობით მშვიდობიანი კაცი დაიღუპა და ათასობით სპეციალურ ბანაკებში გამოკეტილი აღმოჩნდა, ხოლო მოსახლეობის გაძარცული ქონების დიდი ნაწილი როკის გვირაბით ცხინვალში შემოვიდა.

ინგუშებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა რუსეთის გენერალიტეტი ეთნიკური ქვედანაყოფების შექმნის საჭიროებაში დაარწმუნა და ოსურმა რაზმებმა ხელახალი ფორმირება განიცადეს. შეიქმნა ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი, რომელიც ვლადიკავკაზის მე-19 მოტომსროლელი დივიზიის შემადგენლობაში შევიდა. ბატალიონმა „ბესლანის“ სახელი არცთუ დიდი ხნის წინ მიიღო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მე-19 დივიზიის რეკლამირების დროს აღნიშნავს, რომ ეს შენაერთი ორიენტირებულია ოსეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე მშვიდობის შენარჩუნებასა და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისიის შესრულებაზე.

„ბესლანის“ პირადი შემადგენლობა სამსახურს ვლადიკავკაზთან ერთად ცხინვალის რეგიონში, ე.წ. „სამშვიდო ძალების“ ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონ „ალანიაში“ გადიოდა.

ბატალიონი „ალანია“ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 1992 წლის ივნისში შემოვიდა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების წინ მის შემადგენლობაში დაახლოებით 560 მოსამსახურე იყო. რუსეთის არმიაში მიღებული შტატებით ბატალიონს ჰყავდა 18 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80, 22 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2 და მსუბუქი ცეცხლსასროლი საშუალებები. პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს სამხრეთ ოსები, ანუ ისევ რუსეთის მოქალაქეები შეადგენდნენ. „ალანიას“ რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ყაზბეგ ფრიევი მეთაურობდა.

აგვისტოს დასაწყისიდან ქართულ სოფლებსა და იქ განლაგებულ ქართულ ქვედანაყოფებზე განხორციელებულ საცეცხლე დარტყმებში სხვა ოსურ

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ვოსტოკის“ დაჭრილი ჩეჩენი მებრძოლი



ჩეჩენი მებრძოლები

ფორმირებათა გვერდიგვერდ სამშვიდობო ბატალიონ „ალანიას“ პირადი შემადგენლობაც მონაწილეობდა. ბატალიონი ამ მიზნით ქვეითთა საბრძოლო მანქანებს, ნაღმსატყორცნებსა და მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს იყენებდა.

ცხინვალში მიმდინარე ბრძოლების დროს ბატალიონი „ალანია“ კოკოითის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად იბრძოდა, ხოლო ბატალიონი „ბესლანი“ მე-19 დივიზიის სხვა ნაწილებს შემოჰყვა.

რუსეთის არმიის ოსურმა ბატალიონებმა თავი მაროდიორობით, ქართველი მოსახლეობის ძარცვითა და სახლების გადაწვით გამოიჩინეს. ზოგიერთი დანაყოფი კი გორიდან თბილისი-სენაკის ცენტრალურ მაგისტრალზე გამოვიდა, სადაც ჟურნალისტების წინ თავს იწონებდნენ.

აგვისტოს ბრძოლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ რუსეთის არმიამ კიდევ ერთი ეთნიკური ფორმირება – ჩეჩნური ბატალიონები გამოიყენა და ცხინვალში ერთ-ერთი პირველი ჩეჩნური ბატალიონის, „ვოსტოკის“ ასეული შემოვიდა.

რუსეთის არმიის შემადგენლობაში პირველი ჩეჩნური ასეული 2002 წელს ჯაბრაილ იამადაევმა ჩამოაყალიბა. ის თავის დროზე დუდაევის მხარეს იბრძოდა, მაგრამ რუსეთის სპეცსამსახურებმა მისი გადმობირება და თანამშრომლობაზე დათანხმება მოახერხეს.

2003 წლის მარტში ჯაბრაილ იამადაევი დაიღუპა და სიკვდილის შემდეგ რუსეთის გმირობა მიენიჭა. მისი საქმე მეორე ძმამ – სულეიმანმა გააგრძელა და იმავე

„ვოსტოკის“ მებრძოლები გორის რაიონში



წელს ასეული ბატალიონად გადაკეთდა.

ბატალიონს სახელად „ვოსტოკი“ შემორჩა და შტატით 562 სამხედრო მოსამსახურეზე გათვლილი ქვედანაყოფი 42-ე მოტომსროლელი დივიზიის 291-ე მოტომსროლელი პოლკის დაქვემდებარებაში გადავიდა.

„ვოსტოკის“ ბაზა ქალაქ გუდერმესში მდებარეობს და პირადი შემადგენლობის ახლანდელი რიცხოვნობა უცნობია. სახელდება 800-დან 1000 კაცამდე და ისინი, ძირითადად, ადგილობრივი გუდერმესელები არიან. ბატალიონს ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ძალებთან ბრძოლა მუდმივად უხდება და შეტაკებებში 100-ზე მეტი კაცი დაკარგა, ხოლო 200-ზე მეტი დაეჭრა. ყველაზე დიდი დანაკარგი 2006 წლის თებერვალში განიცადა, როცა ყაზარმაში აფეთქებას 12 კაცის დაღუპვა და 35-ის მძიმედ დაჭრა მოჰყვა.

ბოლო დრომდე ბატალიონის მეთაურად რუსეთის გმირი, პოდპოლკოვნიკი სულეიმან იამადაევი რჩებოდა, რომელიც ასევე დუდაევის თანამებრძოლად ითვლებოდა და გუდერმესის დაჯგუფებაში შემავალ ეროვნული გვარდიის II ბატალიონს მეთაურობდა. მან საბოლოოდ მაინც კადიროვის მხარეს გადასვლა ამჯობინა და ძმის დაღუპვის შემდეგ სათავეში ბატალიონ „ვოსტოკს“ ჩაუდგა.

2008 წლის 14 აპრილს პრეზიდენტ კადიროვისა და „ვოსტოკის“ მეთაურის ძმის, ბატრული იამადაევის კორტეჟებმა გუდერმესთან გზა ერთმანეთს არ დაუთმეს, რაც დაპირისპირების მიზეზი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას დაემატა რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარი სარდლობის მიერ ბატალიონში ჩატარებული შემოწმება, რომლითაც პირადი შემადგენლობის მომზადებასა და ყოველდღიურ საქმიანობაში აღმოჩენილი დარღვევები გამოვლინდა.

2008 წლის 12 მაისს სულეიმან იამადაევი ბატალიონის მეთაურობიდან გადააყენეს და ორი კვირის შემდეგ მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მასზე 6 აგვისტოდან ძებნაა გამოცხადებული. ძებნილი იამადაევი ამ დროს ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც რუსულ მედიას ინტერვიუებით ამარაგებდა.

21 აგვისტოდან რუსეთის თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვის ბრძანებით რუსეთის გმირი, პოდპოლკოვნიკი სულეიმან იამადაევი თადარიგში გაუშვეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ სულეიმან იამადაევი შეიძლება აფხაზეთის ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრად ან სამხედრო მრჩევლად დაინიშნოს.

42-ე დივიზიის დაქვემდებარებაში იმყოფება მეორე ჩეჩნური ბატალიონი „ზაპადი“, რომელსაც პოდპოლკოვნიკი საიდ-მაჰომედ კაკიევი მეთაურობს. ბატალიონის პასუხისმგებლობის ზონაში ქალაქი გროზნი და ჩეჩნეთის დასავლეთი ნაწილი შედის.

„ზაპადი“ 2003 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა და ყველაზე საიმედო ჩეჩნურ ფორმირებად ითვლება. შედგება რუსეთის ხელისუფლების მომხრე, ანუ იჩქერიის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ჩეჩნებისაგან, რომელთა დიდი ნაწილი დუდაევს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში ებრძოდა. ბატალიონში, სავარაუდოდ, 1000 კაცამდე მსახურობს.

ორივე ბატალიონი „ვოსტოკი“ და „ზაპადი“ მხოლოდ ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქისა და სახმელეთო ჯარების სარდლობის ბრძანებებს ასრულებენ, რომლებსაც ზემდგომის სახით რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი და თავდაცვის სამინისტრო ჰყავს. მათ ზევით უკვე უმაღლესი მთავარსარდალი — პრეზიდენტია.

ორივე ქვედანაყოფი გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ინტერესებისათვის სხვადასხვა დავალებას ასრულებს. თავის დროზე, სწორედ ამ უწყების მხარდაჭერითა და მოწადინებით მოხერხდა ჩეჩნური ბატალიონების ჩამოყალიბება.

ბატალიონები სამ-სამი მოტომსროლელი ასეულისგან შედგება. გარდა ამისა, შტატით გათვალისწინებულია კავშირის ოცეული, ნაღმსატყორცნთა ბატარეა, სნაიპერთა, ავტომატურ ყუმბარმტყორცნელთა, სამეურნეო დანიშნულებისა და სხვა დანაყოფები.

ოფიცრები, პრაპორშჩიკები და რიგითები ჩეჩნები არიან, ხოლო ინსტრუქტორებად რუსი ოფიცერი-მზვერავები მუშაობენ.

მებრძოლებს კარგი ფიზიკური მომზადება აქვთ გავლილი, შეგუებული არიან საბრძოლო პირობებთან და უამინდობასა თუ ომის სიძნელეებს იოლად იტანენ.

პირადი შემადგენლობის მომზადებაში დიდი ადგილი უკავია ტყეში ბრძოლისა და სანაღმო-ასაფეთქებელი საქმის შესწავლას, მებრძოლების ურთიერთმოქმედების ელემენტების დახვეწას, ქვედანაყოფის შეთანხმებულ მოქმედებებს არტილერიასა და ავიაციასთან და ა.შ..

ჩეჩნებით დაკომპლექტებული არც ერთი ქვედანაყოფის გამოყენებისა და შესაბამისი ბრძანების გაცემის უფლება ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვს არ აქვს და ეს მხოლოდ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმების შემდეგ არის შესაძლებელი. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება. კადიროვ-იამადაევის დაპირისპირების რეალური მიზეზიც, ალბათ, აქ იმალება.

თავად ბატალიონების პირადი შემადგენლობის ჩეჩნეთის გარეთ გამოყენებას კი რუსეთის უმაღლესი სამხედრო ორგანოები განსაზღვრავენ.

„ვოსტოკისა“ და „ზაპადის“ 54 სამხედრო მოსამსახურე 2006 წელს ლიბანში იმყოფებოდა, სადაც ხიდების მშენებელ რუსულ საინჟინრო ბატალიონს იცავდა. 2007-08 წლებში ჩეჩნები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ე.წ. რუსული სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში გამოჩნდნენ, სადაც სპეცდავალებების შესრულებით უფრო იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნებით.



ცხინვალი. 2008 წლის აგვისტო. რუსეთის გმირი სულეიმან იამადაევი

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში ორივე ჩეჩნური ბატალიონის — „ვოსტოკისა“ და „ზაპადის“ ასეულები მონაწილეობდნენ, თუმცა „ზაპადის“ შესახებ დადასტურებული ინფორმაცია არ მოიპოვება.

ბატალიონ „ვოსტოკის“ ავანგარდი 3 МТЛБ-ითა და 2 „კამაზით“, დაახლოებით 80 ჯარისკაცით 8 აგვისტოს ჯავაში იმყოფებოდა და 9-ში დილით უკვე ცხინვალში შემოვიდა.

ბატალიონის მეთაური იამადაევი რუს ჟურნალისტთან საუბრისას ამბობდა: „ჩვენ საქართველოს სიღრმეში შესვლის ამოცანა დაგვისვეს. შეგვიძლია თბილისამდე მისვლა. ჩვენთვის საინტერესოა ბრძოლა, რადგანაც ქართველებს მომზადების სხვა სკოლა აქვთ. ვნახოთ, ვისი აჯობებს“.

ჩეჩნების ეს დანაყოფი უშუალოდ იამადაევის მეთაურობით გადაადგილდებოდა და 11 აგვისტოს სოფელ ქვემო ხვითთან რუსების სამხედრო კოლონასთან ერთად ძლიერ საარტილერიო ცეცხლქვეშ მოჰყვა. შემდეგ ბატალიონმა გორის რაიონის სოფე-



„ვოსტოკის“ მებრძოლი შეტევის დროს

ლი შინდისი გაიარა და სოფელ ვარიანთან გორიდან 7 კილომეტრში შეჩერდა.

იამადაევი აღიარებდა, რომ უფრო წინ წასვლა შეეძლოთ და ამაში სირთულეს არ ხედავდა. ჩეჩნები ოსურ ქვედანაყოფებთან (იგულისხმება „ალანია“ და „ბესლანი“) ერთად მოქმედებდნენ და მათ დახმარებას ქართველი თარჯიმნები უწევდნენ.

რუსების ჯავშანტექნიკისაგან ჩეჩნების ქვეითთა საბრძოლო მანქანებს ბორტებზე გაკეთებული წარწერა — „ვოსტოკ ჩეჩნია იამადაევცი“ გამოარჩევდა.

ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, ომში „ვოსტოკის“ დანაკარგი სულ 3 დაჭრილი მებრძოლით შემოიფარგლა. ჩეჩნურ არასამთავრობო ორგანიზაციებს სულ სხვა ციფრი მოჰყავთ — 30-დან 40-მდე დაღუპულს ასახელებენ.

საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში მებრძოლების გამოგზავნა „ნებაყოფლობითი იძულების“ პრინციპით მიმდინარეობდა და ვისაც ამის სურვილი არ ჰქონდა, არმიიდან დათხოვნა ემუქრებოდა.

ჩეჩნებმა ბევრად უფრო მეტი სისხლი აფხაზეთში, 1992-93 წლების კონფლიქტში დაღვარეს და სეპარატისტთა გამარჯვებაში არცთუ პატარა წვლილი შეიტანეს. აფხაზური მონაცემებით, მაშინ აფხაზთა მხარეს დაახლოებით 445 ჩეჩენი იბრძოდა, საიდანაც 75 დაიღუპა და 147 დაიჭრა, ხოლო შამილ ბასაევი აფხაზთა სათაყვანებელი გმირი გახდა.

საჭიროების შემთხვევაში რუსებს შეუძლიათ დამატებით კიდევ ორი ჩეჩნური ბატალიონის გამოყენება, რომლებიც რუსეთის შინაგანი ჯარის 46-ე ბრიგადის შემადგენლობაში შედიან.

248-ე ბატალიონი „სევერი“ დაახლოებით 500 მოსამსახურეს ითვლის. მისი მეთაური პოდპოლკოვნიკი ალიმბეკ დელიმხანოვია. ბატალიონის დისლოკაციის ადგილია გროზნი, მე-15 სამხედრო ქალაქი და პასუხისმგებლობის ზონა ჩეჩნეთის დედაქალაქსა და მის შემოგარენზე ვრცელდება.

249-ე ბატალიონ „იუგში“ დაახლოებით 700 მოსამსახურე ირიცხება და მეთაური მაიორი მუსლიმ ილიასოვია. ბატალიონი ვედენოს რაიონშია დისლოცირებული.

ორივე ბატალიონს ერთნაირი შტატი აქვს ანუ სამი მოტომსროლელი ასეული, კავშირის, სარემონტო, ტექნიკური და სხვა ოცეულები.

შინაგანი ჯარის ბატალიონების მთავარი დანიშნულება იატაკქვეშეთში მოქმედი ჩეჩნების რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაა.

46-ე ბრიგადა მთლიანად კონტრაქტით მომსახურე პირადი შემადგენლობით არის დაკომპლექტებული და შინაგანი ჯარის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის დაქვემდებარებაშია.

არსებობს მონაცემები, რომ რუსეთის ხელისუფლება შინაგანი ჯარის ჩეჩნური ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებს ზოგჯერ მეზობელ ინგუშეთში მიტინგებისა და გამოსვლების დასაშლელად იყენებს.

რუსეთის არმიაში ჩეჩნურ ბატალიონებში კონტრაქტით მომსახურე რიგითი ჩეჩნები თვეში 12-დან 15 ათასამდე რუბლს, ანუ 480-დან 600-მდე დოლარს იღებენ. ჩეჩნეთში არსებული უმუშევრობის ფონზე ეს ბევრ ახალგაზრდას იზიდავს, მაგრამ ყველა მსურველის დაკმაყოფილება არ ხერხდება.

*თემურ ჩაჩანიძე*



სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ნახეთ, ვინ ჯიჯგნის ქართულ მიწას...

# დასკვნებს



**რუსეთის უმაღლესმა სამხედრო პირებმა ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებით ბოლო დროს იმდენი სიცრუე დააფრქვიეს, რომ გულში დაგროვილმა სათქმელმა ზოგიერთი მათგანი მაინც შეაწუხა და ოფიციალური შეხედულებებისაგან განსხვავებულ რაღაც-რაღაცებზე უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ.**

ერთ-ერთი მათგანია გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი ნოგოვიცინი, რომელიც სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული ბრიფინგებით გახდა ცნობილი. ის რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბში ახალი მისულია — უფროსის მოადგილის თანამდებობაზე 2008 წლის ივლისში დაინიშნა.

9 სექტემბერს გენერალმა „როსიისკაია გაზეტას“ ვრცელი ინტერვიუ მისცა, სადაც ზოგიერთ ყურადსაღებ ფაქტზე ლაპარაკობს და შესაფერის დასკვნებსაც აკეთებს.

გენერალ ნოგოვიცინის აზრით, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები მოლაშქრეების, სამხედრო ფორმირება — რესპუბლიკური „ომონისა“ და სამშვიდობო ბატალიონ „ალანიას“ კონგლომერატს წარმოადგენდა. გენერალი ადასტურებს, რომ რუსეთმა ოსებს დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა მიაწოდა — მხოლოდ ტანკი დაახლოებით 80 ერთეული და მათ შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი ნოგოვიცინი აკეთებს...

რამდენიმე T-72. ასევე გადაეცათ ოსებს 100 ქვემეხი, ნაღმსატყორცნი და „გრადის“ დანადგარი. ეს ტექნიკა ქართველების შეტევის მოსაგერიებლად საკმარისზე მეტი იყო, მაგრამ იყო მინუსები. ამასთან დაკავშირებით ის რამდენიმე დასკვნას აკეთებს:

– კოკოითის რეჟიმი დიდი ხანია მიეჩვია, რომ მოსკოვი მის მაგივრად იფიქრებდა და დარწმუნებული იყო, რომ ცხინვალში ვითარებასაც მოსკოვი აკონტროლებდა;

– ერთია დივერსიული ჯგუფების გამოყენებით საზღვარზე სროლა და მეორე ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების წარმოება;

– საბრძოლო ტექნიკა მოლაშქრეთა რაზმებს შორის იყო განაწილებული, ან ბაზებში უეკიპაჟოდ და სათანადო პროფილაქტიკის გარეშე იდგა;





ზედა ფოტოზე ბაღაფში რუს საზღვაო ოფიცერთან ერთად ფაქიზად ეპარება ყანწს... ქვედაზე კი ედუარდ ჯაბეევიჩი სალაფავივით დასწაფებია სამლიტრიან „გარშოკს“ (ამ ჭურჭელს რუსულად ასეთი სახელი ჰქვია)...

გენერალს მიაჩნია, რომ ოსების არმიის ყველა ნაკლოვანება თბილისში კარგად იცოდნენ და სპეციალურად სეპარატისტულ რეჟიმებთან საბრძოლველად იქ ამერიკელების დახმარებით შეიქმნა არმია.

საინტერესოა გენშტაბის უფროსის მოადგილის საბრძოლო მოქმედებების შეფასება:

„7 აგვისტოს გვიან ღამით დაიწყო ქართული ბლიცკრიგი – ტაქტიკური მომზადების, კავშირის ორგანიზაციისა და ღამით მოქმედების საშუალებათა უპირატესობის ხარჯზე ქართველები ცხინვალის გარშემო სიმაღლეებზე ოსების საცეცხლე წერტილების მეთოდურად ჩახშობაზე გადავიდნენ. ზუსტმა და მასირებულმა საარტილერიო ცეცხლმა, რომლის ანალოგს ოსი მოლაშქრეები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ, თავდაცვის სრული დემორალიზაცია გამოიწვია. საცეცხლე დარტყმის ქვეშ მოექცა როგორც ოსების, ასევე რუსეთის სამშვიდობო ძალების ყველა სამეთაურო პუნქტი, კავშირის კვანძი და მართვის პუნქტი. ტაქტიკურმა მოულოდნელობამ და არასტანდარტულმა მოქმედებებმა ოსები გააოგნა და „კოკოითის ხაზი“ ქართულმა ჯარებმა, ალბათ, დიდი დანაკარგის გარეშე განვლეს.

საარტილერიო ცეცხლით ცხინავალის გარშემო სიმაღლეების ელვისებური აღების შემდეგ ქართველები დაბნეული ოსი მოლაშქრეებისათვის ცხინვალის წართმევას შეეცადნენ. ეს გადაწყვეტილება ქართული სარდლობისათვის სტრატეგიულ შეცდომად გადაიქცა და უეჭველად პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. უდავოა, რომ სიმაღლეებთან ერთად ცხინვალის აღება მნიშვნელოვან პოლიტიკურ გამარჯვებად და შესანიშნავ საინფორმაციო მოვლენად გადაიქცეოდა.

ამ პიარდავალების შესრულებამ ქართველები ბრძოლების მეორეხარისხოვან მიმართულებაზე ჩაითრია. ქართული სარდლობა გვიან მიხვდა, რომ ოსეთში სამხედრო ოპერაციების მთავარი სამიზნე არა ცხინვალი, არამედ როკის გვირაბი იყო. 8 აგვისტოს ცხინვალის გვერდის ავლით მიყენებული დარტყმები ქართველებს აუცილებლად მიიყვანდა სტრატეგიული გვირაბის დაკავებამდე და მაშინ სამხრეთ ოსეთი განწირული იყო. მოქმედების ასეთი ვარიანტი ქართველ სამხედროებს უეჭველად დამუშავებული ჰქონდათ, მაგრამ პოლიტიკური შეზღუდულებები უფრო ძლიერი გამოდგა“...

რუსი გენერლის მოსაზრებებსა და დასკვნებს ძნელია, არ დაეთანხმო და არ გაიზიარო. ქართული არმია სეპარატისტების დასათრგუნვად ნამდვილად მზად იყო, მაგრამ რუსეთის არმიის წინააღმდეგ მოქმედების პოტენციალი მას არ გააჩნდა.

კვლავინდებურად ყურადღების ცენტრში რჩება შავი ზღვის ფლოტის პატარა სარაკეტო ხომალდ „მირაჟის“ ფოთთან დაკავშირებული შემთხვევა. მასალის მომზადების პერიოდში, უკრაინელი კოლეგებისგან ცნობილი გახდა, რომ ხომალდის ეკიპაჟი სევასტოპოლში რამდენიმე დღე ლოთობდა, მაგრამ სამხედრო საიდუმლო – თუ რას ესროლეს რაკეტები, არაფრისდიდებით არ გასცეს.

ამასთან, ცნობილია, რომ „მირაჟზე“ ახალი „მალაქიტები“ ჩაიტვირთა და გაშვებული რაკეტებისაგან დამწვარი ადგილები საღებავით დაიფარა, ანუ გასროლა მართლაც მოხდა. რუსული პროპაგანდის საუკეთესო ტრადიციებისამებრ საჭირო გახდა საზღვაო ბრძოლის შეთხზვა, რადგანაც რუსულ სარაკეტო ხომალდებს ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ქართული კატარღები ვერ დაუპირისპირდებოდნენ. „მირაჟმა“ რაკეტები ნამდვილად გაისროლა, მაგრამ სასწავლო იყო თუ საბრძოლო, ეს ნამდვილად საკითხავია, ანუ გასროლის შემდეგ ჰაერში რაკეტების თვითლიკვიდაცია მოხდა ისე, რომ არავინ დააზიანა. არადა ამ ზალპით რუსეთის ფლოტმა საზღვაო „გმირები“ მიიღო...

თემურ ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




# F-86 Sabre МиГ-15-ის წინააღმდეგ

## ამერიკული და რუსული ავიაციის მორიგი დაპირისპირება

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პაუზა გამანადგურებლების საბრძოლო გამოყენებაში მხოლოდ ხუთ წელიწადს გაგრძელდა. ისტორიკოსებს ჯერ კიდევ ევროპის ცაში მომხდარ საჰაერო შერკინებებზე არ ჰქონდათ დაწერილი ნაშრომები, როდესაც შორეულ კორეის ცაში ახალი რეაქტიული დაპირისპირებები გაიმართა.**

ბევრი სპეციალისტი ომებს ახალი სახის შეიარაღების გამოცდის პოლიგონს უწოდებს და 1950 წლის ნოემბერში კორეაში დაწყებულ ომს ეს განსაზღვრება სავსებით მიესადაგება. პირველად შეამოწმეს თავისი საბრძოლო შესაძლებლობები რეაქტიულმა გამანადგურებლებმა, ახალი ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენებმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა საბჭოთა МиГ-15-ისა და ამერიკული F-86 Sabre-ს შორის გამართულ დაპირისპირებას ეთმობოდა.

მუშაობა МиГ-15-ის შექმნაზე მიქოიანის საკონსტრუქტორო ბიუროში 1946 წელს დაიწყო. მისი პირველი საცდელი ნიმუში И-310 კი 1947 წლის 30 დეკემბერს აფრინდა ჰაერში და მასზე ბრიტანეთში შეძენილი Rolls-Royce Nene I-ს ტიპის ძრავა იყო დაყენებული. სერიულ მანქანებზე ძრავა РД-45Ф ყენდებოდა, რომელიც Nene II-ის ლიცენზირებულ ასლს წარმოადგენდა.

კორეის ომში МиГ-15-ის მთავარ მეტოქედ ასევე 1946 წელს ფირმა Nort American-ის შექმნილი გამანადგურებელი F-86 Sabre იქცა, რომლის პირველი საცდელი ნიმუში XP-86, თავის მეტოქეზე ორი თვით ადრე, 1947 წლის 1-ელ ოქტომბერს აფრინდა.

ორივე რეაქტიული გამანადგურებლების პირველ თაობას ეკუთვნოდა და თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა





F-86 Sabre-ისა და МиГ-15-ის პილოტების კაბინები

ერთნაირი შეთანწყობური სქემის მიხედვით იყო შექმნილი და მათ შორის განსხვავება საბრძოლო შესაძლებლობების მიხედვით არც ისე დიდი იყო. თუმცა ცარიელი წონის მიხედვით საბჭოთა მანქანა (3680კგ) F-86-თან შედარებით (4920კგ) თითქმის 1300კგ-ით მსუბუქი იყო. მაგრამ Sabre-ს „ზედმეტი წონა“ ოდნავ ძლიერი ძრავას წევის ხარჯზე კომპენსირდებოდა, რომელიც МиГ-ისაზე 100კგ-ით მეტი იყო. თვითმფრინავებზე რეაქტიული ძრავების დაყენებამ და აეროდინამიკის მაქსიმალურმა გაუმჯობესებამ თვითმფრინავების „სამუშაო“ დიაპაზონი ბგერასთან მიახლოებულ სიჩქარემდე მიიყვანა – ორივე მანქანისთვის დიდ სიმაღლეზე ფრენის მაქსიმალური სიჩქარე საშუალოდ 1050კმ/სთ-ს შეადგენდა.



მაქსიმალური სწრაფალმავლობის მიხედვით МиГ-15 აშკარად ჯაბნიდა მეტოქეს – 3000მ/წმ Sabre-ის 2200მ/წმ-ის წინააღმდეგ. თუმცა კრიტიკული სიჩქარის მიხედვით, რომელიც МиГ-15-ისთვის 0.92 M-ს შეადგენდა, Sabre 0.95 M-ს წყალობით უკეთეს პოზიციაში იყო. ამავდროულად მას 1,5 ტონა ზედმეტი საწვავის წყალობით ჰაერში გაცილებით მეტხანს შეეძლო გაჩერება.

განსხვავება მხოლოდ ამ თვითმფრინავების შეიარაღებაში იყო. МиГ-15 ერთი Н-37Д-ს ტიპის 37მმ-იანი და ორი НР-23КМ-ს ტიპის 23მმ-იანი ქვემეხით იყო შეიარაღებული. Sabre კი – ბრაუნინგის ტიპის ექვსი 12,7მმ-იანი ტყვიამფრქვევით (კორეის ომის ბოლოს Sabre-ის F-86H-ის მოდიფიკაციაზე ოთხი 20მმ-იანი ქვემეხის დაყენება დაიწყეს).

МиГ-15-ის სერიულ წარმოებაში წვლილი თბილისის დიმიტროვის სახელობის 31-ე საავიაციო ქარხანასაც (დღეს ს.ს. „თბილავიამშენი“) აქვს შეტანილი. 1950 წელს საავიაციო ქარხანამ თვითმფრინავ МиГ-15бис-ის მოდიფიკაციის წარმოება დაიწყო, რომელზეც ВК-1-ს ტიპის ძრავა ყენდებოდა და წინამორბედისგან გაუმჯობესებული მახასიათებლებით გამოირჩეოდა. მისი წარმოება თბილისში 1953 წლის დასაწყისამდე გაგრძელდა და სულ 225 თვითმფრინავი აიგო. МиГ-15бис-ის შემდეგ ქარხანა МиГ-17-ის წარმოებაზე გადავიდა, მაგრამ 1956 წლიდან თბილისში დაიწყო МиГ-15-ის ბაზაზე უპილოტო მფრინავი სამიზნის შექმნა – საამისოდ რესურსგასულ МиГ-15-ებს იყენებდნენ. მათი წარმოება 1961 წლამდე გაგრძელდა და სულ 242 თვითმფრინავი აიგო.

1945 წლის 10 აგვისტოს საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის დადებული შეთანხმების თანახმად, კორეის ნახევარკუნძულზე იაპონიის არმიის განადგურების შემდეგ, ქვეყანა 38-ე პარალელის გასწვრივ ორ ნაწილად გაიყო. ჩრდილოეთ ნაწილი საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს, სამხრეთი კი – აშშ-მა. როგორც ამბობდნენ, კომუნისტური ჩრდილო კორეის ხელისუფლებაში მოსულმა კიმ ირ სენმა თავისი სამხრეთ მეზობლის დაპყრობა განიზრახა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მას სტალინიც დაეთანხმა და 1950 წლის 25 ივნისს ჩრდილო კორეის არმია მასირებულ შეტევაზე გადავიდა. ამავე წლის ოქტომბერში კი მის დასახმარებლად კონფლიქტში ჩინეთიც ჩაერთო. თავის მხრივ, აშშ-მა მხარი სამხრეთ ნაწილს დაუჭირა და გაეროს თანხმობით კონფლიქტში ჩაერთო. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირიც და აშშ-ც თავ-თავიანთ მხარეებს საბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა




არსენალი



საბჭოთა კავშირის გარდა სხვადასხვა წლებში МиГ-15 კიდევ 35 ქვეყნის შეიარაღებაზე იდგა. ფოტოზე ალბანეთის МиГ-15-ები.

ლო ტექნიკითა და შეიარაღებით ამარაგებდნენ. განსაკუთრებული დაპირისპირება კორეის ცაში საბჭოთა და ამერიკელ პილოტებს შორის გაიმართა.

1950 წლის 8 ნოემბერს კორეის ცაში ავიაციის ისტორიაში რეაქტიულ გამანადგურებლებს შორის პირველი საჰაერო ბრძოლა გაიმართა. შუადღისთვის აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-16 ესკადრილიის ოთხი გამანადგურებელი F-80C Shooting Star მდინარე იალუძიანის მახლობლად ექვს МиГ-15-ს შეხვდა. სიჩქარესა და სწრაფალმავლობაში არსებული უპირატესობის წყალობით МиГ-ებმა საბრძოლო მოტრიალება შეასრულეს და მოწინააღმდეგეს მზის მხრიდან შეუტიეს და ერთი F-80-ის ჩამოგდება შეძლეს. არც ამერიკელები დარჩნენ ვალში და ერთი თვითმფრინავი ლეიტენანტმა ბრაუნმა ჩამოაგდო.

კორეაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას ჩრდილო კორეას სამხედრო ავიაცია, პრაქტიკულად, არ გააჩნდა. ამიტომაც საბჭოთა კავშირიდან კორეაში 64-ე საგამანადგურებლო ავიაკორპუსი გაიგზავნა, რომელიც საბჭოთა მფრინავებით (მათ შორის მეორე მსოფლიო ომის რამდენიმე ასით) იყო დაკომპლექტებული. მათი ძირითადი ბაზირების ადგილს კი აეროდრომები ანშინი და ანდუნი წარმოადგენდნენ. კონსპირაციის მიზნით საბჭოთა მფრინავები ჩინურ სამხედრო ფორმაში იყვნენ ჩაცმული და ჩინური ფსევდონიმები ჰქონდათ. მათ თვითმფრინავებზე კი ჩრდილო კორეის სამხედრო-საჰაერო ძალების განმასხვავებელი ნიშნები იყო დატანილი.

კორეის ომის დაწყების წინ ამერიკული ძირითადი გამანადგურებელი F-80 საფრენოსნო მახასიათებლების მიხედვით საგრძნობლად ჩამორჩებოდა МиГ-15-ს. ამიტომაც ომის პირველ თვეებში ამერიკულ ავიაციას დიდი დანაკარგი ჰქონდა. სწორედ ამ ფაქტორმა აიძულა ამერიკული სარდლობა კორეაში გადაესროლა F-86A Sabre-ებით სრულად დაკომპლექტებული მე-4 საგამანადგურებლო ჯგუფი. პირველი 19 თვითმფრინავი, რომელთაგანაც საბრძოლველად მზად მხოლოდ 15 იყო, კორეაში 1950 წლის 16 ჩავიდა. მეორე დღეს კი, 17 დეკემბერს, Sabre-ებსა და МиГ-15-ებს შორის პირველი საჰაერო შეტაკება გაიმართა და ის ამერიკელების სასარგებლოდ დასრულდა — ეს იყო ისრისებრფრთიანი გამანადგურებლების პირველი საჰაერო ბრძოლა. МиГ-15бис-ის ორი წყვილი სიმაღლის მიხედვით ეშელონირებულ 10 F-86-ს შეხვდა. საბჭოთა მფრინავებმა შემხვედრ გეზზე ქვედა ეშელონზე მყოფ ოთხ გამანადგურებელს შეუტიეს. მათ ვერ შეამჩნიეს მაღლა მყოფი კიდევ ექვსი ამერიკული თვითმფრინავი და შეტევაზე გამოსულები მათ ცეცხლში მოხვდნენ. 336-ე ესკადრილიის მფრინავმა ბრიუს ჰილტონმა 29-ე საგამანადგურებლო გვარდიული ავიაპოლკის МиГ-15 ჩამოაგდო. 19 დეკემბერს ექვს МиГ-15-სა და ათ F-86-ს შორის შეტაკება კვლავ ამერიკელების სასარგებლოდ დასრულდა. ამ ბრძოლაში საბჭოთა პილოტებმა შეცდომა ისევ გაიმეორეს, რაც მათ ორი თვითმფრინავის დაზიანებად დაუჯდათ.

საბჭოთა პილოტებმა რევანში 22 დეკემბერს აიღეს. იმ დღეს 1-ელი დამრტყმელი ჯგუფის ექვსეული და მისი დამცავი ერთი წყვილი ოთხ Sabre-ს გადაეყარა. საბჭოთა ექვსეულის წამყვანი მფრინავი ერთ-ერთ Sabre-ს კუდში მოექცა და 800მ-ის დისტანციიდან ჩამოაგდო.

რეაქტიულ გამანადგურებლებს შორის გამართულმა ბრძოლებმა დაადასტურა, რომ პროგნოზის მიუხედავად, ამ თვითმფრინავებში ჩადებულმა ტექნიკურმა პროგრესმა



МиГ-15-სა და F-86 Sabre-ს შორის გამართული პირველი საჰაერო შეტაკება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დასრულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




არსენალი

# F-86A Sabre

ეროვნული ბიბლიოთეკა



МиГ-15-ის ხელში ჩაგდების იმედით 100.000-დოლარიანი ჯილდო გამოცხადდა. ფოტოზე ახალგატაცებული МиГ-15 კამპოს ავიაბაზაზე.




ნო გიმ სოკის გატაცებული МиГ-15 დღეს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ნაციონალურ მუზეუმში გამოფენილი

ვერ შეცვალა ჰაერში შეიარაღებული დაპირისპირების ფორმა. საჰაერო ბრძოლებმა წარსულის ყველა ტრადიცია და კანონზომიერება შეინარჩუნა და ის კვლავ ახლო, მანევრირებულ და ჯგუფურ ხასიათს ატარებდა. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ გამანადგურებლების შეიარაღება პრაქტიკულად უცვლელი დარჩა – როგორც მეორე მსოფლიო ომში, ახლაც ტყვიამფრქვევებითა და ქვემეხებით იყო შეიარაღებული.

1950 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ჩრდილოეთ კორეის არმია შეტევაზე გადავიდა და გაეროს გაერთიანებული ჯარები 38-ე პარალელიდან 90-100 კმ-ით უკან დახია. ამერიკულმა ავიაციამ მკვეთრად შეამცირა აქტივობა და 1-დან 20 იანვრამდე საბჭოთა და ამერიკულ გამანადგურებლებს შორის მხოლოდ რამდენიმე შეტაკება გაიმართა.

კორეაში საბჭოთა МиГ-15-ების გამოჩენა ამერიკელებისთვის ერთგვარი სიურპრიზი იყო. ჩრდილო კორეის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონს კი, რომელშიც განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ МиГ-ები, ამერიკელმა მფრინავებმა „МиГ-ების ხეივანი“ უწოდეს.

1951 წლის დასაწყისისთვის კორეაში МиГ-15-ის გაუმჯობესებული მოდიფიკაცია – МиГ-15бис გამოჩნდა. დაახლოებით ორი თვის შემდეგ კი 64-ე საგამანადგურებლო ავიაკორპუსი მთლიანად ამ თვითმფრინავების გამოყენებაზე გადავიდა. ძველ თვითმფრინავებს კი ჩინელ და კორეელ კოლეგებს გადასცემდნენ. მალევე საჰაერო ბრძოლებში ორივე თვითმფრი-



МиГ-15-ის გამტაცებელი ლეიტენანტი ნო გიმ სოკი აშშ-ის პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან შეხვედრისას

ეროვნული ბიბლიოთეკა



# МиГ-15

ნავის სუსტი წერტილები გამოვლინდა. ჰორიზონტალური სამანევრო შესაძლებლობებითა და ვირაჟის ხანგრძლივობით МиГ-15бис ჩამორჩებოდა მეტოქეს. პრობლემები ჰქონდა სრიალშიც, რაც ხშირად ახლომანევრირებულ ბრძოლაში თვითმფრინავის სამანევრო შესაძლებლობებზე აისახებოდა. თავის მხრივ, ამერიკელი პილოტები მკვეთრი ჰორიზონტალური მანევრისას Sabre-ის შტოპორში ხშირად ჩავარდნასა და ტყვიამფრქვევების დაბალ სწრაფსროლას უჩიოდნენ. სამაგიეროდ, МиГ-15-ისგან განსხვავებით F-86-ის სამიზნე მოწყობილობა მთლიანად ავტომატური მანძილმზომით იყო აღჭურვილი. თანაც, საბჭოთა მფრინავებისგან განსხვავებით რადიოლოკაციური სამიზნის წყალობით არ უძნელდებოდათ ფრენა ღამე და რთულ მეტეოპირობებში. მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ F-86-ის მფრინავები გადატვირთვის საწინააღმდეგო კოსტიუმებს იყენებდნენ, რაზეც საბჭოთა მფრინავებს მხოლოდ ოცნება შეეძლოთ.

МиГ-15-ის ცუდი სრიალის მიზეზი ფრთის ზედა ზედაპირზე არსებულ აეროდინამიკურ ქიმებში იმალებოდა, რომელიც დიდ სიჩქარეზე თვითმფრინავს მდგრადობას უნარჩუნებდა. Sabre-ზე კი აეროდინამიკური ქიმების ნაცვლად ფრთაზე ფრთაწინებს აყენებდნენ.

1951 წლის შუახანებისთვის კორეაში პირველი გაუმჯობესებული F-86E-ები გამოჩნდნენ, 1952 წლის მარტიდან კი მათ F-86F-ები შეუერთდნენ. იშვიათობას F-86D-ს მოდიფიკაცია წარმოადგენდა.

1951 წლის 6 ნოემბერს 10 МиГ-15бис ხაკუსენის რაიონში გამანადგურებელ-ბომბდამშენების გზის გადასაჭრელად აუშვეს. სანამ სამიზნემდე მივიდოდნენ, 8000მ-ის სიმაღლეზე, მარჯვნივ, შემხვედრ გეზზე მომავალი ორი F-86 შეამჩნიეს. რადგან ჯგუფს წინასწარ განსაზღვრული დავალება ჰქონდა, F-86-ების გადასაჭრელად ერთი წყვილი გამართა. მათ დანახვაზე F-86-ებმა მარცხენა ნახევარმოხვევა შეასრულეს და МиГ-ებისგან გაცილება სცადეს, მაგრამ საბჭოთა მფრინავებმა ამის საშუალება არ მისცეს და წყვილები მარტოხელა ბრძოლაში ჩაერთვნენ. უკეთესი ჰორიზონტალური მანევრის წყალობით F-86 საბჭოთა რგოლის მიმყოლ თვითმფრინავს კუდში მოექცა და ცეცხლი გაუხსნა. თუმცა ფრთის დაზიანების მიუხედავად, МиГ-15-მა შეძლო თავის დაღწევა და ღრუბლებში თავის შეფარება. დაზიანება საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და პილოტმა კატაპულტირება მოახდინა. ამავე დროს МиГ-15-ების რგოლის წამყვანმა პილოტმა ინიციატივა ჩაიგდო ხელთ. ჰორიზონტალზე მკვეთრი მანევრისა და დამრეცი მკვდარი მარყუჟის წყალობით ამერიკელს ზურგში მოექცა და 550მ-ის დისტანციიდან ცეცხლი გაუხსნა. ჭურვები მას ფიუზელაჟის კუდის ნაწილში მოხვდა და თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა. პილოტმა თავს კატაპულტირებით უშველა.

ამერიკელებისთვის МиГ-15 ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. ამიტომაც ჰაერში უპირატესობის მოსაპოვებლად საჰაერო ბრძოლის რაიონში ამერიკელები 18-20 თვითმფრინავისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს უშვებდნენ. ვალში არც საბჭოელები რჩებოდნენ და ხანდახან დავალებაზე ერთდროულად 30-40 მანქანას უშვებდნენ. ამიტომაც ზოგჯერ საჰაერო ბრძოლაში მონაწილე გამანადგურებლების რიცხვი 70-ს აჭარბებდა. ასეთ შემთხვევაში საჰაერო ბრძოლის რაიონის დიამეტრი 10-15კმ-ს აღწევდა.

1952 წლის 2 თებერვალს გამართული საჰაერო ბრძოლა, რომელშიც რვა Sabre და ექვსი МиГ-15 მონაწილეობდა, სამი საბჭოთა თვითმფრინავისა და ერთი F-86-ის ჩამოგდებით დასრულდა.

გამანადგურებლების გარდა, МиГ-15-ები საფრთხეს ამერიკულ ბომბდამშენ B-29-ებსაც უქმნიდნენ. 1951 წლის 30 ოქტომბერს გაძლიერებული საგამანადგურებლო ესკორტის თანხლებით 21 B-29 აეროდრომ ნამსის დასაბომბად მიფრინავდა, მაგრამ დაჯგუფება სახმელეთო აღმოჩენის საშუალებებმა მალევე დააფიქსირეს და მათთვის გზის გადასაჭრელად ჰაერში 44 МиГ-15 აუშვეს. ძლიერი ესკორტის მიუხედავად, ჩამოაგდეს 11 B-29 და 4 F-84. გარდა ამისა, შინ დაბრუნებული ბომბდამშენებიდან თითქმის ყველა დაზიანებული იყო. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ისტორიაში ეს დღე „შავი სამშაბათის“ სახელით შევიდა. ამის შემდეგ B-29-ები საბრძოლო დავალებებზე მხოლოდ ღამით დაფრინავდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, МиГ-15 ძლიერი მეტოქე გამოდგა და აშშ ყველანაირად ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას. 1951 წლის 3 ივლისს მათ შეძლეს ჩამოგდებული МиГ-15-ის წყლიდან ამოღება, მაგრამ იმდენად დაზიანებული იყო, რომ მისი გამოყენება საფრენოსნო გამოცდებში შეუძლებელი გამოდგა. ერთი წლის შემდეგ ჩრდილო კორეის მთებში იპოვეს კიდევ ერთი МиГ-15. სატრანსპორტო შვეულმფრენით მის წამოსაღებად სპეციალური ექსპედიციაც მოეწყო, მაგრამ გამანადგურებლის მთლიანად აწევა ვერ მოხერხდა. ამიტომაც მის ფრთასა და ფრთასხმულობას ხერხით „დემონტაჟი“ ჩაუტარდა და ასე გადაიტანეს ამერიკულ ბაზაზე. მალევე გამოცხადდა ჯილდო 100.000 დოლარის ოდენობით იმ მფრინავისთვის, რომელიც МиГ-15-ს ამერიკულ სამხედრო-საჰაერო ძალებს მიუყვანდა. ამის ბედნიერება ამერიკელებს მხოლოდ ომის შემდგომ ერგოთ. 1953 წლის სექტემბერში ჩრდილოკორეელმა მფრინავმა, ლეიტენანტმა ნო გიმ სოკმა МиГ-15 სამხრეთ კორეაში გაიტაცა და კამპოს ავიაბაზაზე დასვა. იქ ამერიკელებმა თვითმფრინავზე არსებული კორეული განმასხვავებელი ნიშნები ამერიკულით შეცვალეს და შტატებში გაგზავნეს, სადაც მისი ინტენსიური გამოცდა მიმდინარეობდა. დღეს ეს თვითმფრინავი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ნაციონალურ მუზეუმში ინახება. რა თქმა უნდა, ანალოგიური სურვილი საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა. 1951 წლის მაისში კორეაში საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი ჩავიდა, რომელმაც მფრინავების წინ F-86-ის იძულებითი დასმის ამოცანა დასახა. ეს ომის პირობებში არც ისე ადვილი საქმე იყო, მაგრამ 6 ოქტომბერს საბჭოთა მფრინავმა საჰაერო ბრძოლაში დაზიანებულ F-86-ს დაჯდომა აიძულა. ორ დღე-

МиГ-15-ის ყველაზე ცნობილ პილოტი მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინი იყო, რომელიც 1968 წლის მარტში ასეთ სასწავლო МиГ-15УТИ-ზე ინსტრუქტორთან ერთად სავარჯიშო ფრენისას დაიღუპა.



ეროვნული ბიბლიოთეკა




ში თვითმფრინავი ანდუნის აეროდრომზე გადაიტანეს, მაგრამ თვითმფრინავი არასაფრენოსნო მდგომარეობაში იყო — საავტომობილო გვირაბებში გასატევად ავტოგენით მას ფრთები და ფრთასხმულობა მოაჭრეს. თუმცა საპილოტაჟო, ნავიგაციური და ელექტრონული აღჭურვილობა, პრაქტიკულად, უვნებელი იყო. შემდეგ ყუთებში შეფუთეს და საბჭოთა კავშირში გაგზავნეს.

კორეაში სისხლის ღვრა 1953 წლის 27 ივლისს პანმინჯონში ხელმოწერილი ზავით დასრულდა. 38-ე პარალელმა ქვეყანა კვლავ ორ კონფლიქტურ ნაწილად გაყო — ვერც ჩრდილოეთმა და ვერც სამხრეთმა ვერ შეძლეს სამხედრო გზით „სამშობლოს გაერთიანება“. ორივე მხარემ საკმაოდ დიდი დანაკარგი განიცადა როგორც ცოცხალი ძალის, ასევე ტექნიკასა და ავიაციაში. ჩრდილო კორეაში მყოფი 64-ე საგამანადგურებლო კორპუსის მონაცემებით, ომის სამი წლის განმავლობაში МиГ-15-ითა და МиГ-15бис-ით შეასრულეს 63229 საბრძოლო გაფრენა და ჩამოაგდეს 1097 თვითმფრინავი, საიდანაც 647 F-86 Sabre იყო. საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების თქმით კი, ჩრდილო კორეაში დაკარგეს 566 თვითმფრინავი, საიდანაც დაახლოებით 400 МиГ-15 იყო. რაც შეეხება ამერიკულ მონაცემებს, კორეის ომში F-86-ებმა ჩამოაგდეს დაახლოებით 800 МиГ-15, საკუთარმა დანაკარგმა კი 278 Sabre შეადგინა. კიდევ 26 Sabre-ს ბედი უცნობია (თუმცა ამ ციფრების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ).

МиГ-15-ისა და F-86-ის შექმნისას გამოყენებული სხვადასხვა მიდგომის მიუხედავად, ორივე მანქანამ მაღალი სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინა. ორივეს თითქმის ერთნაირი საფრენოსნო მახასიათებლები ჰქონდა, თუმც გამარჯვება მფრინავების კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე იყო დამოკიდებული. როგორც ჩანს, მეტი გამოცდილება საბჭოთა მფრინავებს ჰქონდათ. ყველაზე შედეგიან „რეაქტიულ“ ასად ევგენი პელელაევი დასახელდა, რომელმაც 108 საბრძოლო გაფრენაში 23 თვითმფრინავი ჩამოაგდო. მეორე ადგილზე ნ. სუტიაგინია, რომლის ანგარიშზეც 21 თვითმფრინავია. ამერიკული სამხედრო-საჰაერო ძალებიდან ყველაზე წარმატებული ჯონ მაკკონელი იყო, მან 106 საბრძოლო გაფრენაში F-86-ით 16 თვითმფრინავი ჩამოაგდო. მეორე ასმა — ჯონ ჯაბარამ კი 15 გამარჯვება მოიპოვა.

კორეის ომი 1953 წელს დასრულდა, მაგრამ არა МиГ-15-ისა და F-86-ისთვის — მათი სამხედრო კარიერა ამ ომით არ დამთავრებულა.

შემდეგ კონფლიქტად, სადაც „ძველი ნაცნობები“ ერთმანეთს შეხვდნენ, 1958 წლის 23 აგვისტოს ტაივანის სრუტეში განლაგებული ორი სადავო კუნძულის გამო ჩინეთსა და ტაივანს შორის დაწყებული სამხედრო დაპირისპირება იყო. კონფლიქტის 44 დღის განმავლობაში ტაივანურმა Sabre-მა 29 МиГ-15 და МиГ-17 ჩამოაგდეს.

Sabre-ებს პაკისტანიც ინტენსიურად იყენებდა 1965 და 1971 წლებში მიმდინარე ინდოეთ-პაკისტანის ომებში. პირველ კონფლიქტამდე პაკისტანმა 120 F-86F მიიღო. 1966 წელს ირანის გავლით პაკისტანმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან კანადური წარმოების 90 CL-13 Sabre Mk6 მიიღო. 1971 წელს, მეორე კონფლიქტში, პაკისტანმა 29 Sabre დაკარგა. ინდოეთის მტკიცებით კი — 54, საიდანაც უმეტესობა თვითმფრინავ HF-24 Marut-ებსა და Hunter -ებთან გამართულ საჰაერო ბრძოლებში ჩამოვარდა.

F-86-ს მცირე კონფლიქტებშიც მიუღია მონაწილეობა. 1959-60 წლებში ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალების F-86-ს აჯანყებულების წინააღმდეგ მალაიზიაში იყენებდნენ, ვიეტნამის ომის პირველ ეტაპზე კი ტაილანდის ცაში საჰაერო პატრულირებისთვის.

კორეის ომმა МиГ-15-ის პოპულარობა საკმაოდ გაზარდა. პირველი არაბული ქვეყანა, რომელმაც ეს თვითმფრინავი შეიძინა, ეგვიპტე იყო. მან 1955-56 წლებში ჩეხოსლოვაკიისგან 120 გამანადგურებელი მიიღო. 1956 წლის ოქტომბერში სამხრეთ სინის თავზე ათ МиГ-17-ს, ორ МиГ-15-სა და ოთხ გამანადგურებელ Mestere-ს შორის საჰაერო ბრძოლა გაიმართა. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ეგვიპტელებმა დათმეს პოზიცია და ერთი МиГ-15 დაკარგეს, რომელიც ტბა სირბონში ჩავარდა. შემდგომ ის ისრაელის სპეციალისტებმა ამოიღეს წყლიდან.

ექვსი წლის შემდეგ ეგვიპტურმა МиГ-15-ებმა იემენში დაწყებულ სამოქალაქო ომში მიიღეს მონაწილეობა.

1967 წელს ახლო აღმოსავლეთში მორიგი სამხედრო დაპირისპირება დაიწყო, რომელიც ისტორიაში „ექვსდღიანი ომის“ სახელით შევიდა. მაშინ ეგვიპტის განკარგულებაში 70 МиГ-15 იყო. ის მათ სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ იყენებდა და ამ თვითმფრინავის საჰაერო გამარჯვებები იმ კონფლიქტში არ დაფიქსირებულა.

მაროკოს წინააღმდეგ გამართულ მცირე კონფლიქტში МиГ-15-ებს შეზღუდულად ალჟირიც იყენებდა.

იყო არასამხედრო სამიზნეების განადგურების ფაქტებიც. 1955 წლის ივლისში ბულგარეთის სამხედრო-საჰაერო ძალების МиГ-15-მა შეცდომით ისრაელის ავიაკომპანია El AL-ის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი Constalation ჩამოაგდო. დაიღუპა ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი.

მანამდე კი 1954 წელს უნგრელმა პილოტმა МиГ-15-ზე დასავლეთით გადაფრენა სცადა, მაგრამ საწვავის გამოლევის გამო ის იუგოსლავიაში დაჯდა. 1957 წელს კი ჩეხოსლოვაკიიდან МиГ-15 ავსტრიაში გაიტაცეს.

F-86 Sabre-ს სერიული წარმოება 1947 წელს დაიწყო და 1956 წელს დასრულდა. ამ დროის განმავლობაში აშშ-ში, იაპონიასა და იტალიის საავიაციო ქარხნებში 9860 თვითმფრინავი აიგო. გარდა ამისა, Sabre-ს ლიცენზირებული წარმოება კანადასა (აქაურ მოდიფიკაციებს Mk ნიშნული ემატებოდა) და ავსტრალიაში (CA-27 Avon Sabre) დაიწყეს. ეს ქვეყნები თავიანთი პროექტების მიხედვით მოდერნიზებულ თვითმფრინავებს უშვებდნენ. მთლიანობაში შეიქმნა იყო ამ თვითმფრინავის 33 საცდელი და სერიული (აქედან 3 ავსტრალიაში და 6 კანადაში) მოდიფიკაცია.

აშშ-ის გარდა, სხვადასხვა წელს სხვადასხვა მოდიფიკაციის Sabre-ები არ-

გენტინის, ავსტრალიის, ბანგლადეშის, ბელგიის, ბოლივიის, ბირმის, კანადის, კოლუმბიის, დანიის, ეთიოპიის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, საბერძნეთის, ჰონდურასის, ინდონეზიის, ირანის, იტალიის, იაპონიის, მალაიზიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, პაკისტანის, პერუს, ფილიპინების, პორტუგალიის, ტაივანის, საუდის არაბეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, სამხრეთ კორეის, ესპანეთის, ტაილანდის, თურქეთის, ტუნისის, დიდი ბრიტანეთის, ვენესუელისა და იუგოსლავიის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში იყო. ბოლოვია უკანასკნელი იყო ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, რომელმაც 1994 დაასრულა ამ გამანადგურებლის გამოყენება.

არანაკლებ შთამბეჭდავია МиГ-15-ის დოსიე. თვითმფრინავის სერიული წარმოება 1949 წელს დაიწყო ერთდროულად ცხრა საავიაციო ქარხანაში. ერთადგილიან მანქანებს 1953 წლამდე აგებდნენ, სასწავლო ორადგილიანებს კი – 1595 წლამდე. სულ საბჭოთა კავშირში აიგო 11073 თვითმფრინავი. ერთადგილიანი თვითმფრინავების ლიცენზირებული სერიული წარმოება ჩეხოსლოვაკიასა (ნიშნულით S102/S103 – 1473 თვითმფრინავი) და პოლონეთშიც (ნიშნულით Lim-1/Lim-2 – დაახლოებით 1000) მიმდინარეობდა. ორადგილიან ვარიანტებს კი მარტო ჩეხოსლოვაკია აგებდა (CS102 - 2021). სულ МиГ-15-ის სერიული წარმოების წლებში აიგო 44 საცდელი და სერიული მოდიფიკაციის დაახლოებით 15560 თვითმფრინავი. МиГ-15-ის ყველაზე ცნობილი პილოტი მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინი იყო, რომელიც 1968 წლის მარტში სასწავლო МиГ-15УТИ-ზე ინსტრუქტორთან ერთად სავარჯიშო ფრენისას დაიღუპა.



სერიული წარმოების 9 წლის განმავლობაში გამოშვებული იყო 33 საცდელი და სერიული მოდიფიკაციის 9860 F-86

საბჭოთა კავშირის გარდა, სხვადასხვა წელს სხვადასხვა მოდიფიკაციის МиГ-15 ავღანეთის, ალბანეთის, ალჟირის, ანგოლის, ბულგარეთის, კამბოჯის, ჩინეთის, კონგოს, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, აღმოსავლეთ გერმანიის, ეგვიპტის, ფინეთის, გვინეის, უნგრეთის, ინდონეზიის, ერაყის, ლიბიის, მადაგასკარის, მაროკოს, მოზამბიკის, ნიგერიის, ჩრდილო კორეის, ჩრდილო ვიეტნამის, ჩრდილო იემენის, პოლონეთის, რუმინეთის, სომალის, შრი-ლანკას, სირიის, ტანზანიის, უგანდისა და იემენის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშიც შევიდა. 2005 წელს ალბანეთი უკანასკნელი იყო МиГ-15-ის ექსპლუატანტი ქვეყნებიდან, რომელმაც ეს გამანაგურებელი შეიარაღებიდან მოხსნა. სხვა მონაცემებით, МиГ-15-ის მცირე რაოდენობა შესაძლებელია იყოს დარჩენილი ჩინეთისა და ჩრდილო კორეის შეიარაღებაში.



მთლიანობაში გამოშვებული იყო 15560 МиГ-15, საიდანაც 225 თბილისის სავიაციო ქარხანაში აშენდა, 242 კი გადაკეთდა...

როგორც ვხედავთ, ორივე გამანადგურებელს საკმაოდ შთამბეჭდავი სამხედრო ბიოგრაფია აქვს. თუმცა მათი ნახვა რომელიმე ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო რიგებში უკვე შეუძლებელია. თანამედროვე გამანადგურებლების გამოჩენასთან ერთად არსებული МиГ-15-ისა და F-86-ის რიცხვი ნელ-ნელა მცირდებოდა. დღეისთვის ორივე გამანადგურებლის ნახვა მონუმენტისა თუ ექსპონატის სახით მსოფლიოს ბევრ ქალაქსა და სამხედრო მუზეუმშია შესაძლებელი. დაახლოებით ოცდახუთ-ოცდახუთი МиГ-15 და F-86 დღეს კერძო პირების მფლობელობაშია და ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ავიაშოუს საკმაოდ ხშირი სტუმრები არიან.

*თემურ კულუზაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ და როგორ დაგვიგო „ცხინვალის ხაფანგი“

მგონი, ინგლისელებს უთქვამთ, „ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, სულელი კი თავის შეცდომებსაც ვერ ითვალისწინებსო“. მერამდენედ უნდა დავუშვათ საბედისწერო შეცდომა და გავყოთ თავი საგულდაგულოდ მომზადებულ ხაფანგში? კახელებისა არ იყოს, „აღარა კმარა?!“.

სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები წლობით გვიდგამენ „სათაგურებს“, მთელ მსოფლიოში საქართველოს წინააღმდეგ დეზინფორმაციული ომი აქვთ გაჩაღებული. მათ მძლავრ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ შეტევას კი ჩვენი სპეცსამსახურები რით პასუხობენ? ყოვლად უსუსური, არაორგანიზებული, პროვინციული და არაპროფესიული „ჩხვლეტებით“.

„ცხინვალის ხაფანგის“ დასაგებად რუსეთის სპეცსამსახურებმა სულ ცოტა ორი მიმართულებით იმუშავეს. პირველი იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ამ შემთხვევაში უპირველესად დასავლეთ ევროპაში) არსებული აგენტურული ქსელის ამოქმედება, ე.წ. „აქტიური ოპერაციების“ ჩატარება და დეზინფორმაციის გავრცელება 7-8 აგვისტოს მოვლენების თაობაზე. რამდენიმე კვირით ადრე მზადდებოდა ვიდეოკადრები და ფოტომონტაჟი ვითომდა ქართული ავიაციისა და არტილერიის მიერ ცხინვალში საცხოვრებელი კორპუსების დაბომბვის, მშვიდობიან მოსახლეობაში ათასობით მსხვერპლის, ქართველი ჯარისკაცების „დაუნდობლობის“ და ა.შ. შესახებ. დეზინფორმაციის გასავრცელებლად იყენებდნენ პოლიტიკოსებს, ნაყიდ რუს და უცხოელ ჟურნალისტებს, მედიასაშუალებებს. მთელი ძალით ამუშავდა ეფ-ეს-ბე, საგარეო დაზვერვის სამსახური და გრუ.

უპირველესი დეზინფორმაცია დაღუპულთა რაოდენობა იყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერ ასახელებდა 2000, შემდეგ კი 1600 მშვიდობიან მოქალაქეს მაშინ, როცა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰუმან რაიტს ვოჩის“ ინფორმაციით, ცხინვალის ბრძოლების დროს დაიღუპა რამდენიმე ათეული კაცი და ისიც უცნობია, ვისი შეიარაღებული ძალების მოქმედებების გამო. რა თქმა უნდა, ერთი დაღუპულიც დიდი ტრაგედიაა და წარმოიდგინეთ, რა დონის უკურეაქციას ელოდება რუსეთი, როცა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის ხელოვნური გაზრდით სურს მთელი მსოფლიო საქართველოს წინააღმდეგ განაწყოს.

კიდევ საინტერესო ისაა, რომ როცა საერთაშორისო ორგანიზაციამ ცხინვალისა და ვლადიკავკაზის საავადმყოფოებში „ათასობით გარდაცვლილი მშვიდობიანი მოსახლეობის“ გვარები და სია მოითხოვა, მას მხოლოდ ასამდე კაცის გვარი მიაწოდეს. მართლაც რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო გეგმის მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ცხინვალში შეტყუებას ზუსტად 7-8 აგვისტოს (თუ რატომ მაინცდამაინც ამ დროს, ეს ყველასთვის გასაგებია — პეკინში ოლიმპიადა იხსნებოდა და მსოფლიოს ჩვენთვის არ ეცლებოდა). ამ ამოცანის შესასრულებლად კი საჭირო იყო საქართველოს ყველა სახელისუფლებო შტოში დაბუდებული რუსული „გავლენის აგენტურის“ ამოქმედება.

9 სექტემბერს აშშ სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტში გამოსვლისას აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდმა განაცხადა: „ჩვენ მრავალგზის გავაფრთხილეთ ქართველები, არ წამოგებულიყვნენ პროვოკაციაზეო“. პენტაგონის შეფის მოადგილე ერიკ ედელმანმა კი არ დამალა და პირდაპირ განაცხადა, ეს ოპერაცია დაიგეგმა და ჩატარდა ნაჩქარევადო. ეს შეფასებები კიდევ უფრო მეტ კითხვებს ბადებს.

თუ მეგობრები გვაფრთხილებდნენ და თავშეკავებისკენ მოგვიწოდებდნენ, რატომ მოხდა, რომ „ცხინვალის ხაფანგში“ თავი შევყავით? ვინ ურჩია პრეზიდენტ სააკაშვილს ამ სამხედრო ოპერაციის დაწყება? ვის სამხედრო-პოლიტიკურ რეკომენდაციებსა თუ რჩევებს ეყრდნობოდა საქართველოს პრეზიდენტი 7, 8 და 9 აგვისტოს? ან იქნებ ყველაფერი თავად გადაწყვიტა?

ფაქტია, რუსეთმა ჯერჯერობით მიზანს მიაღწია და მისი სპეცსამსახურების თანამშრომლები „მოსავალს იმკიან“. ჩვენი ინფორმაციით, პრეზიდენტ მედვედევის გადაწყვეტილებით „ცხინვალის ოპერაციის“ წარმატებით ჩატარებისათვის ეფ-ესბეს ორმოცდაათზე მეტი ოფიცერი დაჯილდოებასა და ვადამდელი წოდების მინიჭებას ელის. ანალოგიური ხდება რუსეთის საგარეო და სამხედრო დაზვერვებში. ზოგიერთი ცნობით, მათ შორის ქართველი გენერლებიც არიან, რომლებიც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ თბილისსა და ბათუმში მსახურობდნენ. მათი ერთგული კადრები კვლავ მრავლადაა საქართველოს სპეცსამსახურებსა და თავდაცვის სამინისტროში. თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა ამ სისტემებში ჯერ კიდევ ინაურის, იგორ გიორგაძისა და ვარდიკო ნადიბაიძის თანამშრომლები (პირადი დაცვის წევრებიც კი) არიან შემორჩენილი.

ამიტომაც არის, რომ რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობას საქართველოს



დენიელ ფრიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეგმებზე, სპეცსამსახურებისა და შეიარაღებული ძალების საიდუმლო ოპერაციებზე ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდა და აქვს. ცხინვალის ბრძოლებში მონაწილე ქართველი ოფიცრები გაკვირვებული არიან, რუსეთის სამხედრო დაზვერვამ ქართული სპეცრაზმების ოფიცრებისა და მებრძოლების არა მარტო გვარები, არამედ ბიოგრაფიის წვრილმანი ნიუანსებიც კი ზეპირად იცოდაო.

საიდან ჟონავს საიდუმლო ინფორმაცია? თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა გიორგაძეს ხელთ აქვს ყოფილი კა-გე-ბეს ქართველი აგენტებისა და „სანდო წყაროების" ზუსტი და სრული სიები. სავსებით რეალურია ამ პირების და მათი ოჯახის წევრების დაშანტაჟება და რუსეთის სპეცსამსახურების მხარეზე გადაბირება, რაც წარმატებით ხორციელდება კიდეც. პოლიტიკური პარტიებიც ხომ აგენტურითაა გაძეძგილი.

ამ პირობებში მიდი და მოიგე ომი!

„ცხინვალის ხაფანგის" გამართვაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდათ რუს „სამშვიდობოებს". მათ მიიღეს ბრძანება, წინააღმდეგობა არ გაეწიათ ჩვენებისთვის და თავისუფლად შეეშვათ ცხინვალში. არსებობს ვერსია, რომ პირადად გენერალმა მარატ კულახმეტოვმა დაარწმუნა მამუკა ყურაშვილი — ოსი „ბოევიკები" ჩვენ აღარ გვისმენენ და თუ თქვენ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას შეეცდებით, ჩვენ ნეიტრალურები ვიქნებითო. რუსი გენერლის ნდობა შეიძლებოდა? პეტრე I-დან მოყოლებული საქართველოში რუსეთის გენერლების ფლიდობის უამრავი ისტორიული მაგალითია შემონახული. ჩვენი ხელისუფლება კი მათ „პატიოსან სიტყვას" რატომღაც ენდო! რატომ?

## როგორ აკონტროლებს რუსეთი ევროპელ პოლიტიკოსებს

რუსეთმა ევროპაში მოქმედი აგენტურა რომ აამოქმედა, უკვე თვალნათლივ ჩანს.

3 სექტემბერს ევროპარლამენტმა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი რეზოლუცია მიიღო — დაგმო რუსეთის მიერ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა და მოსკოვს მოუწოდა, პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი და დაძაბული სხდომა. მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის შედეგები დიდ სხვაობაზე მეტყველებს (რეზოლუციას მხარი დაუჭირა 549, წინააღმდეგი იყო — 68, ხოლო 61-მა ევროპარლამენტარმა თავი შეიკავა), სინამდვილეში ევროპარლამენტის ზოგიერთი ფრაქცია, რომელსაც ისტორიულად რუსეთის (ადრე საბჭოთა) სპეცსამსახურები აკონტროლებენ, დაჟინებით მოითხოვდნენ რეზოლუციის ტექსტში საქართველოს თავდაპირველი მოქმედებების დაგმობის ასახვას.

ევროპარლამენტში სიდიდით მეორე სოციალისტური ფრაქციის ხელმძღვანელი მარტინ შულცი გამოდიოდა სწორედ საქართველოს წინააღმდეგ, რუსეთისა კი უპირველესი მხარდამჭერი იყო. ვითომ უანგაროდ?

## რუსეთის აგენტურა გაეროში

რამდენიმე წლით უკან დავიხიოთ. 2000 წლის ოქტომბერში აშშ-ში დარჩა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა გაეროში რუსეთის წარმომადგენლობის თანამშრომელმა, პარალელურად რუსეთის საგარეო დაზვერვის ოფიცერმა სერგეი ტრეტიაკოვმა (ოპერატიული ფსევდონიმი „ამხანაგი ჟანი"). რუსი მზვერავი 1995-2000 წლებში აქტიურად მონაწილეობდა საგარეო დაზვერვის სპეცოპერაციებში. ამერიკელების მხარეზე გადასვლის შემდეგ ტრეტიაკოვმა ძალზე ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა. აღმოჩნდა, რომ რუსეთის დაზვერვა ფარულად იყენებდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, ცნობილ დიპლომატ სტროუბ ტელბოტს. რუსი მზვერავის აღიარებით, გაეროში აზერბაიჯანის ელჩი ელდარ გულიევი რუსეთის დაზვერვის ოფიცერი იყო. ტრეტიაკოვის ინფორმაციით, პირადად მან გადაიბირა კანადის პარლამენტის წევრი ალექს კინდი. დიდი რეზონანსი გამოიწვია მისმა განცხადებამ საბჭოთა კომპარტიის ფინანსების შესახებ. კერძოდ, ტრეტიაკოვის განცხადებით საბჭოთა კაგე-ბეს უკანასკნელმა შეფმა კრიუჩკოვმა უცხოეთის ბანკებში გადარიცხა და გადამალა 50 მლრდ დოლარი. თუმცა ყველაზე დიდი სკანდალი მაინც სხვა იყო. რუსეთის აგენტებმა, რომლებიც გაეროში იყვნენ ჩანერგილები, შეძლეს ერაყისთვის განკუთვნილი საერთაშორისო პროგრამიდან — „ნავთობი სურსათის ნაცვლად" 500 მლნ დოლარის „მოტეხა" და რუსეთში გადარიცხვა. ტრეტიაკოვის განცხადებით, ამ სპეცოპერაციაში მთავარი როლი რუსეთის აგენტმა, კანადელმა ექსპერტმა ალექსანდრ კრამერმა შეასრულა.

რუსეთის სპეცსამსახურები განსაკუთრებით აქტიურად ევროპელი ახალგაზრდა პოლიტიკოსებისა და მეცნიერების გადაბირებას ცდილობენ.

ამ რამდენიმე თვის წინ დიდი შეშფოთება ეტყობოდათ გერმანიის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელებს, მიზეზი კი რუსეთის სპეცსამსახურების გააქტიურება იყო.

ბუნდესტაგის წევრები და მათი თანაშემწეები, ახალგაზრდა პერსპექტიული პოლიტიკოსები და მეცნიერები, დამწყები ბიზნესმენები — ესაა არასრული ჩამონათვალი გერმანიის საზოგადოების იმ ფენებისა, სადაც რუსეთის დაზვერვა განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს. გერმანია ყოველთვის იყო რუსეთის სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული დაინტერესების მთავარი ობიექტი. რუსეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი 1984-1989 წლებში აღმოსავლეთ გერმანიაში ასრულებდა საბჭოთა დაზვერვის დავალებებს და მაშინ მთავარი მოწინააღმდეგე სწორედ დასავლეთ გერმანია იყო. ამჟამადაც რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედებები ძალზე მრავალფეროვანია და მოიცავს აქტიური ოპერაციების ჩატარებას როგორც რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე თავად გერმანიაში.

არანაკლები პრობლემები აქვს დიდ ბრიტანეთსაც. ამ რამდენიმე თვის წინ ამ ქვეყნის კონტრდაზვერვის (მი-5) ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ამჟამად ბრიტანეთში ფარულად მოქმედი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტურის რიცხოვნობა გაცილებით აჭარბებს თვით ავადსახსენებელი ანდროპოვის პერიოდსაც.

## რუსეთის სპეცსამსახურების ანკესზე

ყველაფერი საბჭოთა კავშირის შექმნისთანავე დაიწყო. ახალ საარქივო მასალებსა და მემუარულ ლიტერატურაზე დაყრდნობით გაგაცნობთ, როგორ აფინანსებდა ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირი ეკონომიკურ საბოტა-

სტროუბ ტელბოტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსა და დივერსიებს ევროპის ქვეყნებში. დიდი ბრიტანეთის იმპერია, მიუხედავად მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ერთგვარი დაძაბუნებისა, მაინც ითვლებოდა მსოფლიო კაპიტალიზმის „ბურჯად“ და აქედან გამომდინარე მის წინააღმდეგ მოქმედება, იქ რევოლუციის „ექსპორტი“ ან თუნდაც ეკონომიკური ზარალის მიყენება საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის „დიადი მიზანი“ და საპატიო ამოცანა იყო. „წითელი“ რევოლუციის პირველივე დღიდან დიდი ბრიტანეთის იმპერიის შერყევის ამოცანა ჩეკას პირადად ლენინმა დაუსახა. 1920-1930 წლებში საბჭოთა სპეცსამსახურები და კომინტერნი ინგლისში ოპერატიული მუშაობის გასაშლელად, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობისა და საელჩოს უქონლობის გამო, „კრიშად“, ძირითადად, სავაჭრო წარმომადგენლობას, გაზეთებს, სამეცნიერო-სასწავლო და კულტურის ცენტრებს იყენებდნენ. ასე რომ, საბჭოთა სპეცსამსახურების ფარულ ბრძოლას დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ დიდი ხნის ისტორია აქვს.

იერიში ბრიტანეთის განათლების სისტემაზე, უმთავრესად უმაღლეს სასწავლებლებზე მიიტანეს. საბჭოთა დაზვერვა უცხოეთის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ეძებდა მომავალ აგენტებს, რომლებიც შემდგომში „გავლენის აგენტებად“ ან აგენტ-ინფორმატორებად იზრდებოდნენ. კა-გე-ბეს მეორე მთავარი სამმართველო (კონტრდაზვერვა) კი ქვეყნის შიგნით ცდილობდა მთელი განათლების სისტემის გაკონტროლებას.

საბჭოთა დაზვერვამ უცხოელი სტუდენტების გადმობირების ყველა რეკორდი მოხსნა ცნობილი აგენტურული ქსელის ე.წ. „კემბრიჯის ხუთეულის“ შექმნით.

30-იანი წლების დასაწყისში ლონდონის კემბრიჯის უნივერსიტეტი და მისი თრინთი-კოლეჯი, ისევე როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტი (მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის კონტრდაზვერვა მი-5 აქტიურად მუშაობდა განათლების სისტემაში სხვა ქვეყნების დაზვერვების შეღწევის თავიდან ასაცილებლად) საბჭოთა აგენტების „სამჭედლო“ გახდა. ეს უმაღლესი სასწავლებლები შემთხვევით არ შეურჩევიათ — იქ ხომ განათლებას იღებდა დიდი ბრიტანეთის მომავალი პოლიტელიტა, დიპლომატიური კორპუსი და სპეცსამსახურების „ჯეიმს ბონდები“. ინგლისში არსებული საკადრო პოლიტიკის ღრმად გაანალიზების შედეგად საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მომავალი აგენტურის მოსაძებნად კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტები საუკეთესო ვარიანტი იყო.



მარტინ შულცი

1934 წლის თებერვალში საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი თანამშრომელი 30 წლის არნოლდ დეიჩი (ენ-კა-ვე-დეს კადრების სამმართველოში აღრიცხული იყო როგორც სტეფან ლანგი, ავსტრიელი ებრაელი, ოპერატიული ფსევდონიმი „ოტო“, „სტეფანი“) საიდუმლო სადაზვერვო დავალებით ლონდონში ჩავიდა. მის წინაშე მეტად რთული ოპერატიული ამოცანა იდგა — დიდი ბრიტანეთის ინტელიგენციაში უნდა შეერჩია გადმობირების კანდიდატები და ძალზე ფრთხილი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ მოეხდინა მათი გადმობირება „კომუნისტური ინტერნაციონალის“ საფარქვეშ აგენტურული მუშაობისათვის. ერთი შეხედვით, კონსერვატორულ ინგლისში ამ ამოცანის შესრულება აბსურდულად ჩანდა, მაგრამ დეიჩმა ინგლისის ინტელიგენციასთან მუშაობის დიდი ნიჭი და ალღო გამოავლინა და წარმატებასაც მიაღწია.

სამეცნიერო და სტუდენტური სფეროს უკეთ შესწავლის მიზნით, პირველ ეტაპზე საბჭოთა აგენტი ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მსმენელად ჩაირიცხა, ხოლო 1936 წელს უკვე ფსიქოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, რის შემდეგაც უკვე თავად კითხულობდა ლექციებს. სულ ორ-სამ წელიწადში დეიჩმა გადმოიბირა 20-ზე მეტი აგენტი (მათ შორის საბჭოთა დაზვერვის „მარგალიტები“ — კემბრიჯის „შესანიშნავი ხუთეული“: ბერჯესი, მაკლინი, ბლანტი, ფილბი და კერნკროსი). გარდა ამისა, ინგლისში საბჭოთა დაზვერვის არალეგალურ რეზიდენტ თეოდორ მალისთან ერთად „ნაყოფიერად იმუშავა“ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების მეორე ცენტრში — ოქსფორდში, სადაც მათ ლექტორებისა და სტუდენტებისაგან შექმნეს საბჭოთა აგენტების („თხუნელების“) იმდენად ღრმად კონსპირაციული ქსელი, რომ მათი ვინაობა დღესაც უცნობია.

უმაღლესი განათლების წრეში მუდმივი ტრიალი საბჭოთა აგენტებს საშუალებას აძლევდა, ახლოს გაეცნოთ სტუდენტები, ლექტორები, დაეფიქსირებინათ მათი სისუსტეები და მავნე ჩვევები (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი და ა.შ.), რაც ძალზე ძლიერი იარაღი იყო მათი დაშანტაჟებისათვის და გადმობირებისათვის. საბჭოთა დაზვერვის ინტერესს, პირველ რიგში, იწვევდნენ ყველაზე ნიჭიერი და გამორჩეული სტუდენტები და ლექტორები, რომლებიც მომავალში, შესაძლოა, ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულიყვნენ.

საბჭოთა დაზვერვას ერთგული ხალხი ლექტორთა წრეშიც ჰყავდა. კემბრიჯის უნივერსიტეტის თრინთი-კოლეჯის ეკონომიკის პროფესორი მორის დობი აქტიურ კომუნისტურ აგიტაციას ეწეოდა სტუდენტებს შორის და საბჭოთა დაზვერვას აგენტობის პერსპექტიულ კანდიდატებზე ამომწურავ ინფორმაციას აძლევდა. აქედან კი უკვე ერთი ნაბიჯი იყო აგენტობამდე. სამაგიეროდ, მორის დობის წიგნები ასიათასობით იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირში.

„კემბრიჯის ხუთეულმა“ 4-5 წელიწადში უმნიშვნელოვანესი საკვანძო პოსტები დაიკავა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში — საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებში. მათ კარიერულ წინსვლას გეგმავდა და მაქსიმალურად ხელს უწყობდა საბჭოთა დაზვერვა. ამიტომაც ამ აგენტებმა შეძლეს რეკორდული დრო — 20-30 წელი აქტიურად ემუშავათ და კრემლისთვის მიეწოდებინათ 25 ათასზე მეტი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ათწლეულების განმავლობაში აქტიურად მოქმედებდნენ კა-გე-ბეს „გავლენის აგენტები“, ცნობილი პოლიტიკოსები და დიპლომატები. მათ შორის: ფელიქს ბლოხი — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი; იტალიის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ფრანჩესკო დე მარენო; ევროპარლამენტის დეპუტატი იან გავრონსკი; ცნობილი იტალიელი ჟურნალისტები, პარლამენტის აპარატის თანამშრომლები, იტალიის შსს-ს მაღალჩინოსნები და ა.შ

ბესიკ ალადაშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკული ხომალდების ვიზიტები საქართველოში




**სამხედრო ხომალდის ოფიციალური ვიზიტი მეგობრული კავშირების დამყარება-გაღრმავების, პოლიტიკური თუ სხვა სახის მხარდაჭერის აშკარა დემონსტრირებაა.**

აგვისტოს ურთულეს დღეებში, როცა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში დაპარპაშებდნენ და რუსი დივერსანტები ფოთის პორტში ქართულ მცურავ საშუალებებს აფეთქებდნენ, ბათუმში ამერიკული ხომალდების შემოსვლა ერთგვარად შვებისმომცემი იყო.

ამერიკული ხომალდებისათვის ქართულ პორტებში ვიზიტი უცხო მოვლენა არ არის. ამ ტრადიციას საფუძველი ჯერ კიდევ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს ჩაეყარა, როცა თეთრწითელი რუსეთი საქართველოში შემოჭრას ცდილობდა და ამ მიზნისათვის ისევ აფხაზებს იყენებდა.

პირველ მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატები ანტანტის ქვეყნებს 1917 წლის 6 აპრილს შეუერთდა და იმავე თვეში ამერიკული ხომალდები ჯერ ატლანტის ოკეანეში, შემდეგ ევროპის მიმდებარე წყლებში და ბოლოს ხმელთაშუა ზღვაში შევიდნენ.

1920 მარტის მეორე ნახევარში შავ ზღვაში ნოვოროსიისკთან ჯავშანგემბანიანი კრეისერი C-17 „გალვესტონი“ 2 საესკადრო ნაღმოსნის თანხლებით დადგა.

1920 წლის 21 ივლისს ბათუმის რეიდზე პირველი ამერიკული ხომალდი – საესკადრო ნაღმოსანი DD 213 „ბარკერი“ გამოჩნდა. მას მოჰყვა ისევ საესკადრო ნაღმოსნის კლასის ხომალდები: DD 214 „თრეისი“, DD 216 „ჯონ დ. ედვარდსი“, DD 255 „ოსმონდ ინგრემი“, DD 217 „უიპლი“, DD 215 „ბორი“, DD 239 „ოვერტონი“, DD 212 „სმით თომპსონი“, DD 236 „ჰამფრეისი“ და DD 233 „გილმერი“. ბათუმში ბოლო ამერიკული ხომალდი DD 212 „სმით თომპსონი“ 1921 წლის 1-ელ იანვარს შემოვიდა.

ათივე ხომალდი საესკადრო ნაღმოსნების „კლემსონის“ სერიას მიეკუთვნებოდა. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919-22 წლებში, ამერიკის ფლოტს ამ სერიის 156 ხომალდი შეემატა და მწყობრში იმდენად ბევრი საესკადრო ნაღმოსანი აღმოჩნდა, რომ ერთი ნაწილი მალე ჩამოიწერა და მეორე კი – რეზერვში გადავიდა.

ხომალდების წყალწყვა 1190-დან 1310 ტონამდე ადიოდა. სიგრძე 95,8 მეტრს, სიგანე 9,7 მეტრს და წყალჯდომი 2,8 მეტრს შეადგენდა.

ორი ტურბინა ჯამურ სიმძლავრეს 18500-დან 27000 ცხენის ძალას ავითარებდა და მაქსიმალურ 35 კვანძს იძლეოდა.

შეიარაღებაში შედიოდა ოთხი 102 მმ-იანი ქვემეხი, თვითმფრინავების საწინააღმდეგო სამი 76 მმ-იანი ქვემეხი და 533 მმ-იანი 4X3 სატორპედო აპარატი, აგრეთვე 30-50 სიღრმის ბომბი.

ეკიპაჟი 8 უფროს ოფიცერსა და 114 უმცროს ოფიცერსა და მეზღვაურს ითვლიდა.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში საესკადრო ნაღმოსნების მთავარი დანიშნულება მოწინააღმდეგის ხომალდებზე სატორპედო შეტევა იყო.

ზღვაზე ომის ხასიათმა საესკადრო ნაღმოსნის გამოყენების არეალი შესამ-



1996 წლის ივნისი სადესანტო-ხომალდი დოკი „ტორტუგა“ ბათუმის პორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა



სარაკეტო საესკადრო ნაღმოსანი „ჰოესი“

ჩნევად გააფართოვა და გადააქცია უნივერსალურ ხომალდად, რომლის მოვალეობაში დამატებით შევიდა წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა, სატრანსპორტო გემების დაცვა, სახმელეთო ჯარების საცეცხლე მხარდაჭერა, დესანტის გადასხმა, დაზვერვა, ნაღმების ღობურების დაყენება, წყალქვეშა ნავების დახვედრა-გაცილება, საჰაერო თავდასხმების მოგერიება და სხვ.

შესაბამისად, საესკადრო ნაღმოსნების შეიარაღებაში გამოჩნდა წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო სიღრმული ბომბები, ნაღმების დასაყენებელი მოწყობილობები, საზენიტო ქვემეხები და ა.შ..

ბათუმში შემოსული ამერიკული ხომალდები უკვე სრულად პასუხობდნენ ახალ მოთხოვნებს და ხომალდების ერთმა ნაწილმა 1939 წლისათვის სოლიდური ასაკის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის მიღებაც კი მოასწრო.

ქართულ პორტებში ამერიკელი მეზღვაურები ერთი ან რამდენიმე დღე რჩებოდნენ და შემდეგ ისევ ზღვაში გადიოდნენ.

ამ მისიების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია შემონახული არ არის. ამერიკის დროშის დემონსტრირებით ამერიკელები იმავდროულად ფრანგ და ბრიტანელ მეზღვაურებთან ერთად რუსეთისაგან საქართველოს საზღვაო უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

რეიდზე დგომის დროს ეკიპაჟებს დასვენების საშუალება ეძლეოდათ. მიმდინარეობდა წყლის, საკვებისა და საწვავის მარაგის შევსება და ხომალდს უსაფრთხო ცურვისათვის აუცილებელი სარემონტო სამუშაოები უტარდებოდა.

გამორიცხული არ არის, რომ ამერიკული ხომალდები საქართველოს ხელისუფლების დავალებებსაც ასრულებდნენ. საესკადრო ნაღმოსანი „სმით თომპსონი“ ბათუმში 1920 წლის 20 ოქტომბერს შემოვიდა და მეორე დღეს კურსი სოხუმისაკენ აიღო. სოხუმში 22 ოქტომბერს შევიდა, ბორტზე ტვირთი მიიღო და 1-ელ ნოემბერს ზღვაში გავიდა. ტვირთი, როგორც ჩანს, ფოთში დატოვა და 4 ნოემბერს ფოთიდან ისევ ზღვაში გავიდა. სავარაუდოდ, ხომალდმა ქართველი სამხედროების შეიარაღება ან ალჭურვილობა გადაიტანა.

1921 წლის თებერვალში საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და პორტები დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ხომალდებისათვის დიდი ხნით დაიხურა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით „ცივი ომის“ ხანაში, საბჭოთა იმპერიამ შავი ზღვა დახურულ აუზად გადააქცია, სადაც NATO-ს ნებისმიერი წევრი ქვეყნის ხომალდის გამოჩენა ლამის მესამე მსოფლიო ომის დაწყებად აღიქმებოდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს პირველად 1995 წლის 16 აგვისტოს ამერიკული სარაკეტო ფრეგატი FFG-53 „ჰოესი“ ესტუმრა. ხომალდი ბათუმში შემოვიდა და საზღვაო ვაგზალში მე-10 გემთსადგომთან დადგა.

ჩვენი ქვეყნისათვის ეს ვიზიტი ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა. ამით ამერიკულმა ხომალდმა საქართველოს მხარდაჭერა გამოხატა და ორ ქვეყანას შორის ზღვაზე 1920 წელს დაწყებული



მე-6 ფლოტის საშტაბო ხომალდი „მაუნთ უიტნი“

ეროვნული ბიბლიოთეკა




1920 წელი ამერიკული საესკადრო ნაღმოსანი „ბარკერი“

თანამშრომლობა განახლდა.

ფრეგატ „ჰოესს“ ბათუმში შეხვედრა უმაღლეს დონეზე მოუწყვეს. ამერიკელი მეზღვაურების პატივსაცემად გაიმართა კონცერტი, შეხვედრები აჭარის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან და ბათუმის მერიაში. ქართველ მეზღვაურებთან სპორტული შეჯიბრებები გაიმართა.

ამერიკელ მეზღვაურებს საქართველო იმდენად მოეწონათ, რომ სარაკეტო ფრეგატი FFG-53 „ჰოესი“ მეორეჯერ 2000 წლის 1-5 აგვისტოს ვიზიტით ფოთში იმყოფებოდა.

„ჰოესი“ სარაკეტო ფრეგატების „ოლივერ ჰაზარდ პერის“ სერიას მიეკუთვნება. 1977-89 წლებში ამერიკის ფლოტს ამ სერიის 51, ავსტრალიას კი 2 ფრეგატი გადაეცა, ხოლო ტაივანმა ამერიკული ლიცენზიით 8 ხომალდი ააგო.

136 მეტრი სიგრძის „ჰოესის“ სრული წყალწყვა 3900 ტონას შეადგენს. აქვს ორი აირტურბინიანი ძალური დანადგარი საერთო სიმძლავრით 40 ათასი ცხენის ძალა. ეკონომიური 18 კვანძით ცურვის სიშორე 5 ათასი მილია.

ფრეგატების შეიარაღებაში შედის უნივერსალური გამშვები დანადგარი Mk 13 საზენიტო 32 „სტანდარტის“ ტიპისა და ხომალდსაწინააღმდეგო 8 „ჰარპუნის“ ტიპის რაკეტით, ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი, შეწყვილებული 25მმ-იანი ავტომატი, 20მმ-იანი 1X6 „ვულკან ფალანქსი“, ოთხი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, 324მმ-იანი 2X3 სატორპედო აპარატი და შვეულმფრენი.

ასაკის გამო ფრეგატების სამსახური ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. ამჟამად ამერიკის ფლოტის განკარგულებაში 21 ხომალდია დარჩენილი და კიდევ 9 რეზერვშია გადაყვანილი.

ხომალდების მეორე ნაწილი სხვა ქვეყნებს გადაეცა ან გაიყიდა. ავსტრალიის ფლოტს – 4, ბაჰრეინის – 1, ეგვიპტის – 4, ესპანეთის – 6 და თურქეთის – 8 „ოლივერ ჰაზარდ პერის“ სერიის ფრეგატი დაემატა.

რუსეთის აგრესიის დროს ბათუმში „ერლი ბიორკის“ სერიის სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი DDG 74 „მაკ ფაული“ შემოვიდა. იმავე სერიის კიდევ ერთი ხომალდი DDG-78 „პორტერი“ 2006 წლის 7-10 აპრილს ფოთს სტუმრობდა, ხოლო ბათუმში 2007 წლის 30 აპრილიდან 2 მაისამდე სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი DDG-68 „სულივანი“ და 3-7 სექტემბერს სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი DDG-75 „დონალდ კუკი“ იმყოფებოდა.

ცალკე აღსანიშნავია საქართველოს პორტებში ამერიკის ფლოტის საშტაბო-სამეთაურო და სადესანტო ხომალდების ვიზიტები.

1996 წლის 25 ივნისს ბათუმს სადესანტო ხომალდი – დოკის კლასის ხომალდი LSD 46 „ტორტუგა“ ესტუმრა.

„უიდბეი აილენდის“ სერიის მეექვსე ხომალდი „ტორტუგა“ ამერიკის ფლოტმა 1990 წლის 17 ნოემბერს მიიღო. 15745 ტონა წყალწყვის ამ გიგანტის სიგრძე 155 მეტრს აჭარბებს.

„ტორტუგას“ შეიარაღებაში შედის ორი სისტემა RAM Mk49, ერთი შეწყვილებული 25მმ-იანი ავტომატი, 20მმ-იანი 2X6 „ვულკან ფალანქსი“ Mk15 ავტომატი და რვა 12,7მმ-იანი ტყვიამფრქვევი.

ძალური აგრეგატის საერთო სიმძლავრე 41600 ცხენის ძალაა. ხომალდი მაქსიმალურ 22 კვანძს ავითარებს და ეკონომიური 18 კვანძი 8 ათას მილზე ცურვას უზრუნველყოფს.

ეკიპაჟი 21 ოფიცრისა და 290 მეზღვაურისაგან შედგება. ხომალდზე აგრეთვე იმყოფება დაახლოებით 454 საზღვაო ქვეითი. მათი დესანტირებისათვის გამოიყენება სადესანტო კატარღები (4-LCAC, ან 3-LCU, ან 10-LCM) ან LVTP ტიპის 28 მცურავი ჯავშანტრანსპორტიორი. აქვს შვეულმფრენების მისაღები მოედანი.

1998 წელს ფოთს ხმელთაშუა ზღვის ამერიკის მე-6 ფლოტის საშტაბო ხომალდი AGF-3 „ლა სალი“ ესტუმრა.

„ლა სალი“ მწყობრში 1964 წლის თებერვალში ჩადგა. 1972 წლიდან მრავალმხრივი დანიშნულების სამეთაურო და 1994 წლის ნოემბრიდან მე-6 ფლოტის სამეთაურო ხომალდია. 2005 წლის 27 მაისიდან ფლოტის შემადგენლობიდან გამოიყვანეს და მას შემდეგ სასწავლო-საწვრთნელი დანიშნულება აქვს.

მისი სრული წყალწყვა 14650 ტონას და სიგრძე 159 მეტრს შეადგენდა. ხომალდის აღჭურვილობაში შედიოდა 3 შეწყვილებული 76მმ-იანი ქვემეხი, შეწყვილებული 25მმ-იანი ავტომატი, 20მმ-იანი 2X6 „ვულკან ფალანქსი“ Mk15 ავტომატი, ექვსი 12,7მმ-იანი ტყვიამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრქვევი და 1 შვეულმფრენი.

ეკიპაჟი 21 ოფიცრისა და 410 რიგითის, ხოლო შტაბი კი – 125 მოსამსახურისაგან შედგებოდა.

2005 წლის ივლისს-აგვისტოში ფოთში სადესანტო-პლატფორმა დოკი LPD13 „ნეშვილი“ იმყოფებოდა.

„ოსტინის“ სერიის „ნეშვილი“ ამერიკის ფლოტმა 1970 წლის თებერვალში მიიღო. ხომალდის სრული წყალწყვა 17595 ტონა და სიგრძე 173,4 მეტრია. აღჭურვილია შეწყვილებული 25მმ-იანი ავტომატით, 20მმ-იანი 2X6 „ვულკან ფალანქსი“ Mk15 ავტომატითა და რვა 12,7მმ-იანი ტყვიამფრქვევით.

ხომალდის ეკიპაჟი 24 ოფიცერსა და 396 მეზღვაურს ითვლის. ბორტზე 788 საზღვაო ქვეითი იმყოფება. დესანტირებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის სადესანტო კატარღები, მცურავი ჯავშანტრანსპორტიორები და 6 CH-46 „სი კინგის“ ტიპის შვეულმფრენი.

აგვისტოს მოვლენებზე ამერიკის ფლოტის გამოხმაურების კიდევ ერთი მაგალითი საქართველოს წყლებში მე-6 ფლოტის საფლაგმანო ხომალდის LCC 20 „მაუნთ უიტნის“ შემოსვლა იყო.

„მაუნთ უიტნი“ 6 სექტემბერს ფოთის გარე რეიდზე დადგა და მისი ბორტიდან 17 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი: 4 ათასი პლედი, წვენები, ჰიგიენური საშუალებები და პირადი საჭიროების ნივთები გადმოიტვირთა.

ხომალდის სიგრძე 198 მეტრი და სრული წყალწყვა 18640 ტონაა, ხოლო წყალჯდომი 8,8 მეტრს აღწევს. ასეთი გაბარიტის სამხედრო ხომალდი საქართველოს პორტებს არასოდეს სტუმრებია.

მართალია, „მაუნთ უიტნიმ“ სოლიდურ ასაკს – 37 წელს მიაღწია, მაგრამ საშტაბო ხომალდის აღჭურვილობაში მთავარი ადგილი მართვისა და კავშირის უახლეს საშუალებებს უკავია. მათ შორის არის ამფიბიური ძალების მართვის საინფორმაციო ცენტრი, საზღვაო ინფორმაციის დამმუშავებელი სისტემა, ზღვაზე მდგომარეობის ტაქტიკური-სამეთაურო სისტემა, საზღვაო სამეთაურო, კონტროლისა და ინფორმაციის სისტემა და ა.შ.

პირადი შემადგენლობა 127 ოფიცრის, 126 რიგითისა და 210 მეზღვაურისაგან შედგება. ხომალდზე სამოქალქო პირებიც მსახურობენ.

„მაუნთ უიტნისთან“ ერთად შავ ზღვაში ამერიკული მკვლევარი გემი „პასფაინდერი“ შემოვიდა და კურსი სევასტოპოლისაკენ აიღო. „პასფაინდერი“ ამერიკა-უკრაინის ერთობლივ ექსპედიციაში მონაწილეობს, რომლის მიზანი 1941 წელს გერმანული ავიაციის მიერ ჩაძირული სანიტარიული გემის – „არმენიას“ ძებნაა.

საქართველოში ვიზიტით ამერიკის სანაპირო დაცვის რამდენიმე ხომალდიც იმყოფებოდა. 1996 წლის 26-29 აგვისტოს ფოთში WHEG-721 „გალატინი“ შემოვიდა.

1999 წლის 11-13 აგვისტოს ფოთს WHEG-716 „დალასი“ ესტუმრა, რომელიც მეორეჯერ უკვე ძნელბედობის ჟამს, 2008 წლის 27 აგვისტოს ჰუმანიტარული ტვირთით ბათუმს მოადგა.

შემდეგ „დალასმა“ ცურვა სევასტოპოლისაკენ გააგრძელა და რუსები სულ დააბნია. უკიდურესად გაღიზიანებულ-დაძაბულმა რუსმა ადმირალებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა „დალასის“ მისია შავი ზღვის ფლოტის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზა სევასტოპოლში ნაგვის კონტეინერების ჩამოცლით დასრულდა.

მუდმივად მტრის მძებნელმა რუსეთის უმაღლესმა პირებმა ამერიკული ხომალდებით ჰუმანიტარული ტვირთის შემოტანა ხან სადაზვერვო საქმიანობად, ხან საქართველოში იარაღის შემოტანად და ხანაც ვითარების გამწვავებად შეაფასეს. ეს იმ დროს, როცა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდები საქართველოს სანაპიროს ბლოკირებას უკეთებდნენ, მშვიდობიან გემებს ფრთოსან რაკეტებს ესროდნენ და სამხედრო ტექნიკას ეზიდებოდნენ, ამას კი „სამშვიდობო“ ოპერაციას უწოდებდნენ.

*თემურ ჩაჩანიძე*

სადესანტო-ხომალდი დოკი „ტორტუგა“



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე გვეგონა, შევძლებდით“




აგვისტოს მოვლენებზე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ. იმ დღეებში ჯარისკაცებთან ერთად თავდაუზოგავად იბრძოდნენ ჩვენი მედიკოსებიც. დიახ, იბრძოდნენ - ამის თქმა გადაჭარბებულად სულაც არ მიგვაჩნია. ვესაუბრებით ღუდუშაურის სახ. კლინიკის მთავარ ნეიროქირურგს, ბატონ თამაზ კერძევაძეს. მას ბოლო წლებში საქართველოს თავს დატეხილ ყველა სამხედრო კონფლიქტის დროს მოუწია დაჭრილების მკურნალობამ...

— **დღეს ბევრს ლაპარაკობენ ექიმების გმირობაზე, ვფიქრობ, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ბატონო თამაზ, იქნებ განგვიმარტოთ, რაში მდგომარეობდა თქვენი და თქვენი კოლეგების გმირობა?**

– მოვლენათა გაანალიზება საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ შევაფასოთ ის, თუ რა მოხდა, არამედ გავითვალისწინოთ ყველა ნიუანსი და შეცდომა. ცუდი საქმეა თავის ქება, მაგრამ სამედიცინო სამსახურმა მართლაც კარგად იმუშავა. იმ მძიმე დღეებს რომ ვიხსენებ, ვხვდები, ჩვენ იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე გვეგონა, შევძლებდით. ჩვენმა კლინიკამ 600-ზე მეტი დაჭრილი პაციენტი მიიღო. მას შემდეგ, რაც გორი დაიბომბა, ღუდუშაურის სახელობის კლინიკა იყო პირველი რიგის ჰოსპიტალი, სადაც დაზარალებულებს კვალიფიციურ დახმარებას უწევდნენ. პაციენტების უმეტესობა სამხედრო პირი იყო. რა თქმა უნდა, მათ შორის იყო მშვიდობიანი მოსახლეობაც, მაგრამ მათი რაოდენობა დაჭრილთა დაახლოებით 10-12%-ს შეადგენდა. მხოლოდ ორი შემთხვევა დასრულდა ლეტალური შედეგით. ერთი შემთხვევა პირველ დღეს დაფიქსირდა. უმძიმესი ჭრილობებით შემოსული ჯარისკაცი საოპერაციოში შეყვანამდე გარდაიცვალა, მეორე კი საავტომობილო შემთხვევის გამო დაიღუპა. ამბობენ, თითქოს ათასობით ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, – საომარი მოქმედებების დროს ჩვენი ცოცხალი ძალის დანაკარგი, მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით, 500 კაცს არ აღემატება.

— **რამდენად კარგად იყო მომარაგებული და მომზადებული თქვენი კლინიკა და თუ გაქვთ ინფორმაცია სხვა საავადმყოფოების შესახებ?**

– ახლა ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა და, ბუნებრივია, საავადმყოფოებსაც უჭირთ. მართალია, მედიკამენტების დეფიციტია, მაგრამ ჩვენს სამედიცინო დაწესებულებას ეს პრობლემა არ შეჰქმნია. დაახლოებით 7-8 თვის წინ ღუდუშაურის სახელობის კლინიკას NATO-მ საკმაოდ დიდი ოდენობის სამედიცინო ჰუმანიტარული დახმარება გამოუგზავნა. ამიტომაც უკიდურესად კრიტიკულ მომენტშიც კი პრობლემა არ შეგვქმნია. სხვა საავადმყოფოებზე კი დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით, ალბათ, იქაც ასეთივე მდგომარეობა იყო.

— **უმეტესად როგორი სახის ჭრილობები ჰქონდათ ჯარისკაცებს?**

– ეს ომი პრინციპულად განსხვავდებოდა აფხაზეთის ომისაგან. ამჯერად არ გვქონია ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები. ასეთ პაციენტთა ხვედრითი წილი ძალიან დაბალი იყო, ალბათ, ერთეულები. ჯარისკაცებს, ძირითადად, კონტუზია, კიდურებსა და კისრის არეში ნამსხვრევებით მიყენებული ჭრილობები ჰქონდათ. იშვიათი იყო ჭრილობები მუცლისა და გულმკერდის არეში, რაც ჯავშანჟილეტების დამსახურებაა. ასეთი სახის დაზიანებები მხოლოდ იმ დღეს დაფიქსირდა, როდესაც რუსებმა გორში კასეტური ბომბი ჩამოაგდეს. ამ აფეთქების შედეგად მძიმედ დაჭრილი ებრაელი ჟურნალისტი რეანიმობილით პირდაპირ ჩვენს კლინიკაში მოიყვანეს. იმ დღეს მხოლოდ ერთი ნეიროქირურგიული ავადმყოფი მყავდა და ამიტომ შემეძლო ჩემს კოლეგებს საოპერაციოში დავხმარებოდი. ჟურნალისტი ერთ-ერთი უმძიმესი პაციენტი იყო. როდესაც ქირურგმა გაჭრა, გულმკერდი სისხლით ჰქონდა სავსე. სისხლდენა სასწრაფოდ შეაჩერეს. ჭურვის ნამსხვრევს დიაფრაგმა გაუხვრეტია და მუცლის ღრუ დაუზიანებია. ჟურნალისტს ერთდროულად ორი ოპერაცია გაუკეთდა. პაციენტს, რომელსაც არ ჰქონდა წნევა და პრაქტიკულად მკვდარი იყო, საღამოს უკვე წნევა ჰქონდა, მეორე დღეს კი ლაპარაკი დაიწყო და ტრანსპორტირებასაც დაექვემდებარა. როდესაც ისრაელიდან მის წასაყვანად ჩამოსული დელეგაცია ავადმყოფის მდგომარეობას გაეცნო, ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა განაცხადეს, რომ ასეთ მძიმე ავადმყოფს ოპერაციაზე, ალბათ, აღარც შეიყვანდნენ.

— **როგორ შეაფასებდით სამხედრო სანიტრების მუშაობას და საჭიროა თუ არა მათი გადამზადება?**

– თითქმის ყველა დაჭრილს აბსოლუტურად სწორად ჰქონდა აღმოჩენილი პირველადი გადაუდებელი დახმარება, რაც საფუძველს მაძლევს ვთქვა, რომ ჩვენი სამხედრო სანიტრები პროფესიონალები არიან. ჩვენ გვყავს ძალზე კარგი რეანიმატოლოგები, რომლებიც ჯარისკა-

ცებს სტაციონარში მიყვანამდე შესაბამის დახმარებას უწევდნენ. ერთი სიტყვით, ყველა ძალიან მობილიზებული იყო. ვფიქრობ, პრობლემას თავად სისტემა ქმნის, რომელიც უკვე მოძველებული და არაეფექტიანია. საბჭოთა პერიოდში ჯარისკაცის ევაკუაციისა და მკურნალობის მკაცრი დოქტრინა არსებობდა. ამ სისტემას ასევე ერქვა – „მკურნალობა და ევაკუაცია“, რომლის მიხედვითაც ბრძოლის ველიდან გამოყვანილი დაჭრილი რამდენიმე სამედიცინო პუნქტს გადიოდა, რომ სრულფასოვანი დახმარება მიეღო. ამასობაში იკარგებოდა ბევრი დრო, რასაც, შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყოლოდა. ასე ხდებოდა ახლაც. ვფიქრობ, უფრო უკეთესი შედეგი გვექნება, თუკი საომარი მოქმედებების დროს აქტიურად იქნება ჩართული სანიტარული ავიაცია, რომელიც დაჭრილებს პირდაპირ მრავალპროფილიან სტაციონარში გადაიყვანს. ამით მოვიგებთ დროს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, სასურველია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების გამარტივება საომარი მოქმედებების დროს. ექიმი, რომელიც პაციენტის სიცოცხლის შენარჩუნებაზე ზრუნავს, დროს არ უნდა კარგავდეს და არ უნდა ფიქრობდეს დოკუმენტების გაფორმებაზე. ჩვენ უკვე დავიწყეთ ამ საკითხზე ფიქრი.

— **ბატონო თამაზ გავრცელდა ხმა, თითქოს ზოგიერთი ჭრილობა, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული, არასწორად იყო დამუშავებული.**

– ვფიქრობ, შეცდომები არ გვქონია. რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობას, ის უნდა გაიკეროს, მაგრამ არა როგორც ჩვეულებრივი ჭრილობა. საომარი მოქმედებების დროს მიყენებული ჭრილობა სიტუაციურად იკერება, ხდება ქსოვილების ერთმანეთთან მიახლოება, მაგრამ რჩება ადგილი, რადგან ჭრილობა თავისთავად არის ინფექციის კერა. ყველა ჭრილობა რომ



სათანადოდ იყო დამუშავებული, ის ფაქტი მეტყველებს, რომ ჩვენს კლინიკაში განგრენის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

— **თქვენ მკურნალობდით აფხაზეთის ომის დროს დაზარალებულ მეომრებსაც. იმ დროის პაციენტებისაგან რითი განსხვავდება ახლანდელი ჯარისკაცების, მათი ახლობლების და ჭირისუფლების დამოკიდებულება?**

– ამ ომებს შორის პრინციპული სხვაობაა. მაშინ ჩვენ ძალიან რთული სამუშაო პირობები გვქონდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ დაჭრილები უმნიშვნელო ნაკაწრზეც კი მორფინის გაკეთებას გვთხოვდნენ, თავზე გვადგნენ ავტომატით შეიარაღებული პირები. ახლა სულ სხვა ვითარება იყო. ჯარისკაცები თითქმის არ ლაპარაკობდნენ. მათი უმეტესობა ბრძოლის ველზე დაბრუნებას მოითხოვდა. არც ერთს არ მოუთხოვია მორფინი. სხვათა შორის, დაჭრილი ჯარისკაცები ამავე სიმძიმის და ამავე კატეგორიის ტრავმების მქონე სამოქალაქო პირებთან შედარებით უფრო იოლად და სწრაფად გამოდიოდნენ მდგომარეობიდან. რა თქმა



უნდა, ჯანმრთელობაც დიდ როლს ასრულებს, მაგრამ ვფიქრობ, მოტივაციაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – მათ სიცოცხლე უნდოდათ. რაც შეეხება ახლობლებს, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილების მონახულების უფლებას გვთხოვდნენ, არ გვაწუხებდნენ.

— **ცნობილია, რომ ექიმები ძლიერი ნების პიროვნებები არიან, მაგრამ ადამიანური ფაქტორი მაინც თავისას შვრება. ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს დღეებში თქვენ ყველაზე საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებდით და ამავდროულად, კარს მომდგარი უბედურების ამბავს ისმენდით. რას განიცდიდით იმ დროს და რას ფიქრობდით?**

– საშინელება იყო. ვხვდებოდით, რომ შეიძლებოდა ყველაფერი დაგვეკარგა. თავისთავად გვიჩნდებოდა კითხვები: რა აზრი ჰქონდა კლინიკის რემონტს, რა აზრი ჰქონდა ყველაფერს, რასაც ამდენ ხანს ვაშენებდით, ვქმნიდით და ვუფრთხილდებოდით. ჩვენ სამშობლოს ვკარგავდით და ამის შეგნება ენით გამოუთქმელ განცდას იწვევდა. 11 აგვისტო, ალბათ, ყველაზე ტრაგიკული დღე იყო. იმ დღეს, როდესაც რუსები თბილისისაკენ აპირებდნენ წამოსვლას, ჩვენ, ყველანი, ჩვენს მოქალაქეობრივ და პროფესიონალურ მოვალეობას ვასრულებდით. არც გვიფქრია, სადმე წავსულიყავით, არ გვეშინოდა. ვიცოდით, თუკი ერთი ექიმი მაინც წავიდოდა, შესაძლოა, მას მიჰყოლოდა მედდა, სანიტარი. ერთი სიტყვით, ყველაფერი დაინგრეოდა. ვიცოდით, რომ თბილისში შემოსული ბარბაროსები, რომლებმაც არც კი იცოდნენ რისთვის მოდიოდნენ, ერთ-ერთ პირველებს ჩვენ მოგვადგებოდნენ და ამისთვის მორალურად მომზადებულიც ვიყავით. საბედნიეროდ, ღვთის ნებით სასწაულმა გვიხსნა.

*ანა ფალიანი*



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება.

# კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

## გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

შუა საუკუნეების მხედართმთავრებს არ გააჩნდათ ტექნიკური რესურსები, რის გამოც საბრძოლო მოქმედების გაკონტროლება და მართვა ძალზე ძნელი იყო. იძულებულნი იყვნენ, იმპროვიზაციითა და სხვადასხვა ფანდით ესარგებლათ. ამან ტექნიკური ინოვაციების მოთხოვნილება წამოჭრა, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მაშინ იყო, როდესაც მტერს მრავალათასიანი ჯარი ჰყავდა.

შუა საუკუნეების ფეოდალური ევროპა სულ ბრძოლაში იყო. ჩრდილოეთით ტევტონთა ორდენი აკონტროლებდა წარმართ პრუსებს, ბალტების — ლიტველებისა და ლატვიელების მიწებს, მოგვიანებით კი ძველ რუსეთსაც შეეტაკა. ჩრდილო-დასავლეთიდან ვიკინგები აოხრებდნენ და შიშის ზარს სცემდნენ ზღვისპირა რეგიონებს. ეს უმოწყალო და სისხლისმსმელი ყაჩაღები არაერთხელ მისდგომიან პარიზისა და კონსტანტინოპოლის გალავანს. არაერთხელ გაუთელავთ რუსეთის მიწები და აუწიოკებიათ ხმელთაშუა ზღვისპირეთი.

სამხრეთიდან ევროპას მაჰმადიანი ფანატიკოსები უტევდნენ, რომლებმაც ესპანეთი და სიცილია დაიპყრეს და საფრანგეთიც სასტიკად შეავიწროეს. ისლამის დროშით მებრძოლმა თურქებმა კონსტანტინოპოლი და მთელი საბერძნე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თი დაიმონეს. მადიარებისა და მონღოლების აღმოსავლეთიდან მომავალმა ურდოებმა ნაცარტუტად აქციეს ყველაფერი, რაც კი გზად ელობებოდათ. მოგვიანებით გამოჩნდნენ ჰუსიტებიც, რომლებიც ევროპელ რაინდებს ტოლს არ უდებდნენ ბრძოლაში.

ევროპის ხალხებს სულ სხვადასხვა მოწინააღმდეგესთან უწევდათ შერკინება, – ჰუსიტების კავალერიულ ფორმირებებთან, ზღვიდან ნორმანების ქვეითი დანაყოფები ესხმოდნენ თავს, ხმელეთზე ფეხოსნებისა და მხედრებისგან შემდგარი მაჰმადიანთა რაზმები.

ის ევროპელი მხედართმთავრები, რომლებიც ახალ და ძლიერ მტერთან შეტაკებისას გადარჩნენ, ცდილობდნენ მაქსიმალური სარგებელი მიეღოთ თავიანთ განკარგულებაში მყოფი საჯარისო ნაწილებისაგან და გამოეყენებინათ მოწინააღმდეგის სუსტი წერტილი. ისინი კი, ვინც მარცხდებოდნენ, იღუპებოდნენ და მათი ქვეყნებიც ითელებოდნენ. მხედართმთავართა უმთავრესი მიზანი შეზღუდული რესურსებით შეუზღუდავი ამოცანების შესრულება იყო.

## ფეოდალიზმი და ტომობრივი წყობა

ადრეული შუა საუკუნეები დასავლეთ რომის იმპერიის ნგრევის პერიოდიდან იწყება. ამ უძველესი და უკვე მოშლილი იმპერიის საზღვრებს მიღმა მცხოვრები ტომები უმეტესად ტომობრივ საზოგადოებებს ქმნიდნენ. მართალია, ამ ხალხებისაგან არც ერთი წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება, რომელიც მათი ცხოვრების წეს-ჩვეულებებზე წარმოდგენას შეგვიქმნიდა. სამაგიეროდ, მათი მეზობლები – რომაელები წერდნენ მათზე. მოგვიანებით გამოჩნდა რამდენიმე ხელნაწერი, რომელიც ეკლესიის მსახურთა დაწერილი იყო. თუკი ყველა ამ დოკუმენტს შევისწავლით, შეგვიძლია ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ მათი სამხედრო საქმიანობის შესახებ.

შუა საუკუნეების დროინდელი ტომი წარმოადგენდა ერთი გავლენიანი ოჯახის გარშემო შეკრებილ ადამიანთა ერთობას. მოგვიანებით, მიკროსაზოგადოების გაფართოების ხარჯზე გაერთიანება კიდევ უფრო მასშტაბური ხდებოდა. კლანებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება უმეტესწილად ქორწინებით ხდებოდა.

ყველაზე გავლენიანი ოჯახის უხუცესს შეეძლო თანატომელები შეეკრიბა და მარტივი სამხედრო ფორმირება შეექმნა, რომელიც მეზობლებზე თავდასხმის ან პირიქით – მათგან თავდაცვის მიზნით იბრძოდა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ტომში სხვადასხვა კანონი მოქმედებდა. თუ ერთგან ეს ნებაყოფლობითი იყო, ხოლო მეორეგან დიპლომატიური ხრიკებით კეთდებოდა, ერთიანი, საყოველთაო წესი მაინც არ არსებობდა.

თანდათან უხუცესის მოწოდებით ჯარში გამოცხადება ნორმად იქცა. უარის ან სხვა საშუალებით სამხედრო ლაშქრობაში მონაწილეობის თავიდან აცილებას, შესაძლოა, მიწის კონფისკაცია ან სიკვდილით დასჯა მოჰყოლოდა.

რაც უფრო მდიდარი და გავლენიანი იყო ოჯახის მეთაური ან ოჯახთა გაერთიანება, მით უფრო დიდი ჯარის შეკრება შეეძლო. გერმანელი საქსების იარლებს (სწორედ ამ ტერმინიდან მომდინარეობს ინგლისური წოდება – ერლი) შეეძლოთ შეეკრიბათ ფაირდების რაზმები და უფრო მსხვილი სამხედრო შენაერთები. ამგვარად, სამხედრო წყობაში მნიშვნელოვან როლს მიწის საკუთრება ასრულებდა. მაგალითად, საქსონიის ინგლისში IX საუკუნეში ერთი მიწის ნაკვეთიდან, რომლითაც ხუთი ოჯახი არსებობდა, სავალდებულო იყო ერთი მეომრის გამოყვანა.

ქარიზმატულ ლიდერს ახლა უფრო დიდი რაზმის შეკრების საშუალება ეძლეოდა. მეომრები ხშირად სხვა ტომის ფორმირებებს უერთდებოდნენ, უფრო მამაც და გამოცდილ სარდალს მიჰყვებოდნენ. ამ მოვლენამ იმდენად ხშირი ხასიათი მიიღო, რომ მოგვიანებით საქსებთან ერთი ერლისგან სხვა ერლთან გადასვლა მეფის ნებისა და გადასახადის გარეშე შეუძლებელი გახდა. იგივე ხდებოდა სხვა ხალხებშიც. მაგალითად, ჩინგის-ხანი მონღოლეთის უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნამდეც კი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აზიის სხვა ტომების მეომრებს შორის.

სამხედრო ლიდერები, როგორც წესი, მხოლოდ ნდობით აღჭურვილ პირებს შემოიკრებდნენ და მათგან ე.წ. „შინაურულ“ გარემოცვას, ანუ ჰუსკარლების დაჯგუფებებს (HUSCARL სიტყვასიტყვით შინაურ ადამიანს ნიშნავს) ქმნიდნენ, რომლებიც ბატონზე იყვნენ დამოკიდებული. მათ, როგორც იულიუს კეისარი თავის De bello Gallico-ში წერს („გალებთან ბრძოლის შესახებ“) შეეძლოთ სამარეშიც კი ჩაჰყოლოდნენ თავიანთ მეთაურს.

მეომრები, როგორც წესი, მოწოდებისთანავე თავიანთი იარაღით უნდა



გამოცხადებულიყვნენ. იარაღად კი იყენებდნენ იმას, რაც გააჩნდათ და რომელთა მოხმარება მათ ყველაზე უკეთ შეეძლოთ. ძირითადად, მცირე ჯგუფებად იბრძოდნენ, რომლებიც ერთი რომელიმე გამოცდილი და მამაცი მეომრის გარშემო იყვნენ შემოკრებილი.

## ტომობრივი არმიის წყობა

ტომობრივი არმიები ჩვეულებრივ საზარელი სანახავი იყო ხოლმე, მაგრამ სამეთაურო სტრუქტურების პრიმიტიულობის გამო მათი გაკონტროლება ბრძოლის ველზე თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. შესაბამისად, მათი ფსევდოიერი მალე აშკარა და მოწყვლადი ხდებოდა. ხშირად ჯარი ათეულებად იყოფოდა. თითოეულ მათგანს სათავეში მეთაური ედგა. არსებობდა ასეულებიც, მაგალითად, საქსებში ვიკინგებში, ირლანდიელებსა და პრუსიელებში. ტომობრივი სისტემის დროს მეთაური თითოეული ოჯახიდან იმდენი მეომრის მიღებას ელოდა, რამხელაც იყო მათი მიწის საკუთრება. მეთაურობა ტომში, როგორც წესი, მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მაგრამ ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ ტომის ლიდერი პირადი დამსახურების მიხედვით დაწინაურდებოდა ხოლმე. მაგ. ჩინგის-ხანი, რომელმაც ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად გააერთიანა მონღოლური ტომები. ხანდახან მეთაურებს ყველაზე გამორჩეულ წევრებს შორის ირჩევდნენ, როგორც მაგალითად, ირჩევდნენ მეფეებს საქსები.

რომის იმპერიის ოფიციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტრუქტურები სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად ინგრეოდა. ცენტრი ველარ აკონტროლებდა პროვინციებს და ვერ ინარჩუნებდა წესრიგს. პოსტიმპერიული სივრცე და საზოგადოება, ფაქტობრივად, საკუთარი თავის ამარა დარჩა და იძულებული გახდა, შეექმნა სახელისუფლებო სტრუქტურები ისე, რომ ამ საქმისა არაფერი გაეგებოდათ. გამონაკლისი იყო ინგლისი, რომელმაც რომისგან შესაბამისი ედიქტი მიიღო.

გავლენათა გადანაწილებისა და საზოგადოებრივი წყობის შეცვლის ყველაზე ბუნდოვან პერიოდში მეტ-ნაკლებად ძლიერი ლიდერები გამოჩნდნენ, რომლებიც უმეტესწილად გვიანდელი რომის – დუკას ტიტულს ატარებდნენ. მათაც ჰყავდათ პირადი არმია, რომელსაც ახლო გარემოცვის პროფესიონალი



მეომრების საფუძველზე ქმნიდნენ. დასავლეთ რომის იმპერიის ნგრევის შემდეგ ასეთ მხედართმთავართა შორის ყველაზე გამოჩენილი კარლომანი, იგივე კარლოს დიდი გახლდათ. სწორედ მან მიიღო მემკვიდრეობად ფრანკთა სამეფო, რომელიც ჰილდერიკმა შექმნა. ამ უკანასკნელის შემდეგ სამეფო ტახტზე ხლოდვიგ I ავიდა (481-511), რომლის დროსაც სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა, ხოლო კარლ მარტელის დროს ფრანკები ქრისტიანებად მოინათლნენ და არაბ დამპყრობლებს დაუპირისპირდნენ. სწორედ კარლ მარტელის შვილიშვილი გახლდათ კარლოს დიდი, რომელიც სამეფო ტახტზე 768 წელს ავიდა და 46 წლის განმავლობაში სამეფო იმპერიად აქცია. იმპერიის საზღვრები დასავლეთით ლამანშიდან პირენეს ნახევარკუნძულამდე, ხოლო აღმოსავლეთ – რომის იმპერიიდან დანიამდე ვრცელდებოდა. იგი მოიცავდა საფრანგეთსა და იტალიის ნახევარს, შვეიცარიას, ბავარიასა და ავსტრიის ნაწილს. ნაპოლეონის ეპოქამდე ევროპაში არც ერთ ხელისუფალს ამხელა ტერიტორია აღარ გაუერთიანებია. ამ უზარმაზარ სივრცეში კარლომანი აქტიურად ინარჩუნებდა სისტემას, რომლის მიხედვითაც მიწათმფლობელები ვალდებული იყვნენ განსაზღვრული რაოდენობის მეომარი გამოეყვანათ. ერთი სიტყვით, არმიის გაძლიერებისათვის მეფე იყენებდა და ავითარებდა რუდიმენტულ ფეოდალიზმს.

ამავეს აკეთებდნენ ფრანკთა იმპერიის სხვა ხელისუფალნიც, მაგრამ იმ სხვაობით, რომ ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა. ფეოდალიზმმა ევროპაში ორი სახით იწყო განვითარება. ფეოდალური მოდელი ერთგვარ შაბლონად რჩებოდა, რომელიც მხოლოდ ცალკეულ ცვლილებას განიცდიდა კონკრეტული რეგიონის პირობების შესაბამისად.

## ელიტური და რელიგიური ბრძოლები

შუა საუკუნეების ევროპაში, სადაც ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა, ხოლო ნობილიტეტი შეკრული იყო ნათესაური კავშირებით, ხშირად იფეთქებდა დიდი თუ პატარა კონფლიქტი.

მაგალითად მოვიყვანთ ელეონორა აკვიტანელს, რომელმაც ქმართან – ლუი VII-სთან განქორწინებით და ჰენრი II ინგლისელთან ქორწინებით მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი დასავლეთ ევროპაში. შედეგად, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე აკვიტანიის საჰერცოგო ინგლისის მეფის მფლობელობაში გადავიდა. მსგავსი რამ მოიმოქმედა ელეონორა კასტილიელმაც, რომელმაც გასკონიის სადავო ნაწილი მზითვის სახით ედუარდ I-ს გადასცა. ორივე ქორწინება ასწლიან ომს დაედო საფუძვლად.

ევროპელთა კონფლიქტების მიზეზი არაერთხელ გამხდარა კათოლიკური ეკლესიის გაუმაძღარი და ძუნწი ელიტური მეთაურობა. მას ხმლით არაერთხელ დაუცავს თავისი ინტერესები და განუმტკიცებია პოზიციები ურწმუნოებთან, განდგომილებსა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. ისევე როგორც ეს ხდებოდა ჯვაროსნული

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაშქრობების დროს ბალტიისპირეთში, რეკონკისტის დროს ესპანეთში და სხვ.

ევროპელი მონარქების შიდა და გარე დაპირისპირებებმა, ასევე რელიგიურმა ფანატიზმმა გამოიწვია ის, რომ თითქმის მთელი შუა საუკუნეების პერიოდში დასავლეთი შეუსვენებლად იბრძოდა.

## მონღოლთა ლაშქრობა ევროპაში

მონღოლი მხედართმთავარ ჩინგის-ხანის ამბავი საოცარ ზღაპარს ჰგავს, მაგრამ რაც უნდა დაუჯერებელი გვეჩვენებოდეს, ის რეალურია. ახალგაზრდობაში თემუჩინი ერქვა. ჩინგის-ხანი, რომელიც „დიდ ხანს" ნიშნავს, მოგვიანებით, მონღოლების გაერთიანების შემდეგ დაერქვა. ბავშვობაში ბევრი გასაჭირი გადაიტანა: არაერთხელ აყრილა და უხეტიალია, უშიმშილია და მონობის მძიმე უღელიც უწვნევია. ვინ იფიქრებდა, რომ ეს მომთაბარე ტომის შვილი ოდესმე მთელ მსოფლიოს შეაზანზარებდა.

მონღოლთა არმიის ძირითად ბირთვს მშვილდით, შუბითა და ფარით შეიარაღებული მხედრები შეადგენდნენ. უაბჯრო მებრძოლი მსუბუქი და მძიმე კავალერია ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა შუა საუკუნეების პერიოდის ევროპელ რაინდს. ჩინგის-ხანის მხედრებს დაქვემდებარებული ტომების ცხენოსანთა ჯარი და სხვა, უმეტესწილად ჩინელი „სპეციალისტებიც" (მაგ: საალყო საქმეში დახელოვნებული რაზმები) ემატებოდნენ, მაგრამ მონღოლთა არმიის მთავარი და იმ დროისათვის უნიკალური თვისება სხვა რამ იყო. ყველა წარმატებას უმთავრესად მხედართმთავართა უნარი განაპირობებდა, რომლის საშუალებითაც ერთმანეთისაგან დიდ მანძილზე დაშორებული რაზმებისა და კოლონების მოქმედებათა კოორდინაცია ხდებოდა შესაძლებელი. ისინი ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი თანამიმდევრობას ინარჩუნებდნენ.



მონღოლთა ურდოები ევროპელთათვის ეშმაკის მოციქულებთან ასოცირდებოდა. ეს წარმოდგენა სულაც არ გახლდათ საფუძველს მოკლებული. საქმე ის არის, რომ ევროპის დაპყრობა ჩინგის-ხანის ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა. დიდხანს სურდა მსოფლიო „უკანასკნელ ზღვამდე" დაემორჩილებინა. ჩინგის-ხანი 1227 წელს გარდაიცვალა, 1229 წელს მისი ადგილი შვილმა – უდელეიმ დაიკავა. მამამ მემკვიდრეს გაერთიანებული და ძლიერი მონღოლთა იმპერია ჩააბარა. იმ დროისათვის შუა აზიის სტეპებში გაბატონებული ხვარაზმთა იმპერია უკვე დამარცხებული იყო. უდელეი ჩინეთის დაპყრობას შეუდგა. მან სამეფო დინასტიათა დაპირისპირებით ისარგებლა და დედაქალაქი ყარაყორუმში გადაიტანა.

ამ პერიოდში სამხედრო მოქმედებები პარალელურად დასავლეთის მიმართულებითაც მიმდინარეობდა. ევროპაში უკვე იცოდნენ, რომ მონღოლები საქართველოში და შავი ზღვის სანაპიროებზე იდგნენ, სადაც რუსი თავადების კოალიცია გაანადგურეს. თავად უდელეი ჩინეთის დაპყრობას განაგრძობდა, დასავლეთის დამორჩილების გეგმა კი ჩინგის-ხანის ერთ-ერთ შვილიშვილს – ბათო-ყაენს ჩააბარა. ბათო-ყაენს საკმაოდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. მონღოლთა ჯარს დროდადრო სტეპების ბინადართაგან შემდგარი რაზმები უერთდებოდნენ. მათ მოსამზადებლად და გასაწვრთნელად ბათოს გამოცდილ მხედართმთავრებსა და მეომრებს უგზავნიდნენ. შედეგად, მონღოლთა არმია 50 ათასი მონღოლი მხედრისაგან და 20 ათასი ახალბედა, ჩინელი და სპარსი მეომრისგან შედგებოდა. ბრძოლის ველზე ჯარი შვიდ დუმნად ეწყობოდა, რომელთაგან თითოეულში 10000 კაცი იდგა (მონღოლეთის არმიაში არსებობდა შემდეგი ორგანიზაცია: არბანი – 10 კაცისაგან; ჯაღინი (ან ჩაღინი) – 10 არბანი, მინგანი – 10 ჯაგინი და დუმენი – 10 მინგანი).

ევროპაში პაპი გრიგორი IX აშკარად უპირისპირდებოდა ბიზანტიის იმპერატორ ფრიდრიხ II-ს (სწორედ 1241 წელს ამ უკანასკნელმა ალყაში მოაქცია პაპი რომში). ამიტომაც არც ერთს და არც მეორეს არ ეცალათ იმისათვის, რომ დახმარება აღმოეჩინათ უნგრეთის მეფის, ბელა IV-სთვის, რომელიც მონღოლთა პირისპირ მარტო აღმოჩნდა. მისი ვასალები ცდილობდნენ თავიანთ თავზე ეფიქრათ და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ, რომ მეზობლის ტერიტორიები მიეთვისებინათ. ჩრდილოეთით მდებარე პოლონეთის სახელმწიფო იმ დროს საკმაოდ სუსტი და დეცენტრალიზებული იყო.

მონღოლებს ევროპის ხელში ჩაგდება სურდათ. ამიტომაც არმიის დაახლოებით მეოთხედი ბათომ ჩრდილოეთით გაგზავნა, რათა ვლადიმირ წმინდისა და იაროსლავ ბრძენის მემკვიდრეების შინაომებით დასუსტებული „იმპერია", შემდეგ კი უნგრეთი დაეპყროთ. დაეცა მრავალი ქალაქი, მათ შორის კიევი, ლიუბლინი, სანდომირი. ამ უბედურებაზე ევროპის რეაქცია იმდენად პასიური იყო, რომ შეიძლება ითქვას, ის საერთოდ არ არსებობდა. სამხრეთით მიმავალმა ბათოს ძირითადმა ჯარმა გაანადგურა ვლახეთი, გაიარეს კარპატები და პერშისაკენ აიღეს გეზი.

უნგრეთის მეფე ბელა IV-მ კუმანები მიიღო, რომლებმაც მონღოლთა ძლიერი ტალღა დასავლეთისაკენ გადაისროლა და სამეფოს საზღვრების გამაგრება დაიწყო. როდესაც ბელა IV-მ მონღოლთა ხელმეორე მოახლოების ამბავი შეიტყო, მან ჯარი შეკრიბა და ყველა მოკავშირეს მოუწოდა გაერთიანებისაკენ. მოკავშირეები კი მოვიდნენ, მაგრამ უნგრელთა მეფის დროშით არავის სურდა ბრძოლა.

ანა ფალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეტერჰედის ციხის შტურმი

ტერორისტებსა და გაერთიანებული სამეფოს საზღვრებგარეთ ამბოხებულებთან ბრძოლის გარდა, დიდი ბრიტანეთის SAS-ის 22-ე პოლკის სპეცრაზმელებს არცთუ იშვიათად უწევთ მოულოდნელად წამოჭრილი ამოცანების შესრულება და გადაწყვეტილებების მიღება დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე. ამის ერთ-ერთი დასტურია შემთხვევა, რომელიც 1987 წლის ოქტომბერში მოხდა. შოტლანდიაში, პეტერჰედის ციხეში პატიმრებმა მძევლად აიყვანეს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელი. რისკის ხარისხის მიხედვით ეს ოპერაცია გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ. მასზე თვით საზღვარგარეთაც ცოტა რამ თუ იციან.



50-მა განსაკუთრებით სახიფათო ბოროტმოქმედმა, რომელთაც ხანგრძლივი პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი მკვლელობებისა და ძარცვა-ყაჩაღობისთვის, ციხეში ამბოხება მოაწყო. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ პატიმრებმა ბლოკ D-ზე დაამყარეს კონტროლი. საბედნიეროდ, ამბოხებულთა ერთი ნაწილი დაემორჩილა ხელისუფალთა მოთხოვნებს და საკნებში დაბრუნდა, მაგრამ ამბოხების მეთაურებმა, 4-5-მა კაცმა, წინააღმდეგობა გააგრძელეს. მათ მძევალს, 56 წლის მამაკაცს სასწრაფო-სამედიცინო დახმარება და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები ესაჭიროებოდა. მისი ჯანმრთელობა ყოველდღიურად უარესდებოდა, რაც დიდ ზეგავლენას ახდენდა ხელისუფალთა გადაწყვეტილებებზე. ბოროტმოქმედები ციხის სხვენში დაბანაკდნენ და ბარიკადები აღმართეს, თან, მძევლის მოკვლით იმუქრებოდნენ, თუკი ხელისუფლება შტურმს დაიწყებდა.

ამბოხებულები სახურავზე ხშირ-ხშირად ჩნდებოდნენ და ამით ტელევიზიის ყურადღებაც მიიქციეს, – მათ ტელევიზიაში მისვლის უფლებაც კი მისცეს ციხის უფროსთან მოსალაპარაკებლად.

წინააღმდეგობა თითქმის კვირაზე მეტხანს გაგრძელდა და ციხის ადმინისტრაციამ დახმარება ადგილობრივ პოლიციას სთხოვა. ერთ-ერთმა პოლისმენმა მოახერხა ბარიკადებთან მისვლა და ამბოხებულთა სათვალთვალოდ ტექნიკური საშუალების დადგმა. პოლიციის სპეციალური რეაგირების ჯგუფს შეიარაღებაში აქვს ყველაფერი ის, რაც საჭიროა ასეთ სიტუაციებში სამოქმედოდ, – მან ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი სპეციალური ობიექტივით და სხვა სპეციალური მოწყობილობა გამოიყენა ამბოხებულთა მოქმედების მუდმივად გასაკონტროლებლად.

ამასობაში შოტლანდიის ციხეებში მღელვარება დაიწყო, რომელიც პენიტენციარული დაწესებულებების პერსონალმა თავისი ძალებით ჩააქრო. პეტერჰედში კი სიტუაცია უფრო და უფრო იძაბებოდა. მას დიდი რეზონანსიც მოჰყვა. ამბავი თვით უაითჰოლამდე და დაუნინგ-სტრიტამდე მივიდა და ამბოხებას საგანგებო მდგომარეობის თანრიგი მიანიჭეს.

უკანასკნელი წლების პუბლიკაციების მთავარი თემა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების წინააღმდეგ საბრძოლო იარაღის გამოყენება იყო. ეს საკითხი 1911 წლიდან გახდა აქტუალური, როცა ლონდონის ისტ-ენდში ანარქისტთა გამოსვლების ჩასახშობად ტყვიამფრქვევ „მაქსიმებით“ შეიარაღებული შოტლანდიის არმია გამოიყვანეს. მოგვიანებით უორჩესტერის პოლკმა ცეცხლი გაუხსნა გაფიცულებს უელსში, 50 ათასი ჯარისკაცი კი მზად იყო ლონდონში ან ლივერპულში წესრიგის დასამყარებლად.

1968 წელს საფრანგეთის სტუდენტური რევოლუციის დროს ამბოხებულები პარიზის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ, სანამ CRS-ის განყოფილებამ საპოლიციო გაზ CS-ის გამოყენებით არ გაწმინდა ქუჩები ამბოხებული ახალგაზრდებისგან.

ყველა ამ შემთხვევის გათვალისწინებით ბრიტანელები შიშობდნენ, რომ პეტერჰედში ძალის გადამეტებულად გამოყენებას პოლიტიკური გართულებები მოჰყვებოდა.

პოლიცია დარწმუნებული იყო, რომ მძევლის გათავისუფლება SAS-ის მებრძოლების შესასრულებელ ამოცანას წარმოადგენდა და ამიტომ მათი გამოყენება აბსოლუტურად კანონიერი იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარება, პოლიციას შეუძლია სამხედრო დახმარება სთხოვოს

უაითჰოლის აპარატს. ერთადერთი საბრძოლო ქვედანაყოფი, რომელსაც ასეთი ამოცანების შესრულების გამოცდილება ჰქონდა და პეტერჰედის ციხეში მოქმედება შეეძლო, SAS-ის პოლკი იყო. ამიტომაც შოტლანდიის კაბინეტსა (რომელსაც მაშინ მალკოლმ რიფკინდი მეთაურობდა) და მთავრობის მდივან დუგლას ჰარდს შორის სასწრაფო მოლაპარაკებების შემდეგ პოლიციამ სამხედრო დახმარება ითხოვა.

მძევლის გადასარჩენად და ამბოხების უსისხლოდ ჩასახშობად აუცილებელი იყო პოლიციური გაზის გამოყენება. მხოლოდ ეს თუ განეიტრალებდა ამბოხებულებს, მაგრამ ბრიტანეთის პოლიცია, რომელსაც გაზი CS 1987 წლიდან ჰქონდა შეიარაღებაში, მზად არ იყო მის ჩაკეტილ სივრცეში გამოსაყენებლად. SAS-ის პატარა, მაგრამ კარგად მომზადებული ჯგუფისთვის კი მძევლის გათავისუფლება ის ამოცანა იყო, რომლის შესრულებაც მას შეეძლო. გათვლა კეთდებოდა ცეცხლსასროლი და ქიმიური იარაღების, თვით გაზ CS-ის ჩათვლით, კვამლის ხელყუმბარებისა და ვაზნების სწრაფ და ეფექტიან გამოყენებაზე. სპეცსაშუალებები ამბოხებულთა ხანმოკლე დროით მწყობრიდან გამოყვანის საშუალებას იძლეოდა, ეს კი მძევლის გათავისუფლებაში დაეხმარებოდათ. თუმცა ამოცანა იმით იყო გართულებული, რომ ამბოხებულები მძევალს ელექტრონული თვალთვალის ზონის მიღმა მალავდნენ.

მებრძოლები შეიულმფერენში დაახლოებით 22.00 სთ-ზე ავიდნენ და მეორე დღის გათენიისას უკვე ციხესთან იყვნენ. მათ აკრძალული ჰქონდათ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობა, მაგრამ უფლება ეძლეოდათ მრჩევლების სახით სამოქალაქო ხელისუფლებისთვისა და პოლიციური ქვედანაყოფებისათვის დახმარება გაეწიათ.

სანამ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, SAS-ელები შენობაში შესაღწევ ადგილს არჩევდნენ. სპეცრაზმს ბედმა გაუღიმა – ბანდიტებმა თავად გატეხეს სახურავი, რომ საჭიროების შემთხვევაში ზემოთ ასვლისა და ტელეკამერების წინ ტრიალის საშუალება მისცემოდათ მოთხოვნების წამოყენებისას.

მოქმედების ძირითადი ხაზი, რომლის დაცვასაც პოლიციის საიერიშო ჯგუფის მეთაური ითხოვდა, სიმშვიდის შენარჩუნება და მოთმინება იყო. ეს ძალზე სასარგებლო რჩევაა მათთვის, ვინც თოკით ციხის კონუსისებრ სახურავზე წყვდიადში ეშვება, მერე კი კიდევ რამდენიმე მეტრს კედელზე მიცოცავს, წვიმის მილს ებღაუჭება და ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და 70-მეტრიანი სიმაღლიდან ციხის ეზოში დანარცხების საფრთხე ემუქრება. თუმცა SAS-ის გულს ამით ვერ შეაშინებდი.

ოპერაციისთვის მზადების პერიოდში ამბოხებულებთან განუწყვეტელი მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლისმენები, კრიზისების მართვის სამთავრობო ჯგუფის მენეჯერები და თვით სპეციალური დანიშნულების ძალების დირექტორიც.

ასე რომ, 2 ოქტომბერს, გვიან ღამით (ამ დროისათვის კრიზისი უკვე მეხუთე დღე იყო გრძელდებოდა), ოპერაციის ჩასატარებლად გამოყოფილი რაზმი იმ აეროდრომზე გაფრინდა, რომელიც ციხიდან რამდენიმე მილის დაშორებით მდებარეობდა. მებრძოლები პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი HK MP5-ებითა და „ბრაუნინგებით“ იყვნენ შეიარაღებული. ნაშუაღამევს თვითმფრინავი აბერდინის ჩრდილოეთით დაჯდა და საიერიშო ჯგუფმა ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფთა შეუმჩნევლად მოახერხა ციხეში შესვლა, მძევლის გათავისუფლება და უკან დაბრუნება ისე, რომ ვერაფერი შეამჩნიეს ვერც ჟურნალისტებმა და ვერც ქვედა სართულებზე განთავსებულმა პატიმრებმა. გათავისუფლებულის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო, ამიტომაც მისი ციხიდან შეუმჩნევლად გამოყვანა არ შეიძლებოდა. საჭირო იყო დაუყოვნებელი აქტიური მოქმედებები.

დილის 4 საათი იქნებოდა, როცა SAS-ის პირველი ჯგუფი ციხის სპორტდარბაზს მიუახლოვდა. გათენებამდე 2 საათზე ნაკლები რჩებოდა. ამასობაში ლონდონმა თანხმობა განაცხადა, რომ SAS-ის მებრძოლებს ოპერაცია ჩაეტარებინათ. ოთხი კაცისგან შემდგარ ჯგუფს სახიფათო მოგზაურობა ელოდა შემინული სახურავის წვიმის მილიდან ციხის ჰოლის სახურავამდე.

დუბლირების რაზმები ამასობაში შენობის შიგნით, სართულებზე უნდა განლაგებულიყვნენ. გათავისუფლებული ციხის თანამშრომელი უსაფრთხო ადგილას უნდა გადაეყვანათ, იქ, სადაც რაზმის სარეანიმაციო ჯგუფი იყო. სხვა ჯგუფს პატიმრებისთვის ხელბორკილები უნდა დაედო.

დილის 5 საათისთვის აირწინაღებითა და კიბეებით შეიარაღებული საიერიშო ოთხკაციანი ჯგუფი შენობის ერთ-ერთი ფანჯრიდან სახურავზე გადავიდა. შოტლანდიური ნესტიანი დილის გამო კრამიტზე ფეხი უცურდებოდათ. საწვიმარ მილზე „გასეირნებას“ სიბნელეში, როცა აირწინაღით ხილვადობა შეზღუდულია, წონასწორობის შენარჩუნებას განსაკუთრებული უნარი სჭირდება. პირველი მებრძოლი საწვიმარ მილს მიუყვებოდა. ამ დროს მას დიდი საფრთხე ელოდა, ნებისმიერი მცდარი ნაბიჯი ან ხელის აქნევა, სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა, მაგრამ მებრძოლმა მოახერხა ციხის ჰაერგამტართან მიახლოება.

უეცრად დაბრკოლებას წააწყდა. მარჯვნივ, ეზოში, ბლოკი B იყო განთავსებული, აქ რამდენიმე ასეული პატიმარი ჰყავდათ, რომელთა შორის ყველას არ ეძინა, ერთ-ერთმა შეამჩნია სპეცრაზმელი და განგაში ატეხა. ხმაურზე ჩაძინებულ ამბოხებულებს გაეღვიძათ. თითქმის იმავე წამში მეორე მხრიდან გამოჩნდა ერთ-ერთი პატიმართაგანი. მისი დანახვისთანავე მებრძოლმა შუქბგერითი ხელყუმბარა ისროლა, შენობაში შევარდნილმა კი CS-გაზიანი ყუმბარაც მიაყოლა. სანამ გაზი დაიწყებდა მოქმედებას, ბანდიტთაგან ერთ-ერთმა მოასწრო და მებრძოლს დანა ჩასცა. რამდენიმე წამიც და შენობაში მყოფთაგანს ყველას ხველება აუტყდა, თვალებიდან ცრემლი წასკდათ. პატიმრები სიტუაციას ვეღარ აკონტროლებდნენ.

ამასობაში მომცრო მუხტების აფეთქებით დაიშალა ბარიკადები, რომლებიც ამბოხებულებმა მოაწყვეს. ეს იყო შტურმის დაწყების სიგნალი სხვა რაზმებისათვის.

პირველი საიერიშო ჯგუფი სახურავზე დაბრუნდა და მძევალი სუფთა ჰაერზე გამოიყვანა. ის უმძიმეს მდგომარეობაში იყო. მიუხედავად ამისა, გადარჩა, ოპერაცია კი უდანაკარგოდ დასრულდა.

იმ მომენტიდან, როცა პირველი ჯგუფი ფანჯრიდან სახურავზე გავიდა, მომენტამდე, როცა პირველმა მებრძოლმა მიაღწია ჰაერგამტართან და ხელყუმბარა ისროლა, სულ 6 წუთი გავიდა!

პეტერჰედში ჩატარებულ ოპერაციას მოულოდნელი გაგრძელება მოჰყვა. მისი შესწავლის შემდეგ ციხის დეპარტამენტმა თანამშრომლებს საიერიშო მოქმედებების შესწავლა დააწყებინა. ზოგიერთებს განსაკუთრებით გაუმართლა: მომზადება SAS-ის 22-ე პოლკის სასწავლო ცენტრში გაიარეს.



# როგორ იქმნებოდა საფრანგეთის ფლოტი

**საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს მოფერებით „ლა რუაიალ“, ანუ სამეფო ფლოტის სახელწოდება შემორჩა. ერთ შემთხვევაში ამის მიზეზი ფრანგების მონარქიის ერთგულება ან ფლოტის შტაბბინის პარიზში რუაიალის ქუჩაზე მდებარეობა შეიძლებოდა ყოფილიყო.**



კარდინალი რიშელიე

თავის დროზე, საფრანგეთში ზღვაოსნობის განვითარებისათვის ბევრი რამ ჩრდილოეთიდან შემოსულმა ვიკინგებმა გააკეთეს. X საუკუნის დასაწყისში მდინარე სენის შესართავთან ვიკინგთა პირველი დასახლებები გაჩნდა, რომელიც შემდგომში გაფართოვდა და ქალაქი რუანი შემოგარენებთან ერთად მოიცვა. ამ ოლქმა სახელად ნორმანდია მიიღო, ხოლო ნორმანდიელები საზღვაო საქმისა და საზღვაო ლაშქრობების ერთგულნი დარჩნენ.

ნორმანდიელთა ლაშქრობების ხშირ სამიზნეს ინგლისი წარმოადგენდა. 1066 წლის 27-28 სექტემბერს ღამით ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა, რომელიც ისტორიაში დამპყრობლის სახელით არის შესული, ლა-მანში 1400 ნავით, 10 ათასი ქვეითი და მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანი რაინდის თანხლებით გადალახა და ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე გადავიდა.

კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ფლოტი 1213 წელს საფრანგეთის მეფე ფილიპე II-მ ფლანდრიისაკენ ლაშქრობის დროს გამოიყვანა. სამეფო ფლოტი 1700 გემს ითვლიდა. ძირითადად, პატარა გემები იყო, რომლებსაც ფრანგი რაინდების ნივთები გადაჰქონდა. იმდენად ბევრი გემი იყო, რომ პორტ დომემ ყველა არ დაიტია და ნაწილმა ნაპირთან ახლოს ჩაუშვა ღუზა.

იმ ხანის მრავალრიცხოვანი სალაშქრო ფლოტი მეტწილად სავაჭრო-სატვირთო დანიშნულების გემებს აერთიანებდა. სამხედრო ხომალდებს ფრანგი მეფეები ჩვეულებრივ სხვა ქვეყნებში ქირაობდნენ.

ჯვაროსანთა მეშვიდე ლაშქრობისათვის მეფე ლუდოვიკო IX-მ რაინდთა გადასაყვანი გემები ვენეციაში, გენუასა და მარსელში დაიქირავა.

1248 წლის 25 აგვისტოს ლუდოვიკო IX მეუღლესთან ერთად ხომალდ „ლა მონჟუაზე“ ავიდა და 50-ათასიანი არმიით ეგვიპტისაკენ დაიძრა. სექტემბრის ბოლოს ჯვაროსნებმა კუნძულ კვიპროსს მიაღწიეს და გამოსაზამთრებლად დაბანაკდნენ. დრო უქმად არ დაუკარგავთ და სადესანტო რაზმების ნაპირზე გადასაყვანად ბრტყელძირა, დაბალი წყალჯდომის მქონე მრავალი ნავი ააგეს.



ფრანგული გალერა „ლა რუიალი“

1249 წლის 1-ელ ივნისს ჯვაროსნები 1800 ხომალდითა და გემით ნილოსის შესართავს მიადგნენ.

ეგვიპტის სულთანი აგრესიას მომზადებული შეხვდა და დესანტირების შესაძლო ადგილები დამატებითი ჯარებით გააძლიერა, მაგრამ ლუდოვიკომ სანაპიროზე გადმოსვლა ციხესიმაგრე დამიეტას მახლობლად მაინც გადაწყვიტა.

5 ივნისს ჯვაროსნები ისრების, ქვებისა თუ ხელშუბების „წვიმაში“ ნაპირისაკენ დაიძრნენ და არაბებმა გაქცევა ამჯობინეს.

სანაპიროდან მოშორებით რეიდზე მდგომი დიდი გემები ბრძოლაში არ ჩაბმულან. სამაგიეროდ, პატარა სადესანტო ნიჩბიან ნავებზე მოლაშქრეთა ნაპირზე გადაყვანის მთელმა სიმძიმემ გადაიარა.

ზღვაზე პირველობისათვის ბრძოლა ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა, სადაც ორ ქვეყანას შორის საზღვაო ბრძოლები იშვიათობას არ წარმოადგენდა, თუმცა იმ დროს არც ერთ მათგანს რეგულარული სამხედრო ფლოტი არ ჰყავდა.

1217 წლის 24 აგვისტოს კალედან ფრანგების 10 საბრძოლო და 70 პატარა გემი 900 ჯარისკაცით მონკოლელი ეუსტატეს სარდლობით გავიდა და კურსი ინგლისისაკენ აიღო.

ინგლისელებმა სასწრაფოდ დაიწყეს ხომალდების შეგროვება. ბრძოლაში მხოლოდ რამდენიმე ქალაქი — დუვრი, რომნეი, ჰეისი, ჰასტინგზი და სანდვიჩი — ჩაება. სულ 16 დიდი და შეიარაღებული 20-24 პატარა სავაჭრო გემი მოგროვდა. საზღვაო გუნდების ერთ ნაწილს გამოცდილი მეზღ-

ვაურები, ხოლო მეორეს კი ნაჩქარევად თავმოყრილი ჯარისკაცები და მეარბალეტეები შეადგენდნენ, რომლებსაც ზღვაზე ომის გამოცდილება არ ჰქონდათ.

ფრანგული ესკადრის ეკიპაჟებში ასევე გამოუცდელი მეზღვაურები ჭარბობდნენ, ხოლო ქვეით რაზმებს მეარბალეტეები საერთოდ არ ჰყავდათ. ესკადრის სარდლობა გაბედული მოქმედებებით არ გამოირჩეოდა და თავიდანვე ბრძოლის მარცხიანი ტაქტიკა შეარჩია.

დუვრის მახლობლად ორივე ესკადრა ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა და ბრძოლა ინგლისელ მეარბალეტეთა შეტევით დაიწყო. ისრებმა გემბანზე მყოფი მრავალი ფრანგი მოლაშქრე მწყობრიდან გამოიყვანა, როცა თავად ინგლისელებს ამის საფრთხე არ ემუქრებოდა.

ერთმანეთთან დაახლოების შემდეგ ინგლისელებმა ფრანგული ხომალდებისკენ კაუჭები გადაისროლეს და აბორდაჟულ შეტაკებებზე გადავიდნენ. თან ჩაუმქრალ კირსა და ქარის მიმართულებას იყენებდნენ, რომელიც პირდაპირ მოწინააღმდეგისკენ უბერავდა და კირით ფრანგებს თვალებს უწვავდა.

ინგლისელი ჯარისკაცები გაბედულად და საზრიანად მოქმედებდნენ. ფრანგულ გემებზე გადასულნი ბაგირებს ჭრიდნენ და აფრები ფრანგ ჯარისკაცებს თავზე ეცემოდა, ხომალდები კი მანევრირების უნარს კარგავდნენ.

რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ფრანგებმა სასტიკი მარცხი განიცადეს და კალეში მხოლოდ 15 ხომალდი დაბრუნდა. დანარჩენები ტყვედ აიყვანეს ან ჩაიძირნენ. ინგლისურ გალერებს წყალხაზის ზევით ძველი დროის ტარანის მსგავსად რკინის დეზები ჰქონდა, რომლის დარტყმამ რამდენიმე ფრანგული ხომალდი ჩაძირა.

საფრანგეთს თავისი ინტერესების დასაცავად ფლოტი სჭირდებოდა, რომელიც არ ჰყავდა. მისი ორგანიზება საკმაოდ რთული საქმე იყო.

მეზობელ ფლანდრიაში დაწყებულ ომში საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზმა გრაფ იოან ჰოლანდიელის მხარე დაიჭირა და სამხედრო ფლოტის გაგზავნა ბრძანა.

რადგან საფრანგეთს რეგულარული სამხედრო ფლოტი ჯერ კიდევ არ ჰყავდა, მეფემ კალელ გამოცდილ მეზღვაურს ჟან დე პედროგუს ხომალდების შეგროვება დაავალა. შეგროვდა 30 გემი, საიდანაც ერთი ნაწილი ნორმანდიელებს, მეორე კი – 8 გემი ესპანელებს ეკუთვნოდათ. გემებს თავისი ნებით არ იძლეოდნენ და პედროგუმ რეკვიზიცია ძალის გამოყენებით ჩაატარა.

სავაჭრო გემებისათვის საბრძოლო დანიშნულების მისაცემად თითოეულ მათგანზე 1-2 სატყორცნი მანქანა დაიდგა, ხოლო საბრძოლო მარსზე 3-6 გამორჩეული მსროლელი განთავსდა.

გარდა ამისა, ფრანგების სამსახურში გადავიდა გენუელთა 15-მდე გალერა რანიერო გრიმალდის მეთაურობით, რომელიც ადმირლის წოდებით გაერთიანებულ ესკადრას სათავეში ჩაუდგა.

გენუელთა გალერები შემტევი მოქმედების ახალი სატყორცნი მანქანა სპრინგარდით იყო აღჭურვილი. სპრინგარდა დიდი ძალით გაისროდა რკინის ისრებს, რომელსაც რაინდის ჯავშანი ვერ უმკლავდება.

1340-1596 წლებში ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ესპანეთის ფლოტების მონაწილეობით ათამდე საზღვაო ბრძოლა გაიმართა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საესკადრო ბრძოლაში მონაწილე ხომალდებისა და საბრძოლო ხომალდების პროექტირება-აგებისათვის საჭირო ძირითადი მოთხოვნები. შემოვიდა საზღვაო არტილერია, რომელიც თავიდან ხომალდების გემბანზე იყო განლაგებული.

1501 წელს ფრანგი ინჟინრის დეშარჟის წინადადებით ფრანგულ კარაკა „ლა კორდილიერას" კორპუსში საზარბაზნე პორტები გამოიჭრა და არტილერიისათვის ბორტების გამოყენება გახდა შესაძლებელი, ხოლო ტრიუმის სიღრმეში განთავსებული მძიმე წონის ზარბაზნები ხომალდის მდგრადობაზე ზეგავლენას უკვე აღარ ახდენდა.

საბორტო ბატარეების შემოღებით სპეციალურად აგებულ სამხედრო ხომალდებსა და ჩვეულებრივ სავაჭრო გემებს შორის გამოკვეთილი საზღვარი გაჩნდა. ამ განსხვავებამ საბრძოლო დანიშნულების ხომალდებისათვის შესაბამისად ორგანიზებული რეგულარული სამხედრო ფლოტის ჩამოყალიბების აუცილებლობა მოიტანა.

საფრანგეთში რეგულარული სამხედრო ფლოტის ფორმირებისათვის პირველი ნაბიჯი კარდინალმა რიშელიემ გადადგა.

რიშელიემ ფრანგებიდან პირველმა მოახერხა საფრანგეთის არმიის რეორგანიზაცია, ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეში მუდმივმოქმედი ესკადრების შექმნა.

შედარებით მშვიდი ხმელთაშუა ზღვისათვის გალეასებისაგან შემდგარი ესკადრა იგეგმებოდა. თავიდან 40 გალეასის აგება იყო განზრახული, მაგრამ მონების ნაკლებობის გამო ეს რაოდენობა 24-მდე შემცირდა. თითოეული გალეასის მენიჩბეთა გუნდი ფიზიკურად ძლიერ 400-დან 500-მდე მონას მოითხოვდა.

ატლანტის ოკეანისათვის 300-დან 2000 ტონამდე წყალწყვის მსხვილი კალიბრის არტილერიით აღჭურვილი ხომალდების მშენებლობა იყო გადაწყვეტილი.

ახალშექმნილი ფრანგული რეგულარული ფლოტის პირველი წარმატებული მოქმედებებით ქალაქ ლა-როშელისათვის მიმდინარე ბრძოლები აღინიშნა, თუმცა სამხედრო ხომალდების ნაკლებობის შესავსებად ხომალდების მეზობელ ჰოლანდიაში დაქირავება მაინც გახდა საჭირო.

ინგლის-საფრანგეთის ომის დროს, 1627 წლის 27 ივნისს, პორტსმუთიდან ლორდ ბუკინგემის სარდლობით 80 ხომალდი გავიდა. რიშელიეს ორგანიზებული დაზვერვის წყალობით ინგლისელთა გეგმის შესახებ ფრანგები ინფორმირებული იყვნენ.

**ფრანგული სამხედრო ხომალდის „სოლეი რულიალის" კიჩოს დეკორი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



1340 წლის ინგლის-საფრანგეთის საზღვაო სლეისის ბრძოლა

25 ივლისს ინგლისელები კუნძულ რეს მიადგნენ, ფორტი სენ-მარტენი ალყაში მოაქციეს და შეუტიეს, მაგრამ ალებას ვერ ახერხებდნენ. გარნიზონის ძალები ნელნელა იწურებოდა და უკვე ტყვედ ჩაბარებისათვის ემზადებოდა, როცა 7 ოქტომბერს ღამით 29 ფრანგულმა ხომალდმა ინგლისურ ხომალდებს შორის გააღწია და ფორტის დამცველებს საკვები და საბრძოლო მასალები მიაწოდა.

დახმარებამ ფრანგებს სული მოათქმევინა და შეტევაზე გადასვლის საშუალება მისცა. ბუკინგემმა ალყა მოხსნა და დამარცხებული ინგლისში დაბრუნდა.

სამხედრო ფლოტის შემდგომი აღმავლობა ლუდოვიკო XIV-ის მეფობის პერიოდსა და ჟან-ბატისტ კოლბერს უკავშირდება.

კოლბერმა 1683 წლისათვის სამხედრო ხომალდების რაოდენობა 18-დან 1661 წელს 296-მდე გაზარდა და სავაჭრო გემების ფლოტი ცალკე გამოყო. ხომალდებზე მატროსებისათვის სავალდებულო სამსახური შემოიღო, მაგრამ სამსახური იმდენად მძიმე იყო, რომ ეკიპაჟების შესავსებად ხშირად დამნაშავეები იგზავნებოდნენ. პარიზში 1666 წელს ევროპაში პირველი მეცნიერებათა აკადემია დააარსა, სადაც გემთმშენებლობისა და საზღვაო გზების პრობლემების შესწავლა მიმდინარეობდა.

ტულონის საზღვაო სასწავლებლის მათემატიკის პროფესორმა პაველ გოსტმა საზღვაო სარდლების ხელშეწყობით 1697 წელს გამოაქვეყნა „სამხედრო ფლოტების ხელოვნება, ანუ თხზულება საზღვაო ევოლუციაზე“, სადაც საზღვაო ტაქტიკის პრაქტიკული გამოცდილება იყო განზოგადებული ბრძოლის წარმოების მაგალითებისა და წესების მოყვანით, ფორმულირებული იყო სამხედრო-საზღვაო ხელოვნების პრინციპები.

მაშინდელ ფრანგულ გემთსაშენებში აგებული ზოგიერთი ხომალდი დღემდე გემთმშენებლობის ნიმუშად ითვლება. ასეთი იყო 1636 წელს დასრულებული „ლა კორონე“, რომელსაც ორი საუკუნე სილამაზის მხრივ ბადალი არ ჰყავდა.

2100 ტონა წყალწყვის „ლა კორონეს“ სიგრძე 70 მეტრი იყო და კორპუსის სამ გემბანზე 72 სხვადასხვა კალიბრის ზარბაზანს ატარებდა. ეკიპაჟი 638 კაცს ითვლიდა.

კორპუსი მუხის ხისგან იყო შეკრული და თანაც, მუხის თითოეულ ტოტს შესაბამისი მოხრილობის დეტალი ჰქონდა მორგებული. ფიცრების ბოჭკოების სახე კორპუსის მომრგვალებას შეესაბამებოდა, რაც დეტალებს განსაკუთრებულ გამომსახველობასა და სიმტკიცეს მატებდა.

ფრანგი გემთმშენებლების კიდევ ერთი შედევრი 55 მეტრი სიგრძის 120-ზარბაზნიანი სახაზო ხომალდ „სოლეი რუაიალი“ იყო, რომლის მშენებლობა 1690 წელს დასრულდა. ამ ხომალდის დეკორატიულმხატვრული მორთულობა წამყვან საზღვაო ქვეყნების ფლოტებს შორის საუკეთესოდ ითვლებოდა.

XVI საუკუნის დასაწყისიდან ფრანგულმა გემებმა ახალი მიწების კოლონიზაციის მიზნით ცურვა ატლანტის ოკეანეში დაიწყეს და ამერიკისაკენ გზა მალე გაკვალეს.

კაპიტანმა გონვილიმმა 1503-05 წლებში ბრაზილიის სანაპიროს მიაღწია, რომელიც იმ დროისათვის უკვე პორტუგალიის კოლონია იყო.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბრიზილიისაკენ გზას ორი ხომალდით ადმირალი ნიკოლა ვილგანონი გაუყვა. ფრანგ ზღვაოსანს შორეულ მიწაზე ფრანგული დასახლება უნდა შეექმნა. 1555 წლის 10 ნოემბერს ვილგანონმა ახლანდელი რიოდე-ჟანეიროს მახლობელ სანაპიროს მშვიდობიანად მიაღწია, მაგრამ დასახლების შექმნის გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

ბევრად წარმატებელი ჩრდილო ამერიკისაკენ ცურვა გამოდგა. 1524 წელს კანადის აღმოსავლეთ სანაპიროზე პირველმა ფეხი საფრანგეთის სამეფო კარზე მომსახურე ფლორენციელმა ზღვაოსანმა ჯოვანი ვერაცანომ შედგა. ათი წლის შემდეგ ლაბრადორის სანაპიროს ჟაკ კარტიემ მიაღწია.

როგორც კი ევროპაში გავრცელდა ამბავი, რომ ესპანელები ახალაღმოჩენილი მიწებიდან ზღაპრულ სიმდიდრეს ეზიდებოდნენ, ესპანურ გალიონებზე ნადირობა მომგებიან და ამასთან, სარისკო საქმედ გადაიქცა.

ამ საქმის ერთ-ერთი პიონერები ფრანგი მეზღვაურები იყვნენ. ისტორიისათვის უცნობი დარჩა იმ ფრანგის სახელი, რომელმაც 1497 წელს ამერიკის აღმომჩენი ქრისტოფორ კოლუმბი მესამე მოგზაურობის დროს დააფრთხო და კუნძულ მადეირაზე შესვლა აიძულა.

ადმირალ ჟან ანგოს მეზღვაურებმა 1522 წელს სევილიისაკენ მიმავალი სამი კარაველა დააკავეს და გაძარცვეს. მომდევნო წელს ჟან ფლერის 9 ხომალდმა ესპანელებს სამი კარაველა წაართვა.

სიმდიდრის მოპოვების სურვილმა ფრანგი მეზღვაურების სამოქმედო არეალი იბერიის ნახევარკუნძულის მიმდებარე წყლებიდან უფრო დასავლეთით, კარიბის ზღვის კუნძულებისაკენ გადასწია.

ესპანურ გალიონებთან ერთად თავდასხმების სამიზნე ესპანური დასახლებები გახდა. 1543 წელს ფრანგებმა და ინგლისელებმა დაივიწყეს შუღლი და კარტახენას დაესხნენ თავს.

1555 წელს ჟაკ დე სორმა და ნორმანდიელმა ფრანსუა ლეკლერკმა კუბაზე ჰავანა აიღეს და გაძარცვეს.

XVII საუკუნიდან კოლონიზაცია სახელმწიფოს ხელშეწყობით მიმდინარეობდა, სადაც სამხედრო-საზღვაო ფლოტი ამ პოლიტიკას ძალისმიერ მხარდაჭერას უწევდა და საფრანგეთს ევროპის ერთ-ერთ წამყვან საზღვაო ქვეყნად აყალიბებდა.

თემურ ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თარაზულად** 1. ომის მომზადებისა და წარმოების ხელოვნება; 6. პირი, რომელმაც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება; 7. საბუთების გასინჯვა საეჭვო გემზე, რომელსაც აღმოაჩენს ღია ზღვაში სხვა ქვეყნის სამხედრო გემი; 10. ჩეხური პისტოლეტი; 13. სხვადასხვა ხარისხისა და სახელწოდების ნიშანი, რომლითაც ხელისუფლება აჯილდოვებს სამხედრო ან სამოქალაქო დამსახურებისთვის; 14. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსი; 15. ამერიკელი ავიაკონსტრუქტორი, გამომგონებელი და მფრინავი ძმების გვარი; 17. უნგრული ღვინო; 19. უსიამოვნო შემთხვევა, შეხლა-შემოხლა; 22. ამერიკული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; 24. იაპონური ჭიდაობა; 25. ინდური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი; 27. ინგლისური პისტოლეტი; 28. ბერძენთა უმამაცესი გმირი, რომელმაც თავი ტროას ომში გამოიჩინა.

**შვეულად:** 1. პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი ფეოდალურ იაპონიაში; 2. ბელგიური რევოლვერი; 3. მექსიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზირების პუნქტი და პორტი; 4. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 5. ამერიკული რევოლვერი; 7. ესპანური პისტოლეტი; 8. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 9. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები; 11. შვედური პისტოლეტი; 12. ქვეყანა ევროპაში; 16. „ოპელის“ მოდელი; 18. რუსული სამხედრო შვეულმფრენი; 20. სამშენებლო მასალა; 21. ამერიკული რევოლვერის „ჰერინგტონ და რიჩარდსონის“ მოდელი; 23. ცხენის ჭენება; 24. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი; 26. ამერიკული სატრანსპორტო-სადესანტო შვეულმფრენი.

*ჟურნალის №16 გამოქვეყნებული „კროსვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. რაშიდი; 6. ბეარი; 7. დრეიზე; 8. რაისი; 9. მარაკანა; 12. ფეარლესი; 16. ტავრია; 17. ტიტუსი; 18. სკალპი; 19. ფიასკო; 20. ოზარიო; 22. კია; 25. ფოკა; 27. არმადა; 28. ცეზიუმი; 29. ტულე; 30. მიმინო; 31. გრინი; 32. იუდა.. **შვეულად:** 1. რადიუმი; 2. შტეიერი; 3. იბერია; 4. რაპირა; 5. ლიბია; 10. კატასტროფა; 11. ნავმაქია; 12. ფორტიფიკაცია; 13. რესურსი; 14. ერლიკონი; 15. მარიამობა; 21. რია; 23. ახზარიტი; 24. მუნდირი; 25. ფისტონი; 26. აგრესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნივერსალური საიერიშო შაშხანა SCAR



**ახალი ბელგიური ავტომატური შაშხანა ამერიკული M4-ის ვაზნებსაც მოიხმარს და რუსული AKM-ისასაც**

თითქოს ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა ისროლოს ერთმა ავტომატურმა შაშხანამ NATO-ს სტანდარტისა და საბჭოთა 7,62 მმ კალიბრის ტყვიები, მაგრამ ცნობილი ბელგიური საიარაღო ფირმის Herstal-ის ამერიკულმა ფილიალმა ეს პრობლემა წარმატებით გადაწყვიტა და შექმნა უნივერსალური საიერიშო ავტომატური შაშხანა SCAR-ის რამდენიმე მოდიფიკაცია.

გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ რუსეთთან ომის წინ ქართული არმია რთულ ვითარებაში აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ ასარჩევი გახდა, ბრძოლაში ჩვენ ქვეით ბრიგადებს უკვე ნაცადი საბჭოთა „კალაშნიკოვები“ წაეღოთ თუ ახალშეძენილი და ბრძოლაში გამოუცდელი (ჩვენი ჯარისთვის) ამერიკული ავტომატური კარაბინი M4.

7-8 აგვისტოს იმის დრო არ იყო, ამ მნიშვნელოვან საკითხზე სჯა-ბაასი გამართულიყო, ამიტომაც ქართული არმიის ყველა ქვეითი ბრიგადა, ისევე როგორც პოლიციის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს სპეცრაზმები ბრძოლაში, ძირითადად, 5,45 მმ კალიბრის AK-74-ებით ჩაერთვნენ. ამერიკული M4-ები და გერმანული ავტომატური შაშხანა G36-ები მხოლოდ ელიტური სპეცრაზმების ზოგიერთი მებრძოლის ხელში ჩანდა.

ამას დაემატა კიდევ ერთი დიდი პრობლემა — რუსმა აგრესორებმა სენაკის მე-2 და გორის 1-ელი ქვეითი ბრიგადების საიარაღო ოთახებიდან დიდი რაოდენობით გაიტანეს ახალშეძენილი M4-ები (მარტო სენაკიდან 700-ზე მეტი M4 წაიღეს). ერაყიდან სასწრაფოდ დაბრუნებულმა 1-ელმა ქვეითმა ბრიგადამ თბილისის აეროპორტიდან გორის ახალაშენებული ბაზის ტერიტორიაზე მხოლოდ შერბენა მოასწრო, ამერიკული უდაბნოს კამუფლირებული ფორმა ქართულით შეცვალა და კარალეთის ახლოს განლაგდა. რამდენიმე საათში ისინი პოზიციებიდან მოხსნეს და სხვა დანაყოფებთან ერთად თბილისისკენ გამოუშვეს, ისე, რომ გორის ბრიგადაში აღარც შეუვლიათ. ასე რომ, რუსმა ოკუპანტებმა M4-ებთან ერთად მათი ერაყიდან ჩამოტანილი და გამონაცვალი ფორმებიც ხელს გააყოლეს...

ყოველივე ამის შემდეგ რამდენად გამართლებული იქნება ამერიკული M4-ების ხელახალი შესყიდვა, ძნელი სათქმელია.

არადა, ქართული არმიის არსენალში სამი ძირითადი: 5,45X39 მმ (AK-74), 5,56X45 მმ (M4) და 7,62X39 მმ (AKM) კალიბრის ვაზნები რჩება, რაც დამატებით პრობლემას ქმნის, რადგან სასწრაფოდ ასარჩევია ერთი კონკრეტული კალიბრი და მასზე გათვლილი კონკრეტული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

როგორც ზემოთ ითქვა, ცნობილი ბელგიური ფირმის ამერიკულმა განყოფილებამ 2004 წელს მოიგო კონკურსი, რომელიც აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების სარდლობამ გამოაცხადა.

კონკურსში გამარჯვებული სისტემა SCAR იშიფრება როგორც — „სპეციალური ოპერაციების ძალების საბრძოლო საიერიშო შაშხანა“. ის შეიცავს იარაღის ორ საბაზო ვარიანტს — „მსუბუქ“ Mk.16 SCAR-L-სა და „მძიმე“ Mk.17 SCAR-H-ს.

SCAR-L გათვლილია მხოლოდ 5,56X45მმ კალიბრის ვაზნებზე, ხოლო



SCAR-ის არასრული დაშლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

SCAR-ის ტრანსფორმაცია ლულების სიგრძის ცვლილებით





SCAR-ი ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით



„მძიმე“ SCAR-H-ზე მოიხმარენ ასევე NATO-ს სტანდარტის 7,62X51მმ კალიბრის ვაზნებს. ამასთან, „მძიმე“ SCAR-H-ზე შესაძლებელი იქნება საბჭოთა AKM-ის 7,62X39მმ კალიბრის ვაზნებიანი „კალაშნიკოვის“ მჭიდების დაყენება.

ასეთი ტრანსფორმაცია მიიღწევა რამდენიმე ძირითადი დეტალის შეცვლით – საკეტის, ლულისა და მჭიდის მისაღების, ისე, რომ SCAR-ის დეტალების 90% უცვლელი დარჩება.

გარდა ამისა, ორივე საბაზო ვარიანტს ექნება სამი შესაძლებელი კონფიგურაცია – სტანდარტული, დამოკლებული ლულით ქუჩის ბრძოლებისათვის და სნაიპერული დაგრძელებული ლულით.

უნივერსალური იარაღის ტრანსფორმაცია რამდენიმე წუთში მსროლელს თავადაც შეეძლება ბრძოლის ველზე.

ბრძოლაში უნივერსალური ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენა, რომელიც შეიძლება გამოიყენო სხვადასხვა დანიშნულებით და ამასთან, სხვადასხვა კალიბრის ტყვიების სასროლად (მათ შორის მოწინააღმდეგისთვის წართმეული ვაზნების გამოყენების შესაძლებლობა) დიდ უპირატესობას მიანიჭებს ამერიკული სპეციალური ოპერაციების ძალებს – US SOCOM-ს.

სხვათა შორის, US SOCOM-მა ერაყსა და ავღანეთში უკვე დაიწყო SCAR-ის ორივე საბაზო ვარიანტის საბრძოლო გამოცდა. დაგეგმილია, რომ უახლოეს წლებში SCAR-ები ჩაანაცვლებენ ამერიკული სპეცრაზმების შეიარაღებაში დღეისათვის არსებულ ავტომატურ კარაბინებს M4-ებს, ავტომატურ შაშხანებს M16-ებს და 7,62მმ-იან სნაიპერულ შაშხანებს.

ასეთივე არჩევანის სასწრაფოდ გაკეთება ქართულ არმიასაც მოუწევს. თუ არ შეგვეძლება SOCOM-ივით უნივერსალური, მაგრამ შედარებით ძვირი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით მთელი არმია აღვჭურვოთ, მაშინ უნდა გადავწყვიტოთ, რომელ კალიბრს ვირჩევთ – საბჭოთა 5,45მმ და 7,62მმ-ს თუ NATO-ს სტანდარტის 5,56X45მმ-ს.

ერთი კალიბრის საბოლოო არჩევის შემდეგ კი ასევე ერთი კონკრეტული ავტომატი თუ ავტომატური შაშხანა უნდა შევარჩიოთ მთელი არმიისთვის (სპეცდანიშნულების დანაყოფებს ეს არ ეხება, რადგან მათი შეიარაღება საბრძოლო ამოცანების სიმრავლიდან გამომდინარე, მრავალფეროვანი უნდა იყოს). ოღონდ ისე არ უნდა მოხდეს, რომ ბრძოლაში წასვლის წინ ჯარისკაცს თავისი იარაღის იმედი არ ჰქონდეს. როგორც ეს M4-ების შემთხვევაში ხდებოდა.

ირაკლი ალადაშვილი

ჩვენი დოსიე: უნივერსალური ავტომატური შაშხანა Mk.16 SCAR-ს ვაზნების გარეშე 3,5კგ-ს იწონის და მისი სიგრძე (სტანდარტული კონფიგურაცია) 850მმ (გაშლილი კონდახით, დაკეცილით 620მმ). ლულის სიგრძე შეიძლება იყოს 254მ (CQC — დამოკლებული ლულა ახლო ბრძოლებისთვის), 355 მმ (სტანდარტული) და 457მმ (გრძელი ლულით). მჭიდში 5,56X45მმ NATO კალიბრის 30 ვაზნა ჩადის.

„მძიმე“ Mk.17 SCAR-H ვაზნების გარეშე 3,86კგ-ს იწონის და მისი სტანდარტული ვარიანტის სიგრძე გახსნილი კონდახით 997მმ-ია, დაკეცილით — 770 მმ. მასაც სამი სიგრძის ლულა უყენდება — 330მმ-იანი (დამოკლებული ქალაქში საბრძოლველად), 406მმ-იანი (სტანდარტული) და დაგრძელებული 508მმ-იანი. მჭიდში NATO-ს სტანდარტის 7,62X51მმ კალიბრის 20 ვაზნა ეტევა, რუსული 7,62X43მმ კალიბრის ვაზნების გამოყენების შემთხვევაში იარაღს მჭიდი უკეთდება, რომელშიც 30 ასეთი ვაზნაა ჩაწყობილი.

ორივე საბაზო ვარიანტის SCAR-ის სროლის ტემპი წუთში 600 გასროლას შეადგენს.



SCAR

b. 95/33

ISSN 1987-5061